

ისრაელი უკიდურეს ზომებს მიმართავს A3



მთავარი მოწმე „კვანძს ხსნის“ A4



ხშირად არ ვბერდებით A8


www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი — პარასკევი, 30 ივნისი, 2006 წელი. №144 (1296) — ფასი 50 თეთრი



24 საათი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე www.24saati.ge


„ოლიმპიური ვარსკვლავის“ სტარტი

C2

## ამბები

### ინკლუზიური სწავლება საქართველოში

ინკლუზიური სწავლება შეზღუდული მოქმედების მქონე ბავშვების სასწავლო პროცესში სრულფასოვან ჩაბმას გულისხმობს, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს საზოგადოებაში მათ ინტეგრაციასა და თვითდამკვიდრებას. საქართველოში ინვალიდ ბავშვთა რიცხვიც და პრობლემებიც წლების მანძილზე სულ უფრო იზრდება.

A2

## პოლიტიკა

### „ტესტი დემოკრატიაში“ და არჩევნების პროცედურა

„24 საათი“ შეეცადა გაერკვია, თუ რა სიახლეებია მოსალოდნელი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დროს და რამდენად იქნება გათვალისწინებული ევროსაბჭოს ექსპერტების რეკომენდაციები.

A3

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

## ამინდი

| | 30/06 | 1/07 |
|---|---|---|
| თბილისი | 33 | 33 |
| ბათუმი | 28 | 28 |
| სოხუმი | 30 | 28 |
| ქუთაისი | 31 | 31 |
| გორი | 27 | 27 |
| ონი | 23 | 22 |
| ზუგდიდი | 32 | 32 |
| ახალქა | 32 | 32 |
| სამტრედია | 31 | 31 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7730 |
| ევრო | 2.2233 |
| ბრიტანკა სტერლ. | 3.2189 |
| რუბლი | 0.0655 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| პოლიტიკა | A 3 |
| სამართალი | A 4 |
| საზოგადოება | A 5 |
| რევიუ | A6-A8 |


# შენობა ნიშნავს ეზოს და მის შემოგარენს

ასე განმარტავს კანონს სპიკერი მოსამართლე

ხათუნა ჯანგირაშვილი

*ხალხის მართლმსაჯულება არის ყველაზე ძლიერი მართლმსაჯულება! საზოგადოებრივი სამსჯავრო ყველაზე ძლიერია! საზოგადოება ელის თქვენს სამართლიან გადაწყვეტილებებს! მიიღეთ ობიექტური გადაწყვეტილება, თორემ საზოგადოება გაგკიცხავთ, საზოგადოების რისხვას დაიმსახურებთ! შანსი გაქვთ, დაამტკიცოთ თქვენი ობიექტურობა! - გუშინ, დილით, ამ სიტყვებით მიმართავდნენ მართლმსაჯულებას „თანასწორობის ინსტიტუტის“ წევრები საქალაქო სასამართლოს ეზოში მოწყობილი მშვიდობიანი აქციის დროს, რომლის პარალელურად სასამართლოს შენობაში სანდრო გირგვლიანის საქმის არსებითი განხილვა მიმდინარეობდა.*

გაგრძელება A4 გვერდზე



ირაკლი კაკაბაძე პირდაპირ საავადმყოფოში გადაიყვანეს.

# უნივერსიტეტში მოლაპარაკებები დაიწყო

ეკა ჯანაშია

*აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად მიმდინარე კონკურსის (რომლის შედეგადაც უნივერსიტეტის პროფესორ მასწავლებელთა რაოდენობა საგრძნობლად მცირდება) მნიშვნელოვანი უნივერსიტეტის კედლებს გასცდა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი გია ხუბუა ორი დღეა შეხვედრებს უნივერსიტეტის გარეთ მართავს. დაძაბული ვითარების განმუხტვად პარლამენტის თავმჯდომარემ ხუბუას სამი გამოსავალი შესთავაზა.*

გაგრძელება A5 გვერდზე



# გალარიბების საფრთხე იზრდება

გადალახავს თუ არა ინფლაცია ერთნიშნა ზღვარს

*უკვე ორი თვეა, რაც საქართველოში ფასები სამომხმარებლო საქონელზე და მომსახურებაზე საგრძნობლად გაიზარდა. ლარის მსყიდველუნარიანობა შესუსტდა, რასაც ექსპერტები ინფლაციის მაჩვენებლის ზრდას უკავშირებენ. 2006 წლის ბიუჯეტი ლარის კურსით დოლართან მიმართებაში 1,85 ნიშნულზე იყო დათვლილი, ხოლო ინფლაციის მაჩვენებელი 6-პროცენტიან ზღვარს არ უნდა გადასცდენოდა. თუმცა მაისში ინფლაციის მაჩვენებელი გაიზარდა და ამ ფონზე ლარის კურსმა უარეცხდენტო გამყარება დაიწყო. ეროვნული ბანკის პრეზიდენტი რომან გოცირიძე უკვე ღიად აცხადებს, რომ ინფლაცია 10-პროცენტიან ზღვარს მიუახლოვდა.*



# ევროპის სურვილი და რეალობა

*ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის საზაფხულო სესიის სხდომა 29 ივნისს, შეიძლება ითქვას, რომ დაიხურა. ყოველ შემთხვევაში, ყველა მნიშვნელოვანი განცხადება თუ შენიშვნა გამოითქვა, თუმცა ევროპის პრობლემები ამით არ ამოწურულა.*

კობა ლიკლიკაძე
*სპეციალურად „24 საათისათვის“ სტრასბურგიდან*

საქართველოს დელეგაციის წევრმა, პარლამენტარმა ნინო ნაკაშიძემ სესიის ბოლოს შეკითხვით მიმართა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს ალექსანდრე გრუშკოს და სთხოვა განემარტა, თუ რას აკეთებს რუსეთი, რათა კონკრეტული წვლილი შეიტანოს საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტის მოწესრიგებაში. ალექსანდრე გრუშკოს პასუხი რამდენიმე საყურადღებო გზავნილს შეიცავდა: **„რუსეთი თამაშობს განსაკუთრებულ როლს საქართველოს შიგნით კონფლიქტების მოწესრიგების საქმეში - საქართველოსა და სამხრეთ ოსეთს შორის და საქართველოსა და აფხაზეთს შორის. ჩვენ განვაგრძობთ ამ უმნიშვნელოვანესი საშუამავლო ფუნქციის შესრულებას. ამასთან, მინდა ხაზი გავუსვა, რომ ამ შემთხვევაშიც და სხვა შემთხვევაშიც, რომელსაც შევეხეთ, როცა კოსოვოზე ვსაუბრობდით, ეს პრეცედენტი მიესადაგება კვიპროსისა და მთიანი ყარაბახის პრობლემასაც. შესაძლო გამოსავალი ნაპოვნი უნდა იქნეს მხოლოდ კონფლიქტის მონაწილე მხარეებს შორის პირდაპირი დიალოგის გზით. ჩვენ მოვუწოდებთ საქართველოს მხარეს და მხარსაც დავუჭერთ, რომ შეიმუშავოს შეთანხმება და გააკეთოს განცხადება კონფლიქტებში ძალის გამოუყენებლობის შესახებ, რაც აუცილებელი ელემენტია ნდობის შესაქმნელად.“**

გაგრძელება A3 გვერდზე

# დევნილები ძალის გამოყენებით გამოასახლეს

*აჭარის ხელისუფლებამ თავისი ულტიმატუმი შეასრულა. სასტუმრო „მესხეთიდან“ გუშინ სპეცრაზმელებმა დარჩენილი დევნილები ძალის გამოყენებით გამოასახლეს. დევნილთა განცხადებით, დღეს საქართველოს ხელისუფლება მათ ისე ექცევა, როგორც აფხაზები 13 წლის წინ. აჭარის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ლევან ვარშალომიძე კი აცხადებს, რომ დევნილთა აქცია "ვიღაცის" ორგანიზებულია, და მათთვის სასურველი პირობები იყო შეთავაზებული.*

ემზარ დიასამიძე
*ბათუმიდან*

გუშინ დილით, სასტუმრო „მესხეთთან“ ძალოვანი სტრუქტურებისა და სპეცრაზმის ასეულობით შეიარაღებული წარმომადგენელი იყო მობილიზებული. მათ სასტუმროს ირგვლივ პერიმეტრი გადაკეტეს და დევნილებთან შასასვლელად არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლებს არ უშვებდნენ.

რამდენიმე საათში ძალოვნებმა დევნილთა ქუჩაში ძალით გამოყვანა მოახერხეს. დევნილებმა პირადი ნივთების ნაწილი ფანჯრებიდან გადმოყარეს. **„მე ასე, ერთი ჩანთით გამოვედი აფხაზეთიდან. მთელი ქონება იქ დავტოვე. ახლა აჭარიდანაც ასე, ერთი ჩანთით გამომაძევეს. ასეთი ხელისუფლება, რომელიც დღეს ჩვენ გვყავს, ფურთხის ღირსია“**, - განაცხადა ერთ-ერთმა დევნილმა სასტუმროს წინ.

გაგრძელება A2 გვერდზე

# რუსეთის სკეპტიკური პარტნიორები „დიდი რვიანიდან“

კენეტ როგოფი

ღარიბი, მაგრამ ნავთობით მდიდარი რუსეთი. მას ძალიან უნდა, რომ რვა ქვეყნის ელიტურ ჯგუფში მისი თავმჯდომარობა სერიოზულად იყოს აღქმული. პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა, შესაძლოა, იმ იმედით, რომ სანქტ-პეტერბურგში ივლისში გასამართი მოლაპარაკებების სტატუსი რაც შეიძლება მაღლა აეწია, საკმაოდ პრეტენზიული დღის წესრიგი წარადგინა. იგი გეგმავს თავის კოლეგებთან მაღალინტელექტუალური მოლაპარაკებების გამართვას განათლებისა და ინფექციური დაავადებების საკითხებზე, ხოლო როდესაც დარწმუნდება, რომ ჯერ კიდევ არავის ჩასძინებია, „ენერგეტიკული უსაფრთხოების“ თემასაც შეეხება.

და რა მიიღო პუტინმა თავისი ძალისხმევის პასუხად? არცთუ ისე ბევრი. ბუშის ადმინისტრაციამ, ვიცე-პრეზიდენტ დიკ ჩეინის მეთაურობით (ბოლოს აშკარა თანხმობით), რუსეთი „ბოროტების იმპერიის“ ძველ კურსთან დაბრუნებაში დაადანაშაულა. ამის პასუხად, პუტინმა ამერიკის შეერთებული შტატები წარმოაჩინა „ამხანაგ მგლად“, რომელიც მზად არის, ნებისმიერ მოწყვლად სახელმწიფოს დაესხას თავს. იზრდება შეშფოთება იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ მიესალმებიან ბუში და პუტინი ერთმანეთს სანქტ-პეტერბურგში შეხვედრის დროს.

თავის მხრივ, ევროპელები ჯერ კიდევ ისტერიაში არიან იმის გამო, რომ რუსეთისა და უკრაინას შორის გაჩაღებულ გაზის კონფლიქტში აღმოჩნდნენ ჩართულნი, რომელიც რამდენიმე წლის დასაწყისში მათი მილები ცარიელი დატოვა. რუსეთთან „ენერგეტიკული უსაფრთხოების“ განხილვა მათთვის იგივეა, რაც ამბანაკ ნინგათან წყალში უსაფრთხოებაზე საუბარი.

მტრულად განწყობილი ადამიანები აუცილებლად გაუსვამენ ხაზს იმას, რომ უაზრობაა რუსეთის წევრობა ამ კლუბში, რომელშიც შედიან ეკონომიკური სისტემის გიგანტები: აშშ, გერმანია, იაპონია, ინგლისი, საფრანგეთი, იტალია და კანადა. მოლაპარაკებების მაგიდასთან რატომ არ მოიძებნა ადგილი ჩინეთის პრეზიდენტ ჰუ ძინტაოსთვის (პუტინის ნაცვლად), რომლის ეკონომიკაც მსოფლიოში სიდიდით მეორეა? ბოლოს და ბოლოს, თავისი ენერგეტიკული რესურსებისა და გაზისა და ნავთობზე უჩვეულოდ მაღალი ფასის მიუხედავად, რუსეთის ნაციონალური შემოსავალი მხოლოდ ლოს-ანჯელესისას თუ შეედრება.

გაგრძელება A3 გვერდზე

## სანამ მიწას შეიძენდეთ

*დღეისთვის თბილისში საზოგადოებრივი სივრცის დიდი ნაწილი გაყიდულია. მერიის ურბანული დაგეგმარების სამსახური მენაშენეებს აფრთხილებს, რომ სანამ მიწის ნაკვეთს შეიძენენ, ჯერ მათ სამსახურში გაიარონ კონსულტაცია, რადგან მოტყუებულები არ დარჩნენ. როგორც თბილისის მთავარი არქიტექტორი აცხადებს, წლის ბოლოს ქალაქს გენერალური გეგმაც ექნება, რომელიც მენაშენეებს მისცემს სრულყოფილ სურათს, თუ რა არის ქალაქის მოთხოვნა.*

თამარ დვალი

1976 წლის შემდეგ თბილისში გენგეგმა აღარ გაუკეთებიათ. წლების განმავლობაში ამისთვის დედაქალაქის ბიუჯეტში თანხები იდებოდა, თუმცა მისი შემუშავება დღემდე ვერ მოხერხდა. ამ და სხვა მიზეზების გამო დედაქალაქი ქაოტურად გაშენდა. ურბანისტთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ ქალაქის სტრატეგიული კონცეფციის შემუშავებას მთავრობა შეგნებულად აჭიანურებდა. როდესაც ქალაქს ექნებოდა გენგეგმა, ანუ დოკუმენტალურად ჩამოყალიბებული პირობები, მაშინ ლავირების ნაკლები შესაძლებლობა იქნებოდა. თბილისის მერიის ურბანულ სამსახურში აცხადებენ, რომ წლის ბოლოს ქალაქს ე.წ გენგეგმა აუცილებლად ექნება.

სანამ ქალაქის განაშენიანების გენერალური სქემა შემუშავდება, მერიის ურბანული სამსახური მოსახლეობას ურჩევს, წინასწარი ინფორმაციის გარეშე მიწის შეძენისგან თავი შეიკავონ.

**„მიწის პრივატიზაციის პროცესი თბილისში ქაოტურად მოხდა. საზოგადოებრივი სივრცის დიდი ნაწილი პრივატიზირებულია. გაყიდულია ხიდები, სკვერები, ტროტუარები, სადაც მშენებლობის დაწყება დაუშვებელია. ამის გამო, დღეს ხდება მიწის ნაკვეთების რამდენჯერმე გადაყიდვა. მყიდველი ხშირად ხვდება გაურკვეველ სიტუაციაში. მას შემდეგ, რაც იგი შეიძენს ნაკვეთს საბაზრო ფასში, მერე გებულობს, რომ ამ ტერიტორიაზე მშენებლობის დაწყება დაუშვებელია. მინდა გავაფრთხილო ყველა, რომ არ შეიძინონ მიწის ნაკვეთი, სანამ ჩვენს სამსახურთან არ გაივლიან კონსულტაციას. ჩვენ მათ ქალაქმშენებლობის კუთხით მივცემთ დასკვნას, რათა ინვესტიცია უპრობლემოდ განახორციელონ,“** - განაცხადა მერიის ურბანული დაგეგმარების სამსახურის უფროსმა ნიკოლოზ ჩხაიძემ.

მაგალითად, დღეს დიღმის ტყე-პარკის გარკვეული ნაწილი კერძო საკუთრებაშია, თუკი ვინმე ამ ადგილს შემოგთავაზებთ, უნდა იცოდეთ, რომ იქ რაიმეს აშენება დაუშვებელია. ქალაქში მსგავსი ადგილები არც თუ ისე მცირე რაოდენობითაა.

რაც შეეხება ე.წ გენგეგმას, ურბანულ სამსახურში უკვე არსებობს მონაცემთა ბაზა. რამდენიმე დღეში ინფორმაციის გადამუშავება დაიწყება. კონცეპტუალური ნაწილის ჩამოყალიბების შემდეგ, ქართველი სპეციალისტების მიერ შემუშავებულ დოკუმენტს უცხოელ ექსპერტებს გააცნობენ. სექტემბრისთვის გამოცხადდება ტენდერი.

როგორც ჩხაიძემ აღნიშნა გენგეგმა, რომელსაც ახლა შეიმუშავებენ შინაარსობრივად სულ სხვა სახის დოკუმენტი იქნება, ვიდრე საბჭოთა კავშირის დროს არსებობდა. **„ის იყო სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამა, რომელიც ყველა დარგის განვითარებას ითვალისწინებდა, მათ შორის მშენებლობისაც. დღეს ჩვენ ვიცით, რომ ვაშენებთ ევროპულ ქალაქს მთელი თავისი მახასიათებლებით. გენგეგმა არ არის დოკუმენტი, რომელზეც დეტალურად იქნება დატანილი, სად რა გაკეთდება. ეს არის სხვადასხვა დარგობრივი მიმართულებების თავმოყრა. ამ დოკუმენტს ექნება მარეგულირებელი დანიშნულება,“** - აღნიშნა „24 საათთან“ საუბრისას ნიკოლოზ ჩხაიძემ.



## თავისუფალი სიტყვა

*ახალი მედიაპროექტი რადიო „უცნობის“ ეთერში გადის ყოველი სამუშაო დღის 13 საათზე. გადაცემა მიჰყავს ჟურნალისტ ნინია კაკაბაძეს. გადაცემის თემაა სანდრო გირგვლიანის მკვლელობა, ხოლო სტუმარი მწერალი დათო ტურაშვილი.*

**ნინია კაკაბაძე:** როდესაც სანდრო გირგვლიანის ტრაგიკული მკვლელობა მოხდა, საზოგადოება მაშინ, შინაგან საქმეთა მინისტრის ვანო მერაბიშვლის გადაყენებას ითხოვდა, რადგან გაჩნდა ეჭვი, რომ მის სტრუქტურაში მყოფი მაღალჩინოსნები არიან ამ მკვლელობაში ეჭვმიტანილები. თუმცა ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ ვანო მერაბიშვილის სამინისტრო არის ყველაზე წარმატებული უწყება. ისინი, ვანოს როგორც ერთ-ერთ წარმატებულ მინისტრს ვერ შეელევიან. საინტერესოა, რამდენად წარმატებულია დღეს ვანო მერაბიშვილის უწყება და რაში გამოიხატება მისი წარმატება და წარუმატებლობა?

**დათო ტურაშვილი:** ეს ის თემაა, რომელზე ლაპარაკს ვერავინ ვერ გავექცევით, ისე როგორც ვერ გაექცევიან დამნაშავე ადამიანები პასუხისმგებლობას. საერთოდ, არ არსებობს დანაშაული, რომელიც არ გაცხადდება. ბოლო რამოდენიმეწლიან ისტორიას რომ გადავხედოთ , ყველამ კარგად ვიცით , იმ დროს ხელისუფლებას ეგონა, რომ ისინი მარადიულები იყვნენ და რაღაც საშინელებებს აკეთებდნენ. თუმცა, ეს ასე არ მოხდა და ყველამ სათანადო პასუხი აგო.

**ნ.კ.** სამწუხაროდ, ამ ხელისუფლებასაც ჰგონია, რომ ისინიც მარადიულები არიან?

**დ.ტ.** საერთოდ, ეს ხელისუფლების დამახასიათებელი თვისებაა. რა ხელისუფლებასაც ჩვენ მოვესწარით, ყველანი დარწმუნებული იყვნენ, რომ ისინი მარადიულები იქნებოდნენ. მე რომ იმ დროს საქართველოში ვყოფილიყავი, ვანო მერაბიშვილს აუცილებლად ვურჩევდი, რომ სწორი არჩევანი გაეკეთებინა. მართალია არ დამიჯერებდა, მაგრამ მე მაინც ვურჩევდი.

**ნ.კ.** მაშინ, როდესაც საზოგადოება, ამ გახმაურებულ მკვლელობაზე აქტიურად ითხოვს მკვლელების დასჯას, რატომ არ აკეთებს ამას მერაბიშვილი?

**დ.ტ.** აქ არის რამოდენიმე მიზეზი და მათზე საუბარი ნამდვილად არ მინდა, მაგრამ მთავარ მიზეზზე გავამახვილებ ყურადღებას. ჩემი დაკვირვებით, ამ ხელისუფლების წევრი თუ ცუდად მოიქცა და ეს აღიარა, ამას ისინი რეიტინგის დაცემად მიიჩნევენ. არა და სიმართლის აღიარება საზიანო ნამდვილად არ იქნება, როგორც ეს მათ ჰგონიათ. ჩვენი საზოგადოება განსაკუთრებულად მგრძნობიარეა გულწრფელობის მიმართ. მაშინ, როდესაც რობაქიძე მოკლეს, მე მერაბიშვილს მივწერე ღია წერილი, რომ არ დაეშვათ შეცდომა. იმის ნაცვლად, რომ შეცდომა ეღიარებინათ, რობაქიძის მეგობრებს რაც კი რამ არსენალი იყო, ყველა ჩაუდეს. ეს იყო ის შეცდომა, რომლის გამოსწორება, მაშინვე შეიძლებოდა, თუმცა ეს ასე არ მოხდა. მაშინ, რომ ხელისუფლების ყველა რანგის წარმომადგენელს დაენახა, თუ როგორი კატეგორიული და მომთხოვნია უმაღლესი ხელისუფლება კანონის მიმართ, დარწმუნებული ვარ სანდრო გირგვლიანის მკვლელობა არ მოხდებოდა.

**ნ.კ.** ამ შეცდომას დღეს აღიარებენ...

**დ.ტ.** ეხლა კი აღიარებენ, მაგრამ უკვე ძალიან გვიანია. რობაქიძის შემთხვევაში, შესაძლოა, ეგონათ, რომ რადგან პატრული ახალი შექმნილი იყო მათი პრესტიჟი დაეცემოდა. არადა პირიქით იქნებოდა. როდესაც შენ მატყუებ, რა თქმა უნდა, ნდობის მომენტი არ მექნება. რაც შეეხება, სანდრო გვირგვლიანის საქმეს, მკვლელობა რომ არ გაიხსნას, აქ მთავარი მოტივაცია შიშია. როდესაც მსგავსი ფაქტი ხდება, არჩევანი არა ჩინოვნიკის , არამედ ხელისუფლების სასარგებლოდ უნდა გააკეთო.

## დევნილები ძალის გამოყენებით გამოასახლეს

პირველი გვერდიდან

დევნილთა ძალით გამოსახლების შესახებ განცხადებას აკეთებენ არასამთავრობო ორგანიზაციები. მათი განცხადებით, გუშინდელი აქცია კანონთან შესაბამისობაში არ მოდის. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის აჭარის ფილიალის ხელმძღვანელის, პაატა შარაძის თქმით, **„დევნილთა გამოსახლების არანაირი სამართლებრივი საფუძვლები არ არსებობს. რადგან ეს პროცესები სასამართლოშია გასაჩივრებული, დევნილთა მხრიდან არაერთი სარჩელია შესული და როდესაც საქმე სასამართლოშია, ასეთ დროს, სანამ სასამართლო გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში არ შევა, ყოველგვარი აქტის მოქმედება შეჩერებულია. ხელისუფლება კი ამ შემთხვევაში სასამართლო გადაწყვეტილებას არ დაელოდა“.**



აჭარის ხელისუფლების ხელმძღვანელი ლევან ვარშალომიძე კი დევნილთა ძალით გამოსახლებით კმაყოფილია. მისი განცხადებით დევნილების პროტესტის საბაბი არ ჰქონდათ, ეს უბრალოდ, ვიღაცეების მიერ სპეციალურად აგორებული აქცია იყო: **„რაც ბათუმში ორი-სამი დღის განმავლობაში ხდებოდა, ამას გარკვეული ძალები ედგნენ სათავეში. მე მინდა განვაცხადო, რომ აჭარის მთავრობას შანტაჟის, ულტიმატუმის ენით გადაწყვეტილებას ვერავინ შეაცვლევინებს. ჩვენი გადაწყვეტილება არის ძალიან მარტივი. ჩვენ მათ შევთავაზეთ ალტერნატიული საცხოვრებელი, კომპენსაციები და შემწეობები“.**

## დევნილებს აფხაზეთში არ ელოდებიან

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე აჭარაში ყაზახი ინვესტორების მიერ შეძენილი სასტუმროებიდან გამოსახლებულ დევნილებს აქციას არ უწონებს.

როგორც ბურჯანაძემ განაცხადა, იგი ვერ გაამართლებს ვერც ერთ დევნილს, ვინც აფხაზეთის მოქალაქეობას მიიღებს. **„მე არ მინდა მათ მოღალატეები ვუწოდო, მაგრამ ეს რეალურად ასეა. არავის აქვს უფლება, თუნდაც საკუთარი, თუნდაც კანონიერი და სამართლიანი ინტერესი სამშობლოზე მაღლა დააყენოს“**, - განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ.

სპიკერის თქმით, იგი ქედს იხრის ყველა იმ დევნილის წინაშე, რომელმაც აფხაზეთის პრობლემა საკუთარ თავზე, სიცოცხლის ფასად გადაიტანა. თუმცა, ვერანაირად გაამართლებს დევნილების განცხადებებს იმის თაობაზე, რომ ისინი აფხაზეთში წასვლას და დე-ფაქტო ხელისუფლების გამოგონილი მოქალაქეობის მიღებას აპირებენ.

**„ქვეყანას არ აქვს იმის შესაძლებლობა, რომ დევნილებს შესთავაზოს ის, რაც მათ სოხუმში დაკარგეს. საქართველოს ხელისუფლება, შესაძლებლობის ფარგლებში, ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ დევნილებს ცხოვრების ნორმალური პირობები შეუქმნას“**, - აღნიშნა ბურჯანაძემ.

**„ვისაც საქართველოს მოქალაქეობა არ უნდა და რუსეთის მოქალაქეობის მიღება სურს, აგერ გზა და რაც უნდათ, ის ქნან“**, - განაცხადა გუშინ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა დევნილთა გარკვეული ნაწილის გადაწყვეტილების კომენტირებისას.

ხელისუფლებიდან დევნილებს მხოლოდ კონფლიქტების მოგვარების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი გიორგი ხაინდრავა გამოესარჩლა. სახელმწიფო მინისტრის განცხადებით, იგი აჭარის ხელისუფლების მიერ დევნილთა მიმართ განხორციელებულმა ძალადობის კადრებმა შეძრა, ვინაიდან კარგად იცის, რომ დევნილთა მხრებზე გადაიარა საქართველოს ტრაგედიამ და ისინი არც ტერორისტები არიან და არც კანონდამრღვევები.

მისივე აზრით, ძალაუფლება არავის აძლევს **„ყველაზე მეტად დაჩაგრული ხალხის დაჩაგვრის უფლებას“** და ვიდრე აჭარის ახალგაზრდა ხელისუფლება დევნილთა გამოსახლების შესახებ გადაწყვეტილებას მიიღებდა, **„შექმნილ ვითარებაში გამოსავალი უნდა მოეძებნა“.**

სახელმწიფო მინისტრი სინანულს გამოთქვამს იმის გამო, რომ თავის დროზე იგი აჭარაში მცხოვრებ დევნილთა პრობლემებს ჩამოაშორეს. **„თუ სპეცრაზმები მშვიდობიანი მოსახლეობის დასასჯელად შევქმენით, მაშინ ძალიან შევმცდარვართ“**, - განაცხადა გიორგი ხაინდრავამ.

**„თუ ხელისუფლება დევნილებს საკუთარ სახლებში ვერ აბრუნებს, კეთილი ინებოს და ისე მოიქცეს, როგორც ეს საქართველოსა და აჭარის ხელისუფლებას ეკადრება“,** - აღნიშნავს ხაინდრავა. სახელმწიფო მინისტრი ხელისუფლებას აფრთხილებს, რომ **„ძალადობა, მხოლოდ ძალადობას შობს და ამით ხელისუფლება სერიოზულ პრობლემებს იქმნის“.**

**„არავის ეგონოს, რომ მხოლოდ თანამდებობის გამო ჩვენ დავკარგავთ ამ ხალხის პატივისცემას და სიყვარულს“**, - განაცხადა ხაინდრავამ და დასძინა, **„დევნილებმა ისიც კარგად უნდა იცოდნენ, რომ აფხაზეთში დაბრუნებულებს მათ კარგი არაფერი ელოდებათ“.**

გუშინვე, ჭუბურხინჯში გამართულ ოთხმხრივ შეხვედრაზე აფხაზურმა მხარემ კატეგორიული უარი განაცხადა იმ ქართველი დევნილების მიღებაზე, რომლებიც ბათუმიდან ენგურის ხიდისკენ მიემართებიან.

აფხაზური მხარის წარმომადგენელთა თქმით, მათ არც სურვილი აქვთ და არც საშუალება, რომ დევნილები აფხაზეთის ტერიტორიაზე საცხოვრებელი ფართით დააკმაყოფილონ.

აფხაზური მხარის განცხადებით, დევნილების ნაწილის აფხაზეთში სპონტანურად დაბრუნება გამორიცხულია და ეს საკითხი ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებების შედეგად უნდა გადაწყდეს, რომელიც ინტენსიურად მიმდინარეობს.

*24 საათი*

## საქართველოს პარლამენტის რიგგარეშე სხდომა დღეს გაიმართება

საქართველოს პარლამენტის რიგგარეშე სხდომა დღეს გაიმართება. გუშინ პარლამენტის ბიუროს სხდომა ჩატარდა, რომელზეც პლენარულ სხდომაზე გასატანი საკითხები განიხილეს.

პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძის განცხადებით, სხდომის მოწვევის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი მოახლოებული თვითმმართველობის არჩევნები და საარჩევნო სიების დაზუსტებაა.

ბურჯანაძის თქმით, „რესპუბლიკურმა პარტიამ“ საკანონმდებლო ორგანოს საარჩევნო კოდექსში შესატანი ცვლილებების პროექტი შესთავაზა, რომელიც სიების გადამოწმების დამატებითი მექანიზმების შექმნას ითვალისწინებს.

პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით, ამ საკითზე ანალოგიური პოზიცია აქვთ საერთაშორისო ორგანიზაციებს და სწორედ ამიტომ, საკანონმდებლო ორგანომ მიიღო გადაწყვეტილება საარჩევნო კოდექსის გარდამავალ დებულებებში ცვლილებები შეეტანა. სპიკერის ინფორმაციით, კოდექსის გარდამავალ დებულებაში ჩაიწერება, რომ ერთი კვირის ვადაში უნდა შეიქმნას კომისიები, რომელიც საარჩევნო სიებს გადაამოწმებს.

„საარჩევნო სიები, რომელიც ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მოგვაწოდა კიდევ არ იძლევა იმის გარანტიას, რომ არჩევნები სამართლიანად და ობიექტურად ჩატარდება“, - აღნიშნა პარლამენტის თავმჯდომარემ. მისივე განცხადებით, საპარლამენტო უმრავლესობამ ოპოზიციას შესთავაზა საარჩევნო სიების გადამოწმებასთან დაკავშირებით ერთობლივი მემორანდუმი და კომუნიკე გაფორმებულიყო, თუმცა, კომუნიკეს გაფორმება ვერ ხერხდება, რადგან ოპოზიცია მიიჩნევს, რომ სიების გადასამოწმებლად და დემოკრატიული და ობიექტური არჩევნების ჩასატარებლად მხოლოდ კომუნიკეს მიღება არ არის საკმარისი.

პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით, საარჩევნო კოდექსში ცვლილებების შეტანის შემდეგ, ბიუჯეტიდან დამატებით 3,5 მილიონი ლარის გამოყოფა გახდება აუცილებელი.

„ეს არის პოლიტიკური გადაწყვეტილება და ხელისუფლება მიიჩნევს, რომ აღნიშნული თანხის გაცემა აუცილებელია, რათა არჩევნები დემოკრატიულად ჩატარდეს“ - აღნიშნა ბურჯანაძემ.

პარლამენტის რიგგარეშე სესია დღეს 12.00 საათზე გაიხსნება და ერთ დღეს გასტანს.

*ინტერპრესნიუსი*

## ინკლუზიური სწავლება საქართველოში

*ინკლუზიური სწავლება შეზღუდული მოქმედების მქონე ბავშვების სასწავლო პროცესში სრულფასოვან ჩაბმას გულისხმობს, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს საზოგადოებაში მათ ინტეგრაციასა და თვითდამკვიდრებას. საქართველოში ინვალიდი ბავშვთა რიცხვიც და პრობლემებიც წლების მანძილზე სულ უფრო იზრდება.*

ნინო ბერელიძე

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ჩაფიქრებული ინკლუზიური განათლების პროექტის „პილოტირების“ მიზნით 2006-2007 სასწავლო წელს საქართველოს მასშტაბით ათი საჯარო სკოლა შეირჩევა. პირველ ეტაპზე პროექტში საპილოტე სკოლების პირველი და მეოთხე კლასის მოსწავლეები ჩაებმებიან. პროექტი ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მიერ, ნორვეგიის მთავრობის მხარდაჭერით ხორციელდება. **„ საგანმანათლებლო პროცესში ჩართულობა და შესაბამისი განათლების მიღება ყველა ბავშვის კონსტიტუციური უფლებაა. ინკლუზიური სწავლების განხორციელება წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს სტარტეგიას შეზღუდული უნარის მქონე ბავსვების საზოგადოებაში ინტეგრაციისაა და სოციალიზაციის მიზნით“** - აღნიშნავს ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის ხელმძღვანელი სიმონ ჯანაშია.

თუმცა, რამდენიმე წელია თბილისის თორმეტ სკოლაში უკვე დაინერგა და წარმატებითაც მიმდინარეობს ინკლუზიური სწავლების პროცესი. სკოლებში ურთიერთ შეჩვევისა და ადაპტაციის პერიოდი უმტკივნეულო სულაც არ ყოფილა, და მას უამრავი დაბრკოლება ახლდა თან. მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის ურთიერთობების სრულყოფის მიზნით, პერმანენტულად მიმდინარეობს ფსიქოლოგიური მომზადება - ტრენინგები.

თორმეტთაგან ერთ-ერთია თბილისის მე-10 საჯარო სკოლაც, სადაც ასოციაცია „ანიკას“ ხელშეწყობით, შეზღუდული უნარის მქონე სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის თვრამეტი ბავშვი სწავლობს. როგორც სკოლის პედაგოგები აღნიშნავენ, ეს ბავშვები ნიჭიერებითა და გულმოდგინებით გამოირჩევიან თანატოლებისაგან. მათ უმრავლესობას მაღალი აკადემიური მოსწრება აქვთ.

ასოციაცია „ანიკას“ აღსაზრდელებისათვის დილა რვა საათზე იწყება. ბავშვები სკოლიაში წასასვლელად ემზადებიან და სპეციალურად მათთვის განკუთვნილ ავტობუსში იკავებენ ადგილებს, რომლებსაც ისინი სკოლებში მიჰყავს.

**„სამი წელია ამ სკოლაში ვსწავლობ. უკვე მივეჩვიე ჩემს კლასელებს და ბევრი მეგობარიც მყავს. სკოლა და ბავშვებთან ურთიერთობა ძალიან მიხარია. სახლში მოწყენილი ვიყავი, რადგან სწავლა არ შემეძლო. ახლა კი მინდა ყველა კლასელს ვაჯობო და კარგად ვისწავლო. აქ თავს თავისუფლად ვგრძნობ. სკოლას რომ დავამთავრებ, ექიმი გავხდები,“** - გვიამბობს მე-10 სკოლის, მერვე კლასის მოსწავლე მარიამ ჯიშკარიანი, რომელიც ინვალიდის სავარძელში ზის და თვალს დერეფანში მოთამაშე თანაკლასელებისაკენ აპარებს. ერთი სული აქვს, ჩემთან ლაპარაკს როდის მორჩება, რომ მათ შეუერთდეს.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინკლუზიური განთლების პროექტი სასწავლო პროცესში შემდეგი ჯგუფების ჩართვასაც გულისხმობს: ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები, ემოციური, ქცევისა და მეტყველების პრობლემების მქონე ბავშვები, სოციალურად დაუცველი ბავშვები, გენდერული ნიშნით გარიყულები, მაწანწალა და უსახლკარო ბავშვები, რომელთა რიცხვიც ყოველწლიურად იზრდება.

## მოკლედ

### კონსულტაციები საქართველოსა და ბელგიის საგარეო საქმეთა სამინისტროებს შორის

ბრიუსელში საქართველოსა და ბელგიის საგარეო საქმეთა სამინისტროების წარმომადგენლებს შორის პოლიტიკური კონსულტაციები გაიმართა.

მხარეებმა განიხილეს საქართველოსა და ბელგიას შორის არსებული ორმხრივი ურთიერთობები, ასევე საქართველოს მოქალაქეებისთვის ბელგიის ვიზების გაცემის გართულებული პროცედურის საკითხი, ორმხრივი ეკონომიკური ურთიერთობების გააქტიურების მიზანშეწონილობა, ბელგიისა და საქართველოს რეგიონებს შორის კონტაქტების დამყარება.

საუბარი აგრეთვე შეეხო საქართველოს ურთიერთობებს მეზობელ სახელმწიფოებთან, საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობას ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ საგარეო საქმეთა სამინისტროდან აცნობეს, ბელგიის მხარეს მიეწოდა ინფორმაცია საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ კონფლიქტურ რეგიონებში ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენების შესახებ. **ინტერპრესნიუსი**

### გიორგი მანჯგალაძე გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის წარმომადგენელს ნავიდ ჰუსეინს შეხვდა

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გიორგი მანჯგალაძე გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის (გლუკ) წარმომადგენელს ნავიდ ჰუსეინს შეხვდა.

შეხვედრის ძირითადი თემა იყო გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ანტონიო გუტიერეს საქართველოში ვიზიტი, რომელიც 2006 წლის აგვისტოში გაიმართება.

საუბარი ასევე შეეხო გლუკ-ის წარმომადგენლობის თანამშრომლობას საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსთან იძულებით გადაადგილებულ პირთა და დევნილთა ხელახალი რეგისტრაციის პროცესში.

ნავიდ ჰუსეინმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ გლუკის მიზანი არის ხელი შეუწყოს დევნილთა დაბრუნებასა და მათთვის უსაფრთხოების პირობების შექმნას როგორც გალის რაიონში, ისე მთელ აფხაზეთში. **ინტერპრესნიუსი**

### თავდაცვის სამინისტროში მიმდინარე რეფორმები განიხილეს

გუშინ საქართველოს თავდაცვის სამინისტროში თავდაცვის მინისტრის პირველ მოადგილეს, მამუკა კუდავასა და საქართველოში აკრედიტებულ თავდაცვის ატაშეების ასოციაციის წევრებს შორის შეხვედრა გაიმართა. შეხვედრას ასევე ესწრებოდა სამხრეთ კავკასიაში ნატო-ს მეკავშირე ოფიცერი, რომუალდს რაჟუკსი.

შეხვედრაზე განიხილეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროში მიმდინარე რეფორმები და მომავალში დაგეგმილი ღონისძიებები.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებმა თავდაცვის ატაშეებს მათთვის საინტერესო სფეროებზე ინფორმაცია მიაწოდეს.

შეხვედრისას მხარეებმა საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და საქართველოში აკრედიტებული თავდაცვის ატაშეების ასოციაციას შორის შემდგომი თანამშრომლობის პერსპექტივებზეც ისაუბრეს. **მედიანიუსი**

### ხელისუფლების წარმომადგენელთა მამხილებელი გადაცემა

გუშინ საღამოს გავრცელდა ინფორმაცია, რომ ტელეკომპანია „თრიალეთის“ ეთერში გავა გადაცემა „ფაქტები რის გამოც დაიწყო თრიალეთზე ზეწოლა“.

გადაცემა ტელეკომპანიის საინფორმაციო გამოშვების საარქივო მასალებზეა აგებული. საინფორმაციო სამსახურის უფროსის სოფო რეზრიჩენკოს თქმით, გადაცემა ეთერში 22 საათზე გავა, ხოლო ხვალ განმეორებით აჩვენებენ, რის შემდეგაც გადაცემის ჩანაწერები სხვადასხვა ტელეკომპანიებს გადაეცემათ.

სოფო რეზრიაჩენკოს თქმით, აღნიშნული კადრების საკუთარი სატელევიზიო ეთერით გაშვების სურვილი მხოლოდ ტელეკომპანია „202“-ის და „კავკასიის“ ხელმძღვანელობამ გამოთქვა. „გადაცემაში გამოყენებული ყველა კადრი „თრიალეთის“ ექსკლუზივია. მასში ასახული კადრები „თრიალეთზე“ ზეწოლის ფაქტს ადასტურებს. მაგალითად, კადრი, სადაც პარლამენტარი დავით კირკიტაძე ჩვენს ჟურნალისტს ეკითხება - „თქვენ კიდე არ დაგხურესო?“ ამ დროს კირკიტაძეს არ ეგონა, რომ კამერა ჩართული იყო. ჩაწერილი გვყავს არასრულწლოვანი გოგონები, რომლებიც სამართლადამცავებს მათზე ძალადობაში ადანაშაულებენ და სხვა ამგვარი კადრები“, - აღნიშნა სოფო რეზრიაჩენკომ. **მედიანიუსი**

**24 საათი:** მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (Weekend), ნიკა თარაშვილი (პოლიტიკა), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ბიძინა მაყაშვილი (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი).
რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი

**რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge**

# რუსეთის სკეპტიკური პარტნიორები „დიდი რვიანიდან"

პირველი გვერდიდან

ყველაზე მეტად პუტინს ესაჭიროება ის, რომ კრიტიკის მწვავედ აღქმისგან და შეტევის გაგრძელების სურვილისგან გათავისუფლდეს. მას შეუძლია დაიწყოს შემდეგით: თავის თვითკმაყოფილ დემოკრატიულ ორეულებს ყურადღება იმაზე მიაქცევინოს, რომ იგი გაცილებით პოპულარულია რუსეთში, ვიდრე ნებისმიერი მათგანი თავის ქვეყანაში. პუტინს, ფაქტობრივად, დღესვე შეუძლია გაიმარჯვოს სამართლიან არჩევნებში. „დიდი რვიანის" ლიდერი ყველა როდი გაბედავს მსგავსი განცხადების გაკეთებას ისე, სახე რომ არ დამალოს.

უეჭველია, რომ პუტინის წარმატება თავისუფალი პრესის განადგურების საქმეში მას ღია ოპოზიციის დათრგუნვაშიც დაეხმარა. ამის გათვალისწინებითაც კი პუტინი ხალხში ძალიან პოპულარულია. რუს ხალხს სწყურია ლიდერი, რომელიც ღუზას ისე ჩაუშვებს, რომ ქვეყნას არ ჩაძირავს.

პუტინს აგრეთვე შეუძლია ამტკიცოს, რომ რუსეთის მდგომარეობა გაცილებით უფრო სტაბილურია, ვიდრე „დიდი რვიანის" სხვა წევრებისა. ამაში მას ის ფაქტი ეხმარება, რომ ციმბირი ნავთობის გიგანტურ ჭაბურღილად იქცა, საიდანაც ხელისუფლება დიდძალ ფულს ქაჩავს.

მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ არის მთელი ისტორია. ეკონომისტების უმეტესი ნაწილი ემხრობა აზრს, რომ მდიდარმა ქვეყნებმა თავიანთი რთული და მოძველებული საგადასახადო კოდექსები დაბალი გადასახადებით უნდა შეცვალონ, რომელთა ამოღებაც ერთიანი განაკვეთით მოხდება. ეს ეკონომისტები წუხილს გამოთქვამენ, რომ აღნიშნულ სქემას არცთუ ისე ბევრი ქვეყანა იყენებს. თუმცა, პუტინმა ასეთი პოლიტიკა ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ განახორციელა და თითქმის ფენომენალური შედეგი მიიღო.

რუსეთის ბიუჯეტის პრობლემების მოგვარების სხვა მეთოდები „დიდი რვიანის" დანარჩენ ლიდერებს ნაკლებად მოხიბლავს. ისინი ვერ ახერხებენ პოლიტიკური თანხმობის მიღწევას, როდესაც საქმე ეხება საპენსიო ასაკის გაზრდას ან ინფლაციასთან მიმართებაში მოგების ინდექსაციის მნიშვნელოვან შემცირებას. მათგან განსხვავებით, რუსეთმა თავის პენსიონერებს ხელი დაუქნია და მათი შემოსავლები ინფლაციით გააუფასურა.

რუსეთის მრავალ ხანდაზმულ მოქალაქეს, იმისთვის, რომ თავი გაიტანოს, ერთ ციცქნა მიწის ნაკვეთებზე კარტოფილის მოყვანა უხდება. ამით უნდა აიხსნას ის, თუ როგორ გადარჩნენ ისინი საერთოდ: ბერლინის კედლის დაცემიდან მოყოლებული, რუსეთში მამაკაცების სიცოცხლის ხანგრძლივობა 65-დან დაახლოებით 60 წლამდე დაეცა. არსებობს იმის უტყუარი მტკიცებულებაც, რომ გარდამავალ პერიოდში სიკვდილიანობის მთავარ მიზეზს სტრესი წარმოადგენს. მან პოსტკომუნისტური რუსეთის ისეთ საშინელებებსაც კი გადააჭარბა, როგორიც არის ალკოჰოლიზმი, მკვლელობები და შიდსი. იქნებ ღირდეს, პუტინმა უთხრას თავის კოლეგებს, რომ მათაც შეუძლიათ საკუთარ ქვეყნებში, ასაკოვანი ადამიანების შიმშილით გაწირვის გზით, სხვადასხვა თაობების გაწონასწორება?

პუტინს არ ულირს თავისი ქვეყნის მიღწევების ხმამაღალი აფიშირება. შესაძლოა, უკეთესი გეგმაც არსებობდეს. კერძოდ კი ის, რომ ფოტოებზე მომღიმარი ადამიანების დანახვის იმედით, არაყი მდინარეებად მოედინებოდეს. ნებისმიერ შემთხვევაში, როდესაც პუტინი აუწყებს თავის სტუმრებს, რომ მათ, თავიანთივე „ენერგეტიკული უსაფრთხოებისთვის", „შეუძლიათ", რუსეთს უფრო მეტი გადაუხადონ, იგი, ბოლოს და ბოლოს, დაიმსახურებს პატივისცემას, რასაც ასე ძალიან ესწრაფვის.

*პროექტი სინდიკატი, 2006წ.*

# ევროპის სურვილი და რეალობა

პირველი გვერდიდან

დღეს, პირველ ნახევარში, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა მუშაობას დაამთავრებს და ერთგვარ ესტაფეტას გადასცემს ევროსაბჭოს ახალგაზრდულ ორგანიზაციათა წარმომადგენლებს, რომლებიც შეიკრიბებიან ფორუმზე დევიზით - „მრავალფეროვნების გზით ერთიანობისაკენ". ამ ფორუმში მონაწილეობს საქართველოს ახალგაზრდული ორგანიზაცია „კავშირი - 21-ე საუკუნე", რომელსაც წარმოადგენს მისი აღმასრულებელი მდივანი ხათუნა ცინცაძე. მან ყურადღება გაამახვილა ეროვნული საკოორდინაციო კომიტეტის შექმნის აუცილებლობაზე საქართველოში, რათა **„ყველა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებმა შეძლონ მონაწილეობის მიღება ისეთ პროექტებში, სადაც რელიგიური, ეთნიკური და ეროვნული მრავაფეროვნება იქნება მიღწეული და პატივდებული."**

ეს პრინციპი, რომელზეც ხათუნა ცინცაძე საუბრობდა, განსაზღვრავდა კიდეც ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მუშაობის დღის წესრიგს, მაგრამ როგორც ამ სესიამ აჩვენა, არა მხოლოდ ახალგაზრდებს, არამედ უფროს თაობას - გამოცდილ და ცნობილ პოლიტიკოსებსაც კი უჭირთ ერთიანობისა და ტოლერანტობის მიღწევა მრავალფეროვანი ევროპის შეიგნით.

# "ტესტი დემოკრატიაში" და არჩევნების პროცედურა

*„24 საათი" შეეცადა გაერკვია, თუ რა სიახლეებია მოსალოდნელი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დროს და რამდენად იქნება გათვალისწინებული ევროსაბჭოს ექსპერტების რეკომენდაციები.*

ნათია მსხილაძე

ოქტომბერში საქართველოში ჩამოსულმა ევროსაბჭოს ექსპერტმა ბერნარ ოუენმა, შუალედურ არჩევნებზე დაკვირვების შედეგად, საქართველოს საარჩევნო სისტემის სამ ძირითად ხარვეზზე გაამახვილა ყურადღება. ესენია: ამომრჩეველთა სია, საარჩევნო ადმინისტრაციის ინსტიტუციური მოწყობა და საარჩევნო პროცედურების სირთულე.

ამომრჩეველთა ერთიანი სიის კორექტირება ახალი კომპიუტერული პროგრამის მეშვეობით უნდა განხორციელებულიყო და, შესაბამისად, ტენდერიც გამოაცხადა. საწყის ეტაპზე სამი კომპიუტერული ფირმა შეირჩა. შ.პ.ს. „გეოსკოპი" სიების შედგენისთვის 39 000 ლარს ითხოვდა, „გეოგრაფიკი" 23 906.80 ლარს, ხოლო „გეოანალიტიკა" 67 000 ლარს. აღნიშნული კომპიუტერული ფირმებიდან პრიორიტეტი შესრულების ხარისხს და ვადებს ენიჭებოდა. გამარჯვებულ ფირმას ამომრჩეველთა ერთიანი სიების ფორმირება ორ თვეში უნდა დაესრულებინა. ცესკო-მ უპირატესობა კომპიუტერულ კომპანია „გეოანალიტიკას" მიანიჭა.

როგორც ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე გურამ ჩალაგაშვილი აცხადებს, ამომრჩეველთა სიის წინასწარი ვერსიით, საქართველოში 3 მლნ 200 ათასი ამომრჩეველია, თუმცა მათ რიცხვში არ შედიან დევნილები.

დევნილების სია საბოლოოდ 15 სექტემბრამდე გადაიხედება. ჩალაგაშვილის განცხადებით, დევნილ ამომრჩეველთა სიებთან დაკავშირებით გარკვეული პრობლემები არსებობს. **„სიებში 10 ათასი ადამიანია, რომლებმაც დევნილის სტატუსი ყალბი დოკუმენტების გამოყენებით გაიფორმეს,"** - აღნიშნა ცესკო-ს თავმჯდომარემ.

ჯერ კიდევ მწვავედ დგას ე.წ მკვდარი სულების საკითხი. ჩალაგაშვილის მტკიცებით, თბილისში ეს პრობლემა ძირითადად გადაჭრილია, თუმცა რეგიონებში მონაცემები კვლავ დასახვეწია. **„ეს პრობლემა რეგიონებში, სავარაუდოდ, 40 დღეში მოგვარდება, მაგრამ ბევრი დრო დასჭირდება სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანას, რომელმაც მათი დაღუპვა უნდა აღიაროს,"** - აცხადებს ჩალაგაშვილი.

როგორც ცესკო-ში განგვიმარტეს, ერთიანი სიის სრული კომპიუტერული ვერსია საოლქო კომისიებს მზად 10 ივლისისთვის ექნებათ.

„რესპუბლიკური პარტია", სიების სიზუსტის თვალსაზრისით ცესკო-ს არ ენდობა და არგუმენტად ბათუმში არსებული ამომრჩეველთა რიცხვი მოჰყავს. **„ჩვენ შევისწავლეთ რამდენიმე ოლქი და დავამტკიცეთ, რომ სიები უვარგისია. ბათუმში გამოიგონეს, რომ 93 ათასი ამომრჩეველია. ამდენი ამომრჩეველი ასლან აბაშიძის დროს არ ყოფილა. სინამდვილეში 75 ათასი ამომრჩეველია. ორჯერ მოვიგე ოლქი და კარგად მახსოვს, რა იყო 90-იანი წლების დასაწყისში. იმის შემდეგ რაოდენობა შემცირდა და არ მომატებულა. ამ წლებში ვინც გარდაიცვალა, ყველა სიაშია, მათ შორის - ცნობილი ადამიანები,"** - აღნიშნა რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა დავით ბერძენიშვილმა.

**„ჩვენ გვაქვს კონკრეტული შეთავაზებები, რომ არჩევნების თარიღი დაინიშნოს არაუგვიანეს 90 დღისა არჩევნებამდე. არჩევნებამდე 70 დღით ადრე კი, საუბნო კომისიები შედგეს. თუ უმრავლესობა ამ შეთავაზებას მიიღებს, ეს იქნება ერთ-ერთი ნაბიჯი ტოტალური გაყალბების შესამცირებლად. თუმცა არასაკმარისია, რადგან ძალიან ბევრი ნაღმია ჩადებული საარჩევნო კოდექსში და საარჩევნო ადმინისტრაციაში"**, - აცხადებს ბერძენიშვილი.

მიმდინარე წელს საარჩევნო კოდექსში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება ამომრჩევლის ხმის მიცემის ფარულობის დაცვას ეხება. კერძოდ, საარჩევნო უბანზე მისულ ამომრჩეველს რეგისტრატორი აძლევს ბეჭედდასმულ და ხელმოწერილ ბიულეტენს, რის შემდეგაც იგი ხმის მისაცემად კაბინაში შედის. კაბინიდან გამოსვლის შემდეგ კი, ამომრჩეველი შემოხაზულ ბიულეტენს კონვერტში დებს და საარჩევნო ყუთში აგდებს.

აქამდე მოქმედი წესით, ხელმოწერილ ბიულეტენს გასცემდა რეგისტრატორი, უკვე შემოხაზულ ბიულეტენს კი, ბეჭდით საუბნო კომისიის წევრი ამოწმებდა, რის შემდეგაც, იგი კონვერტში იდებოდა და საარჩევნო ყუთში ხვდებოდა. როგორც ცესკო-ში ამბობენ, საუბნო კომისიის წევრს შეეძლო დაენახა შემოხაზული კანდიდატის ვინაობა და თუ იგი მისთვის არასასურველი იქნებოდა, ბიულეტენს ბეჭედსაც აღარ დაარტყამდა, რის შემდეგაც ეს ბიულეტენი გაყალბდებოდა.

კენჭისყრის დღეს რეგისტრაციას გამონაკლისი სახით მხოლოდ ის ამომრჩევლები გაივლიან, რომლებიც კენჭისყრამდე ოცი დღის განმავლობაში საქართველოში არ იმყოფებოდნენ. თუმცა საპატიო მიზეზი სასაზღვრო უწყების მიერ გაცემული სათანადო დოკუმენტაციით უნდა იყოს დადასტურებული.

გარდა ამისა, მეტი გამჭვირვალობისთვის და ხმების გაყალბების თავიდან ასაცილებლად, არჩევნების დღეს თბილისის ყველა საარჩევნო უბანზე ვიდეოთვალი დამონტაჟდება, რომელიც 24-საათის მანძილზე იმუშავებს. ერთი ვიდეოკამერა მიმართული იქნება საარჩევნო ყუთისკენ, ხოლო მეორე - რეგისტრატორთა მაგიდისაკენ. თბილისში, სავარაუდოდ, 470 საარჩევნო უბანი იქნება.

ამასთანავე, მოახლოებულ თვითმმართველობის არჩევნებზე მარკირების პროცედურა ძალაში რჩება. ცენტრალური საარჩევნო კომისია მარკირებისთვის ისეთი სითხის ძებნას განაგრძობს, რომლის სწრაფად მოშორება შეუძლებელი იქნება.

# კონსტრუქციული დიალოგი და შეუცვლელი "სამშვიდობოები"

აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებით, „რუსეთის სამშვიდობო ძალების ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონიდან მიზანმიმართული განდევნა, რეგიონში დაძაბულობის ახალ ტალღას გამოიწვევს".

ეს განცხადება დე ფაქტო საგარეო უწყებამ დღეს გაავრცელა. განცხადებაში აღნიშნულია, რომ აფხაზური მხარე დაინტერესებულია ქართულ მხარესთან კონსტრუქციულ დიალოგში და სამშვიდობო ოპერაციის ფორმატის ფუძემდებლური პრინციპებით გაგრძელებაში.

აფხაზური საგარეო უწყება ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სამშვიდობო ძალებისა და გაერო-ს სამხედრო დამკვირვებელთა კონფლიქტის ზონაში ყოფნა სამშვიდობო პროცესის და მხარეთა შორის მიმდინარე მოლაპარაკებების უმნიშვნელოვანესი ელემენტია.

„ქართული მხარის მიერ სამშვიდობოების გაყვანა, თბილისის მხრიდან ადრე მიღებულ შეთანხმებებზე უარის თქმა სამშვიდობო მოლაპარაკებებიდან გასვლის და მოლაპარაკებებში მონაწილე მხარეებისთვის უარის თქმის ტოლფასია", - ნათქვამია დე ფაქტო საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ დღეს გავრცელებულ განცხადებაში.

სოხუმი საერთაშორისო თანამეგობრობას მოუწოდებს ყურადღება მიაქციოს იმ გარემოებას, რომ სამშვიდობოების გაყვანის მოთხოვნის ფონზე, ქართული მხარე უცერემონიოდ არღვევს შეთანხმებას და აფხაზეთის საზღვრის სიახლოვეს „ხსნის სამხედრო ბაზას და სამხედრო სწავლებებს ატარებს". **ინტერპრესნიუსი**

# ჩხიკვიშვილი საქართველოს ემშვიდობება

გუშინ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გელა ბეჟუაშვილი რუსეთის ფედერაციის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს საქართველოში ვლადიმირ ჩხიკვიშვილს შეხვდა. ელჩი უახლოეს დღეებში დაასრულებს თავის მისიას საქართველოში. გელა ბეჟუაშვილმა მადლობა გადაუხადა ვლადიმირ ჩხიკვიშვილს ორი ქვეყნის ურთიერთობებში შეტანილი წვლილისათვის.

საქართველოში საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, რუსეთის ფედერაციის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის თანამდებობაზე ჩხიკვიშვილს ვიაჩესლავ კოვალენკო შეცვლის, რომელიც თავის მისიის შესრულებას უახლოეს მომავალში შეუდგება. **მედიანიუსი**

# ისრაელი უკიდურეს ზომებს მიმართავს

დაკავებულია რამდენიმე პალესტინელი მაღალჩინოსანი



პალესტინის ოფიციალურ პირთა მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ისრაელის სამხედროებმა 10-მდე პალესტინელი პოლიტიკოსი დააკავა, რომელთა შორის „ჰამას"-ის რამდენიმე წევრიცაა. პალესტინელების მიერ გავრცელებულ ცნობებს არც ადასტურებს და არც უარყოფს ისრაელის მხარე.

პალესტინელთა მტკიცებით კი, მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე ქალაქ რამალაში დაკავებულ პოლიტიკოსთა შორის ავტონომიის პრემიერ-მინისტრის მოადგილე ნასერ შახერი და შრომითი რესურსების მინისტრი მუჰამედ ბარჰუდიც არიან.

თვითმხილველთა თქმით, ისრაელის ჯავშანტექნიკა ღაზას სექტორის ჩრდილოეთ ნაწილშია კონცენტრირებული. პალესტინელების მტკიცებით კი სამხედროებმა უკვე გადაკვეთეს საზღვარი, რასაც ისრაელის მხარე კატეგორიულად უარყოფს.

დამკვირვებლების აზრით, ასეთი სამხედრო მანევრები და მით უმეტეს მის გარშემო არსებული სხვადასხვა სახის ინფორმაცია, უდავოდ, სამხედრო ოპერაციების გაფართოებაზე მეტყველებს. ანალიტიკოსთა შეფასებით, მასშტაბური სამხედრო ოპერაცია და პალესტინელი მაღალჩინოსნების დაკავება ისრაელს პალესტინელი ბოევიკების მიერ გატაცებული კაპრალის გილად შალიდის დასაბრუნებლად სჭირდება.

ისრაელის ოფიციალურ პირთა თქმით, პალესტინელების მიერ გატაცებული ჯარისკაცის დასაბრუნებლად ყველანაირი ზომა იქნება გამოყენებული.

**„ჩვენ უკიდურეს ზომებზე წასვლა იმიტომ გადავწყვიტეთ, რომ გილადი სახლში დაბრუნდეს. გუშინწინ ღამე დაწყებული ოპერაცია გაგრძელდება და არავინ დარჩება დაუსჯელი, ვისაც კი ტერორიზმთან რაიმე კავშირი აქვს"**, - განაცხადა ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ეუდ ოლმერტმა.

ამავდროულად, როგორც დასავლეთ სანაპიროდან მიღებული ინფორმაციით დასტურდება, ბოევიკები უკვე გაუსწორდნენ სასტიკად ერთ-ერთ ისრაელელ მძევალს, 18 წლის მენაშენეს, რომელიც რამდენიმე დღის წინ გაიტაცეს.

ვითარების საკმაოდ დაძაბვის გამო, პალესტინის ავტონომიის პრემიერ-მინისტრმა ისმაილ ხანიამ თხოვნით მიმართა გაერო-ს, რათა არ დაუშვას საერთაშორისო თანამეგობრობამ ღაზას სექტორში ძალადობის ესკალაცია.

პალესტინის ავტონომიის ხელმძღვანელობის თქმით, ისრაელმა, ფაქტობრივად, ღაზას სექტორის მთელი მოსახლეობის კოლექტიური დასჯა დაიწყო ამ ოპერაციით. გუშინ დილით ისრაელის არმიამ იერიში მიიტანა ელექტროქვესადგურზე და ააფეთქა 3 ხიდი.

მას შემდეგ, რაც ისრაელის არმიამ და მენაშენეებმა ღაზას სექტორი დატოვეს, კერძოდ, გასული წლის ზაფხულის ბოლოს, ღაზას სექტორში ისრაელის არმიის გამოჩენის ეს პირველი შემთხვევაა. თუმცა, როგორც ისრაელის პრემიერ-მინისტრი ეუდ ოლმერტი აცხადებს, სამხედრო ოპერაციის დაწყება ამ ტერიტორიის ხელმეორედ ოკუპაციის მცდელობა სულაც არ არის.

**„ისრაელის არმიამ ღაზას სექტორი არიელ შარონის გეგმის ამოქმედებისთანავე დატოვა და ჩვენ არ ვაპირებთ ამ ტერიტორიის ხელმეორედ ოკუპაციას"**, - აღნიშნა ეუდ ოლმერტმა.

გაერო-ს გენერალური მდივანი კოფი ანანი კი ღაზას სექტორის კონფლიქტის მთელ რეგიონში გავრცელების საფრთხეზე საუბრობს. კოფი ანანმა ამაზე ყურადღება ისრაელის საპასუხოდ გაკეთებულ განცხადებაში გაამახვილა. რამდენიმე დღის წინ ისრაელის თვითმფრინავებმა სირიის პრეზიდენტის ბაშარ ასადის რეზიდენციას გადაუფრინეს საპორტო ქალაქ ლატაკიის მახლობლად. სირიის ტელევიზიამ ინფორმაცია მხოლოდ ამ თვითმფრინავების საზენიტო იარაღით დაცხრილვის შესახებ გაავრცელა, მაგრამ არ დაუდასტურებია პრეზიდენტის რეზიდენციის თავზე მათი გამოჩენის ფაქტი.

დამკვირვებელთა აზრით, სირიის პრეზიდენტის რეზიდენციის თავზე ისრაელის სამხედრო თვითმფრინავების გამოჩენა ასადზე ზეწოლის განხორციელების მიზნით აიხსნება, რათა სირიის პრეზიდენტმაც აუბას მხარი ისრაელს პალესტინის წინააღმდეგ მოქმედებაში.

*24 საათი*

Georgian National airlines

CLUB Class - როცა კომფორტი მნიშვნელოვანია

საქართველოს ნაციონალური ავიახაზები

ავიაკომპანია "საქართველოს ნაციონალური ავიახაზები" გთავაზობთ ახალ, დღემდე საქართველოში უპრეცედენტო **CLUB Class** სერვისს.

რას ნიშნავს იფრინოთ **CLUB Class**-ით: ეს არის, საუკეთესო მომსახურება, გაფრენამდე, ფრენისას და ფრენის შემდგომ, კომფორტაბელური ტყავის სავარძლები და მომსახურების მაღალი ხარისხი, რომელიც უტოლდება ბიზნეს კლასის სერვისს და ყველაფერი ეს მხოლოდ ეკონომ კლასის ფასად.

ავიაკომპანია ,,საქართველოს ნაციონალური ავიახაზების,, ყველა რეგულარული რეისი შესრულდება ახალი, **Bombardier CRJ 200 LR** -ის ტიპის თვითმფრინავებით, რომელიც აღჭურვილია XXI საუკუნის თანამედროვე ტექნოლოგიებით, რაც უსაფრთხოების მაქსიმალურ გარანტიას იძლევა.

**ავიაბილეთების დაჯავშნისთვის და დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დაგვიკავშირდით:**
- შ. რუსთაველის პრ. № 5 ; ტელ.: 92 20 20 ; 93 65 93
- ჯაველიძის ქ. № 1 ; ტელ.: 22 18 07
- აეროპორტის სალარო; ტელ.: 43 32 23

ფრენების განრიგი
ზაფხულის სანავიგაციო სეზონი
(ადგილობრივი დრო)

| | ფრენა თბილისიდან | | გაფრენა | ჩაფრენა | გამოფრენა | ჩამოფრენა |
|---|---|---|---|---|---|---|
| ორშაბათი | პრაღა * | QB 595/596 | 6:30 | 8:20 | 11:05 | 16:35 |
| | დნეპროპეტროვსკი | QB 525/526 | 17:50 | 18:50 | 20:10 | 23:10 |
| სამშაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 771/772 | 8:30 | 10:55 | 20:50 | 23:10 |
| ოთხშაბათი | ალმა - ატა | QB 577/578 | 12:50 | 18:30 | 21:20 | 23:10 |
| | პრაღა * | QB 595/596 | 6:30 | 8:20 | 11:20 | 15:50 |
| | ალმა - ატა ** | QB 577/578 | 17:55 | 23:50 | 2:20 | 4:10 |
| ხუთშაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 777/778 | 8:30 | 10:55 | 11:50 | 14:10 |
| | კიევი | QB 595/596 | 17:30 | 18:50 | 11:05 | 16:35 |
| | კიევი *** | QB 543/544 | 8:55 | 10:15 | 12:45 | 16:05 |
| | მოსკოვი (ვნუკოვო) **** | QB 777/778 | 17:30 | 19:50 | 21:00 | 23:20 |
| პარასკევი | სანქტ-პეტერბურგი | QB 555/556 | 8:30 | 11:55 | 13:00 | 16:20 |
| | ოდესა | QB 541/542 | 17:50 | 18:50 | 20:10 | 23:10 |
| შაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 771/772 | 8:30 | 10:55 | 20:50 | 23:10 |
| კვირა | კიევი | QB 543/544 | 17:30 | 18:50 | 20:00 | 23:20 |
| | კიევი *** | QB 543/544 | 8:55 | 10:15 | 12:45 | 16:05 |
| | ალმა - ატა ** | QB 577/578 | 17:55 | 23:50 | 2:20 | 4:10 |
| | მინერალნიე ვოდი | QB 523/524 | 17:50 | 19:10 | 22:00 | 23:10 |

* ფრენები მოქმედი განრიგით შესრულდება 02.08.2006 -დან
** ფრენები მოქმედი განრიგით შესრულდება 02.08.2006 -დან
*** ფრენები მოქმედი განრიგით შესრულდება 03.08.2006 -დან
**** ფრენები მოქმედი განრიგით შესრულდება 03.08.2006 -დან

| | ფრენა ქუთაისიდან | | გაფრენა | ჩაფრენა | გამოფრენა | ჩამოფრენა |
|---|---|---|---|---|---|---|
| სამშაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 567/568 | 17:00 | 19:20 | 12:05 | 14:25 |
| შაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 567/568 | 17:00 | 19:20 | 12:05 | 14:25 |

## მოკლედ

### იუსტიციის სამინისტროს დაზოგილი თანხა

იუსტიციის მინისტრი გია ქავთარაძე იუსტიციის სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის თანამშრომლებს შეხვდა და მათგან 2006 წლის იანვრიდან დღემდე გაწეული მუშაობის ანგარიში მოისმინა. ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის ზაზა გუნცაძის ინფორმაციით, წელს დეპარტამენტმა შვიდი ტენდერი ჩაატარა, მათ შორის ორი - ჩაიშალა. დაგეგმილია კომპიუტერული ტექნიკის შესყიდვა ფასთა კოტირების მიხედვით. იუსტიციის სამინისტროში განხორციელებულ შესყიდვებზე გეგმით გათვალისწინებულ თანხაზე 240 ათასი ლარით ნაკლები დაიხარჯა. დაზოგილი თანხა კი სისტემის ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას მოხმარდება. მიმდინარე საკითხებთან ერთად დეპარტამენტი მუშაობს იუსტიციის სამინისტროს 2007 წლის ბიუჯეტის დაგეგმვაზე. **24 საათი**

### სამინისტროს წინააღმდეგ მოგებული სასამართლო

ვახტანგ მაჭავარიანმა, „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ დახმარებით, საკუთარი უფლებების აღდგენა შეძლო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილებით, ვახტანგ მაჭავარიანის სარჩელი საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს წინააღმდეგ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ უკანონოდ ცნო საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ბრძანება, რომლის თანახმადაც, ვახტანგ მაჭავარიანი სამსახურიდან გათავისუფლდა კამერული მუსიკის ცენტრის რეორგანიზაციის საფუძველზე. როგორც ასოციაციაში განმარტავენ, სარჩელის შეტანის საფუძველს სამუშაოზე აღდგენა არ წარმოადგენდა.

„ვახტანგ მაჭავარიანმა სასამართლოს მიმართა იმის გამო, რომ სამინისტრომ იგნორირება გაუწია მის განცხადებას ევგენი მიქელაძის სახელობის სიმფონიური ორკესტრის სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობის უფლებამოსილების მოხსნის შესახებ. ეს განცხადება ჯერ კიდევ 11 თვით ადრე სასამართლოს მიერ ამჟამად უკვე გაუქმებული ბრძანების მიღებამდე იყო წარდგენილი. სასამართლოსადმი ძირითადი მოთხოვნაც სწორედ სამინისტროსათვის ბრძანებაში პირადი განცხადების საფუძველზე გათავისუფლების მითითების დაკისრება გახლდათ“, - განმარტავენ ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის იურისტები, რომლებიც ვახტანგ მაჭავარიანის ინტერესებს იცავდნენ. მათივე განმარტებებით, მაჭავარიანის საკითხისადმი სამინისტროს გულგრილი დამოკიდებულება მხოლოდ განთავისუფლების შესახებ ბრძანების მიღებით არ გამოვლენილა.

„მიუხედავად არაერთი განცხადებისა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენამდე შეუძლებელი გახდა სამინისტროდან ვახტანგ მაჭავარიანის პირადი საქმის ასლებისა და შრომის წიგნაკის მოპოვება“, - განგვიცხადეს ასოციაციაში.

ერთი სიტყვით, სასამართლოს გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს კულტურის, ძეგლთა დავისა და სპორტის სამინისტროს ბრძანება ვახტანგ მაჭავარიანის გათავისუფლების ნაწილში და სამინისტროს დაეკისრა ახალი ბრძანების გამოცემა, რომელშიც გათავისუფლების საფუძვლად მითითებული იქნება ვახტანგ მაჭავარიანის პირადი განცხადება. გარდა ამისა, როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, „შრომის კანონთა კოდექსის“ 98-ე მუხლის შესაბამისად, სამინისტროს, შრომის წიგნაკის გაუცემლობის გამო, დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ 2004 წლის 15 ივნისიდან 2006 წლის 30 იანვრამდე ხელფასის ანაზღაურება. **24 საათი**

### პროცესის პირდაპირი ტრანსლაცია - იურისტების მოთხოვნა

„ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ“ გუშინ საზოგადოებრივი მაუწყებლობის გენერალურ დირექტორს წერილი გაუგზავნა. ასოციაციის წევრები თამარ კინწურაშვილს სანდრო გირგვლიანის სასამართლო პროცესის პირდაპირი ეთერით გადაცემას სთხოვენ.

როგორც „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში“ განმარტავენ, მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის „გ“ პუნქტის შესაბამისად, „საზოგადოებრივი მაუწყებელი ვალდებულია, „უზრუნველყოს აუდიტორიის დროული და ყოველმხრივი ინფორმირება საქართველოში მიმდინარე მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ“.

„იმდენად, რამდენადაც აღნიშნული სასამართლო პროცესისადმი საზოგადოების ინტერესი საკმაოდ დიდია და მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს, აუცილებელია სანდრო გირგვლიანის მკვლელობის სასამართლო პროცესის პირდაპირი ეთერით გასვლა. ეს ამავდროულად ხელს შეუწყობს საზოგადოების ნდობის ამაღლებას სასამართლოს ობიექტურობისადმი“, - აცხადებენ ასოციაციაში. როგორც ცნობილია, „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ წევრები სანდრო გირგვლიანის საქმის სასამართლო განხილვის მონიტორინგს აწარმოებენ და პროცესის დასრულებისთანავე შესაბამის დასკვნასაც მოამზადებენ. **24 საათი**

### მკვლელობისთვის ბრალდებული ავადმყოფი იძებნება

ფოთის მკაცრი მეთვალყურეობის ფსიქიატრიული საავადმყოფოდან ავადმყოფი გაიქცა.

გიორგი ხორხელი, რომელსაც მკვლელობისთვის 12 წლით თავისუფლების აღკვეთა ჰქონდა მისჯილი, ფოთის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე, უკვე ერთი წელია, იძულებით მკურნალობას გადის. ექსპერტიზამ მას ფსიქიკური აშლილობის დიაგნოზი დაუსვა. თუმცა, ერთ თვეში იგი ჩვეულებრივი ტიპის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში უნდა გადაეყვანათ. ჯერჯერობით გაურკვეველია, როგორ მოახერხა ავადმყოფმა დახურული ტიპის მკაცრი ზედამხედველობის სტაციონარიდან გაღწევა. სამსახურებრივი გულგრილობის ბრალდებით დაკავებულია დაცვის ოთხი თანამშრომელი. მიმდინარეობს ავადმყოფის ძებნა. თუმცა, ფსიქიატრიულ საავადმყოფოში აცხადებენ, რომ გიორგი ხორხელი ერთწლიანი იძულებითი მკურნალობის შემდეგ საზოგადოებისთვის ნაკლებად საშიშია. **ინტერპრესნიუსი**

### ცხინვალი კონტრაბანდული სიგარეტის წყარო

მიუხედავად ერგნეთის ბაზრობის დახურვისა და სამართალდამცველთა მხრიდან კონტრაბანდული საქონლის წინააღმდეგ გამკაცრებული ზომებისა, ცხინვალის ტერიტორია კვალვ რჩება ქვეყანაში კონტრაბანდული სიგარეტის შემოტანის ერთ-ერთ მთავარ წყაროდ. თითქმის, ყოველ დღე ვრცელდება ინფორმაცია აღნიშნული კანონდარღვევისათვის დაკავებულთა შესახებ. გამონაკლისი არც გუშინდელი დღე ყოფილა. ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის შიდა ქართლის სამმართველომ უაქციზო სიგარეტის გადაზიდვის რამდენიმე ფაქტზე წინასწარი გამოძიება ერთდროულად დაიწყო.

ფინანსური პოლიციის თანამშრომლებმა სოფელ იგოეთის მიმდებარე ტერიტორიაზე „ვაზ 2106“-ის მარკის ავტომანქანა დააკავეს. სამართალდამცველთა დანახვისთანავე ავტომანქანის მძღოლი გაიქცა. ავტომანქანის ჩხრეკის შედეგად 3 ათასი კოლოფი უაქციზო სიგარეტი ამოიღეს, გაქცეული მძღოლის ვინაობის დასადგენად კი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება დაიწყო.

ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის პირველი ოპერატიულ-საგამოძიებო სამმართველოს თანამშრომლებმა კი სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციულ საზღვართან 20 ყუთი უაქციზო სიგარეტის გადაზიდვის ფაქტზე დააკავეს ვეფხია შუკაკიძე.

შუკაკიძის დაკავების ოპერაცია საჩხერის რაიონის სოფელ ჭალის მიმდებარე ტერიტორიაზე განხორციელდა, სადაც ის „უაზის“ მარკის ავტომანქანით გადაადგილდებოდა. ავტომანქანას სამხრეთ ოსეთის სანომრე ნიშნები ჰქონდა. ფინანსური პოლიციის თანამშრომლების დანახვისთანავე მძღოლმა თავი ტყეს შეაფარა. ამჟამად მიმდინარეობს გაქცეული პირის ვინაობის დადგენის და დაკავების სამძებრო ღონისძიება. აღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებით საქმე აღძრულია „მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის აქციზური მარკის გარეშე გადაზიდვის“ მუხლით. **ინტერპრესნიუსი**

**განცხადება "გარემოზე ზემოქმედების შეფასების" ანგარიშის განხილვის შესახებ**

ასოციაცია "ატუ"-ს დირექცია აწყობს ქ. საჩხერის კანალიზაციის ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობის მუშა პროექტისა და გარემოზე ზემოქმედების შეფასების საჯარო განხილვას.

გამწმენდი ნაგებობის აგება გათვალისწინებულია ქ. საჩხერეში, ყოფილი სს "ფეიქრის" დასავლეთით, მდინარე ყვირილას მარცხენა სანაპიროზე, ყოფილი, ამჟამად დანგრეული გამწმენდი ნაგებობების მიმდებარედ.

საზოგადოების წარმომადგენლებსა და სხვა დაინტერესებულ უწყებებს საშუალება ექნებათ საქმიანობასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას გაეცნონ მისამართზე: ქ. საჩხერე, თამარ მეფის ქ. №19, შპს "ბურჯი"-ს სამრეწველო ბაზა. უფლება აქვთ წარმოადგინონ საკუთარი მოსაზრებები ამა წლის 14 აგვისტომდე.

საჯარო განხილვა მოეწყობა ა.წ. 21 აგვისტოს შემდეგ მისამართზე: ქ. საჩხერე, თავისუფლების ქ. №4, საჩხერის რაიონის ადგილობრივი მმართველობის გამგეობა. ტელ.: 895 22 22 99.

# მთავარი მოწმე „კვანძს ხსნის“

ინგა ალავიძე

*რა მოხდა 27 იანვარს „შარდენ-ბარში“, ჰქონდა თუ არა რაიმე ინციდენტს ადგილი? - ამ ძირითად შეკითხვას სახელმწიფო ბრალმდებლები სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საქმის სასამართლო პროცესზე გუშინ დაკითხულ იმ მოწმეებს უსვამდნენ, რომლებიც 27 იანვრის ღამეს „შარდენ-ბარში“ იმყოფებოდნენ. „ბარში ინციდენტი არ შეგვიმჩნევია“, - ასეთი იყო მოწმეთა პასუხი. თუმცა, საქმის მთავარმა მოწმემ, სანდრო გირგვლიანის მეგობარმა, თათია მაისურაძემ სასამართლოს სხვა მოწმეებისგან განსხვავებული ჩვენება ჩააბარა. მიუხედავად იმისა, რომ თათია მაისურაძის განცხადებით, „მომხდარიდან ძალზე დიდი დროა გასული“ და ძალზე ბევრი რამ არ ახსოვს,“ ძირითადმა მოწმემ მაინც გაიხსენა დეტალები, რაც სანდრო გირგვლიანის ოჯახის ადვოკატებისთვის „კვანძის გახსნის“ საფუძველი გახდა.*



*თათია მაისურაძემ სასამართლოს სხვა მოწმეებისგან განსხვავებული ჩვენება ჩააბარა.*

თათია მაისურაძის განცხადებით, მას 27 იანვარს, დაახლოებით, ღამის 11-ის ნახევარზე სახლში გაუარეს მეგობრებმა ანა კალანდაძემ და თაკო მერაბიშვილმა, რის შემდეგაც ისინი „შარდენ ბარში“ გაემგზავრნენ. თათია მაისურაძის ჩვენებით, დაახლოებით, ღამის 12 საათისთვის მას დაურეკა სანდრო გირგვლიანმა და დაინტერესდა, სად იმყოფებოდა, რაზეც მან უპასუხა, რომ იყო ვაკეში მდებარე ბარში, ანუ, მან სანდროს მოატყუა. თუმცა, მოაგვიანებით, „შარდენ-ბარში“ სანდრო მაინც მივიდა - თათია მაისურაძის ვარაუდით, სანდრო ტამტამების ხმაზე მიხვდა, რომ იგი „შარდენ-ბარში“ იმყოფებოდა. თუმცა, მანამდე, **„დაახლოებით, ღამის პირველი საათისთვის შემოგვიერთდა ორი მამაკაცი, რომლებიც გამაცნეს, როგორც დათა და ოლეგი, ხოლო შემდეგ მოვიდა გურამ დონაძე“,** - განაცხადა თათია მაისურაძემ.

როგორც მთავარმა მოწმემ გაიხსენა, გვერდით მაგიდასთან ისხდნენ გოგონები, ერთ-ერთ მაგიდასთან კი იჯდა დილარ ხაბულიანის ძმისშვილი საკო ხაბულიანი.

**„ღამის 2 საათისთვის „შარდენ ბარში“ მოვიდა სანდრო და დაჯდა იმ გოგონების მაგიდასთან, რომლებიც მისი ნაცნობები იყვნენ. მოგვიანებით გოგონები წავიდნენ, სანდრო კი გვერდით მაგიდასთან გადაჯდა ლევან ბუხაიძესთან ერთად და ხელით მანიშნა, მასთან გადავმჯდარიყავი. მე ჯერ ტუალეტში შევედი და მერე მივედი სანდროსთან. დაახლოებით, 20 წუთი ვიჯექი სანდროსთან. სანდრო დაინტერესდა, ვინ იყვნენ ის უცხო ბიჭები... ძალიან ემოციური საუბარი გვქონდა. მან მკითხა, - ამ „პედარასტთან“ ერთად რატომ ხარო. ჩემი ვარაუდით, მან დონაძეზე მიმანიშნა, რადგან იქ მყოფი პიროვნებებიდან მისთვის ნაცნობი სახე მხოლოდ გურამ დონაძე იყო. ეს გამოხატულად თქვა, მაგრამ არ ვიცი, გაიგებდნენ თუ არა მაგიდასთან მსხდომები. სანდრო ემოციურად, ხმამაღლა საუბრობდა, ჟესტიკულაციით, თუმცა გაიშვირა თუ არა ხელი დონაძის მისამართით ზუსტად არ შემიძლია თქმა. ისე, როცა სუფრასთან დავბრუნდი, თაკო სალაყაიამ მკითხა კიდეც, - ხომ მშვიდობააო“,** - განაცხადა თათია მაისურაძემ.

როგორც თათია მაისურაძემ განაცხადა, დაახლოებით, 15 წუთში სანდრო გირგვლიანმა ქურთუკი ჩაიცვა, წასასვლელად მოემზადა; კართან მისულმა მას ხელი დაუქნია და პასუხად თათია მაისურაძემაც დაუქნია ხელი. ეს იმას ნიშნავდა, რომ, შეთანხმებისამებრ, თათია მაისურაძე და სანდრო 20 წუთში ერთმანეთს უნდა შეხვედროდნენ.

**„ამ დროს ოლეგ მელნიკოვი წამოდგა, რადგან თაკო სალაყაიამ მას სიგარეტის მოტანა სთხოვა. მელნიკოვი მაშინვე გავიდა, როცა სანდროც გავიდა; იგი ჩამომეფარა კიდეც, როცა სანდროს ვემშვიდობებოდი. სანდროს წასვლიდან 40 წუთში მეც წავედი, თუმცა - არა სანდროსთან შესახვედრად; წავედი სახლში, რადგანაც უკვე გვიანი იყო. „შარდენ ბარიდან“ ანა კალანდაძემ ვასიკო სანოძის მანქანით წამიყვანა“,** - განაცხადა თათია მაისურაძემ, რომლის თქმითაც, მისთვის უცნობია, რა ხდებოდა ამ დროს გარეთ.

რაც შეეხება მელნიკოვს, თათია მაისურაძის თქმით, იგი მოგვიანებით დაბრუნდა, დაგვიანების მიზეზად კი ის დაასახელა, რომ სიგარეტი „კენტი“ ვერსად ვერ იშოვა და ამიტომაც, ვაკეში, სუპერმარკეტ „ბიგ-ბენში“ მოუხდა წასვლა.

გირგვლიანების ადვოკატების განცხადებით, დაკითხულ მოწმეთა ჩვენებებიდან, პირველ რიგში კი, თათია მაისურაძის დაკითხვიდან აშკარად იკვეთება ის გარემოება, რომელიც სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საფუძველი გახდა. ადვოკატების თქმით, აშკარაა, რომ თათია მაისურაძე „შარდენ ბარში“ ვასილ სანოძის ინიციატივით დაპატიჟეს (სასამართლოზე გავრცელებული ინფორმაციით, 27 იანვარს ვასილ სანოძის დაბადების დღე იყო), მოგვიანებით კი, როდესაც ის სანდრო გირგვლიანმა თავის სუფრასთან გადაიყვანა, ეს ფაქტი სუფრასთან მსხდომი შსს-ს მაღალჩინოსნებისთვის შეურაცხმყოფელი აღმოჩნდა. ადვოკატების განცხადებით, ამას დაემატა სანდრო გირგვლიანის მიერ გურამ დონაძის მისამართით გამოთქმული შეურაცხმყოფელი სიტყვები, რის გამოც, მისი სუფრის წევრებმა სანდრო გირგვლიანისთვის „ჭკუის სწავლება“ გადაწყვიტეს.

სასამართლო პროცესი დღეს განახლდება. ჯერჯერობით უცნობია, დაიკითხებიან თუ არა შსს-ს ყოფილი მაღალჩინოსნები და შს მინისტრის მეუღლე.

**„დამკვეთები არსებობენ და ისინი უნდა დაისაჯონ, ორი აზრი არ არსებობს. დამკვეთებმაც და შემსრულებლებმაც უსასტიკესად მიწამეს შვილი. ისეთი სამაგალითო ბიჭის, როგორიც სანდრო იყო, სიკვდილს არავის ვაპატიებ“,** - აცხადებს სანდრო გირგვლიანის დედა ირინა ენუქიძე.

# შენობა ნიშნავს ეზოს და მის შემოგარენს

პირველი გვერდიდან

„თანასწორობის ინსტიტუტის“ ლიდერმა ირაკლი კაკაბაძემ და მისმა მეგობრებმა თბილისის საქალაქო სასამართლოდან სააპელაციო სასამართლოსთან გადაინაცვლეს, სადაც შალვა რამიშვილისა და დავით კოხრეიძის საქმის განხილვა მიმდინარეობდა. თუმცა, ვიდრე ირაკლი კაკაბაძე რუპორს მოიმარჯვებდა და სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეს ობიექტურობისკენ მოუწოდებდა, სააპელაციო სასამართლოს დაცვის სპეციალური სამსახურის წარმომადგენლებმა ის და მისი მეგობრები ადგილზე გააკავეს და სასამართლოს შენობის სამორიგეო ნაწილში გამოკეტეს. რამდენიმე წუთში სააპელაციო სასამართლოს ახალმა თავმჯდომარემ, სულ ცოტა ხნის წინ შინაგან საქმეთა მინისტრის ვანო მერაბიშვილის მოადგილემ ეკა ტყეშელაშვილმა, ზეპირი გადაწყვეტილება მიიღო. მისი ბრძანებით, „თანასწორობის ინსტიტუტის“ წევრებს - ირაკლი კაკაბაძეს, ჯაბა ჯიშკარიანს, ლაშა ჩხარტიშვილს, ზურაბ რთველიაშვილს და დავით დალაქიშვილს ადმინისტრაციული სასჯელი - 30-დღიანი პატიმრობა მიესაჯათ.

სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, აღნიშნული მსჯავრი დაკავებულებს საპროცესო კოდექსის 208-ე მუხლის საფუძველზე, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ბრალდებით შეეფარდათ.

**„საპროცესო კანონმდებლობა, წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, ითვალისწინებს პასუხისმგებლობის სხვადასხვა ღონისძიებას. ამჯერად გამოყენებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 208-ე მუხლის მეექვსე პუნქტი, რომლის მიხედვითაც, სასამართლოს მიმართ გამოხატული აშკარა, უხეში უპატივცემულობა 30-დღიან პატიმრობას ითვალისწინებს,“** - ასეთი განმარტებები გაკეთდა უზენაეს სასამართლოში, სპიკერი მოსამართლის მიერ სასწრაფოდ გამართულ ბრიფინგზე.

სასამართლოს ახსნა-განმარტებებით, ირაკლი კაკაბაძემ, ჯაბა ჯიშკარიანმა, ლაშა ჩხარტიშვილმა, ზურაბ რთველიაშვილმა და დავით დალაქიშვილმა, მეგაფონის საშუალებით, შეურაცხმყოფელი, დამამცირებელი სიტყვებით გამოხატეს სასამართლოს მიმართ უპატივცემულობა.

არადა, სადაც „თანასწორობის ინსტიტუტის“ წევრები დააკავეს, უამრავი მოწმე იმყოფებოდა. მათი თქმით, ირაკლი კაკაბაძემ მეგაფონში მხოლოდ ორი სიტყვის თქმა მოასწრო - „თავისუფლება პოლიტპატიმრებს“.

სხვათა შორის, სასამართლოს სპეციალური დაცვის თანაშრომლების - მანდატურების უხეში მოპყრობის შედეგად კაკაბაძემ მუცლის არეში ტრავმა მიიღო. ადგილზე მივიდა სასწრაფო დახმარების ბრიგადა. ცოტა ხანში კი სააპელაციო სასამართლოს უკანა კარიდან დაკავებულები, მათ შორის ირაკლი კაკაბაძე, ისე გაიყვანეს, რომ იქ შეკრებილმა არასამთავრობო ორგანიზაციებისა და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებმა, ისევე როგორც დაკავებულების ახლობლებმა, ვერაფერი გაიგეს. როგორც მოგვიანებით მათთვის გახდა ცნობილი, ირაკლი კაკაბაძე ღუდუშაურის სახელობის კლინიკაში, დანარჩენები კი წინასწარი დაკავების საკანში გადაიყვანეს.

სხვათა შორის, საპროცესო კოდექსის 208-ე მუხლში, რომელიც სასამართლოში წესრიგის დარღვევისთვისთვის პასუხისმგებლობას ითვალისწინებს, მითითებულია, რომ წესრიგის დამრღვევი სასამართლო დარბაზიდან ან შენობიდან გაძევდება. ის, რომ 208-ე მუხლი სასამართლოს შენობაში წესრიგის დარღვევას გულისხმობს, სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარემ ეკა ტყეშელაშვილმა საკუთარ კომენტარშიც აღნიშნა. მართალია, 208-ე მუხლში მითითებული არ არის, რომ სასამართლოს შემოგარენში გამოთქმული მოსაზრება კანონდარღვევაა, მაგრამ უზენაესი სასამართლოს სპიკერმა მოსმართლემ ჩვენთან საუბარში განმარტა, რომ კანონმდებლობა შენობაში ეზოსაც და მის შემოგარენსაც გულისხმობს.

„ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ თავმჯდომარე ანა დოლიძე სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის ეკა ტყეშელაშვილის გადაწყვეტილებას ანტიკონსტიტუციურს უწოდებს.

**„208-ე მუხლში პირდაპირ არის მითითებული, რომ ამ ტიპის გადაწყვეტილება სასამართლოს შენობაში საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის დროს არის შესაძლებელი. ირაკლი კაკაბაძე კი საპროტესტო აქციას არა სასამართლოს შენობაში, არამედ მის მიმდებარე ტერიტორიაზე მართავდა. ირაკლი კაკაბაძეს და მის მეგობრებს ყველანაირი უფლება ჰქონდათ, საკუთარი მოსაზრება სასამართლოს მიმდებარე ტერიტორიაზე გამოეხატათ და ეს საპროცესო კანონმდებლობას არ ეწინააღმდეგება. აქედან გამომდინარე, ეკა ტყეშელაშვილის გადაწყვეტილება ანტიკონსტიტუციურია“,** - ასე აფასებს მომხდარს „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ თავმჯდომარე ანა დოლიძე.

ჩვენი ინფორმაციით, ირაკლი კაკაბაძეს კლინიკაში გადასხმები გაუკეთეს. შემდეგ კი ისიც წინასწარი დაკავების საკანში მოათავსეს.

**„დაკავებულებს არავითარი უპატივცემულობა არ გამოუხატავთ, მათ ორი სიტყვის თქმაც ვერ მოასწრეს. ჩვენი მართლმსაჯულება არა ორმაგი, არამედ ხუთმაგი სტანდარტებით მოქმედებს. სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის ეს ბრძანება არის პოლიტიკური შეკვეთის შესრულება, მეტი არაფერი“,** - განაცხადა ჩვენთან საუბარში დაკავებულთა ადვოკატმა გელა ნიკოლეიშვილმა, რომელმაც თავის დაცვის ქვეშ მყოფის, ირაკლი კაკაბაძის მონახულება გუშინ მხოლოდ ღუდუშაურის კლინიკაში შეძლო.

სხვათა შორის, გელა ნიკოლეიშვილმა სააპელაციო სასამართლოს შენობის დაცვის თანამშრომლებს საჯაროდ წაუკითხა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 84-ე მუხლი, რომლის თანახმად, ადვოკატს უფლება აქვს, დაცვის ქვეშ მყოფთან დაუბრკოლებლად შევიდეს. თუმცა, დაცვას პოზიცია არ შეუცვლია, ირაკლი კაკაბაძესთან არც ომბუდსმენის წარმომადგენელი შეუშვეს.

**„დაკავებულების მხრიდან არავითარ სამართალდარღვევას ადგილი არ ჰქონია. ეს ყველაფერი სანდრო გირგვლიანის საქმის სასამართლო გამოძიებას უკავშირდება. პროკურატურას გადაწყვეტილი აქვს, რაც შეიძლება ჩქარა დასრულდეს ეს საქმე. ეს დაკავება „თანასწორობის ინსტიტუტის“ პრესკონფერენციასაც უკავშირდება. მოგეხსენებათ, ამ ორგანიზაციის წევრებმა პროკურატურაში განცხადებაც შეიტანეს და ის პირები ამხილეს, ვინც, შსს-ს დავალებით, მეთვალყურეობას აწარმოებს მათ აქციებზე. „თანასწორობის ინსტიტუტის“ წევრების მხრიდან რაიმე დარღვევაზე საუბარი ზედმეტია, მათ არც სასამართლო პროცესებისთვის შეუშლიათ ხელი და არც შეურაცხყოფა მიუყენებიათ ვინმესთვის. მხოლოდ საკუთარი აზრის გამოხატვას აპირებდნენ; თანაც, ირაკლი კაკაბაძე ჭერმის ხესთან დააკავეს. ეს ჭერამი კი სააპელაციო სასამართლოს ეზოს შესასვლელთან დგას. ამდენად, სასამართლოს მიერ გაკეთებული განმარტებები საფუძველს მოკლებული გახლავთ“,** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას „თანასწორობის ინსტიტუტის“ ადვოკატმა მალხაზ ჯანგირაშვილმა.

გუშინ ღამით თბილისის პოლიციის სამმართველოს შენობასთან „თანასწორობის ინსტიტუტის“ დაკავებული წევრების მხარდამჭერი აქცია გაიმართა.

დამატებითი
წუთები

დამატებითი სიამოვნება...



მიიღეთ საჩუქარი
მთელი ზაფხულის განმავლობაში,
მონო-ბარათის ყოველი გააქტიურებისას

გაააქტიურეთ მონო-ბარათი და საჩუქრად მიიღეთ წუთები მაგთის ქსელის შიდა ზარებისათვის, ანუ მაგთი - მაგთი და მაგთი - ბალი მიმართულებით.

| გააქტიურებული მონო-ბარათი | საჩუქარი |
|---|---|
| 10 - ლარიანი | 3 წუთი |
| 15 - ლარიანი | 5 წუთი |
| 30 - ლარიანი | 12 წუთი |
| 60 - ლარიანი | 30 წუთი |

- ნაჩუქარი წუთების გამოყენება შეგიძლიათ მონო-ბარათის გააქტიურებიდან 30 დღის განმავლობაში.
- აქცია ვრცელდება მაგთის წინასწარი გადახდის სისტემის აბონენტებზე.

25 11 11 25 00 00 525
www.magticom.ge

მაგთი MAGTI
...კავშირი თქვენს სამყაროსთან

# უნივერსიტეტში მოლაპარაკებები დაიწყო

პირველი გვერდიდან

*პირველი: საკონკურსო გამოცდებისთვის საბუთების მიღების ვადა ერთი კვირით გახანგრძლივდეს; მეორე: პროტესტში მონაწილე პროფესორ-მასწავლებლების ნაწილმა საკონკურსო კომისიაში საკუთარი წარმომადგენელი შეიყვანოს და მესამე: კონსულტაციები გაგრძელდეს დამატებით კვოტებთან დაკავშირებით, რაც სახელშეკრულებო შტატების გაზრდას ითვალისწინებს.*

ბურჯანაძესთან შეხვედრის შემდეგ უნივერსიტეტის ადმინისტრაცია საპროტესტო მოძრაობაში მონაწილე პროფესორ-მასწავლებელთა წარმომადგენლებს შეხვდა. ამ შეხვედრაზე დაიწყო მოლაპარაკებები ფიზიკის ფაკულტეტზე მოსალოდნელი ცვლილებების შესახებ.

უნივერსიტეტის პრორექტორი ვანიკო ბოკერია: **„შედგა შეხვედრა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასა და იმ ადამიანებს შორის, ვინც უნივერსიტეტისთვის ღირებულებას წარმოადგენენ. ჩვენ ველოდით უფრო წარმომადგენლობით დელეგაციას, მაგრამ მოვიდნენ ბატონები თენგიზ სანაძე და ჯემალ მებონია. ისინი ფიზიკოსები არიან. შევთანხმდით, რომ ფიზიკის ფაკულტეტზე შეიქმნება ჯგუფი, რომელიც შეისწავლის ფიზიკის ფაკულტეტის მირ წარმოდგენილ პროგრამებს. ცხადია, რომ ეს პროგრამები არ აკმაყოფილებს არც პროფესორებს და არც ადმინისტრაციას. ადმინისტარაცია ყველაფერს აკეთებს იმის მიხედვით, როგორი პროგრამაც წარმოადგინა ფიზიკის ფაკულტეტის დეკანმა. პროფესორ-მასწავლებლებმა განაცხადეს, რომ აკადემიური თანამშრომლების ასეთი ცვლილებები არასწორია. ჩვენ შევთავაზეთ მათ ფაკულტეტზე შეიქმნას ჯგუფი, რომელიც წარმოადგენს არგუმენტირებულ, დასაბუთებულ ანალიზს, რა არის უვარგისი, გამოსასწორებელი. დღეს ფაკულტეტზე არსებული ვითარება რომ უვარგისია, ამაზე შევთანხმდით. ველოდებით, რომ მათ მიერ წარმოდგენილ ანალიზში წარმოჩნდება არა მხოლოდ არსებული ვითარების შეფასება, არამედ ამ ვითარების გამოსასწორებლად საჭირო ღონისძიებებიც იქნება შემოთავაზებული. წარმოდგენილი მასალის შემდეგ თუ ადმინისტრაცია დარწმუნდება, რომ საჭიროა საკონკურსო პირობების შეცვლა, ეს პირობები შეიცვლება. სხვათაშორის, პირველივე შეხვედრაზე პროფესორ-მასწავლებლებს შევთავაზეთ შეექმნათ ჯგუფები, რომელიც დეკანატთან ერთად იმუშავებდნენ ფაკულტეტზე მოსალოდნელი ცვლილებების პროექტზე, თუმცა მაშინ მათი პოზიცია იყო ხისტი - მოითხოვდნენ კონკურსების შეჩერებას და ამ პირობების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში ყველანაირ თანამშრომლობაზე უარს აცხადებდნენ. ნინო ბურჯანაძესთან შეხვედრამ პოზიციები უფრო დაარბილა. ამ შეხვედრის შემდეგ მათ გამოთქვეს მზადყოფნა, შექმნან ჯგუფი, რომელიც ფაკულტეტზე მოსალოდნელი ცვლილებების პროექტში კორექტივებს შეიტანს. ამ სამუშაო ჯგუფების შექმნაზე ისინი დასაწყისშივე რომ დაგვთანხმებოდნენ, ამდენი ვნებათაღელვა და არასასიამოვნო ვითარება აღარ იქნებოდა.“**

ფიზიკის ფაკულტეტზე, ისევე როგორც სხვა ფაკულტეტებზე, ცვლილებების პროექტი დეკანმა შეიმუშავა. დეკანის მიერ წარმოდგენილ ცვლილებებს არ დაეთანხმა ფაკულტეტის პროფესურა. ისინი უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან შეხვედრისას არგუმენტებით დაასაბუთებენ, რატომ არის ცვლილებები ფიზიკის ფაკულტეტისთვის ზიანის მომტანი. უნივერსიტეტის ადმინსტრაცია მზად არის, ფიზიკის ფაკულტეტზე დეკანის მიერ 26 კაცამდე შემცირებულ აკადემიურ კვოტას გადახედოს. ფიზიკის ფაკულტეტის დეკანს ცვლილებების საკუთარი პროექტის დაცვა საკუთარი კოლეგების წინაშე მოუწევს. აღსანიშნავია, რომ ფიზიკის ფაკულტეტის ახალი დეკანი გიგი უგულავას მამაა.

ჯემალ მებონიამ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან შეხვედრას პოზიციების მოსინჯვის მცდელობა უწოდა, თუმცა განაცხადა, რომ მათი მოთხოვნა კონკურსების შეჩერების შესახებ ძალაში რჩება. **„დეკანატმა წარადგინა ფაკულტეტის ცვლილების უვარგისი პროექტი. ის, რომ უვარგისი და უცოდინარი ხალხის მიერ არის გაკეთებული, თავადაც იციან და ამიტომ არიან შეშფოთებულები. ჩემი აზრით, უნივერსიტეტის ადმინისტრაცია არანაირ დათმობაზე არ წამოვა, ვინაიდან მხოლოდ რაოდენობის შემცირება კი არ არის პრობლემა, პრობლემა თავად კონკურსების ჩატარების პრინციპია - ვინ უნდა ჩაატაროს, რა კრიტერიუმებით ჩაატაროს. ერთადერთი ორგანო, ვისაც ასეთი სახის კონკურსების ჩატარების უფლება აქვს, არის აკადემიური საბჭო. ვინაიდან იგი ჯერ არ აურჩევიათ, ასეთი უფლებამოსილება დიდ სამეცნიერო საბჭოს გააჩნია.“**

უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ მოქმედების სტრატეგია შეცვალა. იგი მზად არის, უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებთან კონკრეტული ფაკულტეტის კონკრეტულ პრობლემებზე ისაუბროს და თუ საუბრის შემდეგ დარწმუნდება, რომ საჭიროა ცვლილებები, ეს ცვლილებები საკუთარ გეგმებში შეიტანოს. განხილვას არ ექვემდებარება და არც მომავალში დაექვემდებარება კონკურსის კანონიერების, დიდი საბჭოს უფლებამოსილების და ა. შ. საკითხები. ამ მხრივ უკვე ყველაფერი გადაწყვეტილია.

# საპარლამენტო ტრიბუნა ამბოხებულ პროფესორ-მასწავლებლებს

გიორგი ასანიშვილი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას და მის წინააღმდეგ ამბოხებულ პროფესორ-მასწავლებლებს პარლამენტში თავ-თავისი ლობი ჰყავთ. რექტორის მოვალეობის შემსრულებლისა და მისი მომხრეების კურსს ღიად უჭერს მხარს განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარე ნოდარ გრიგალაშვილი, აგრეთვე საპარლამენტო უმრავლესობის უდიდესი ნაწილი, გიორგი ხუბუას მოწინააღმდეგეებს კი, ძირითადად, ოპოზიციური ფრაქციები გულშემატკივრობენ.

„მემარჯვენეების“, „მრეწველების“ და „დემოკრატიული ფრონტის“ გუშინდელ გაერთიანებულ სხდომაზე განათლების მინისტრი, უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი და პარლამენტის თავმჯდომარე იყვნენ მიწვეულნი, მაგრამ ისინი ოპოზიციის შეკრებაზე არ მივიდნენ. შესაბამისად, ბურთი და მოედანი მთლიანად მეორე მხარეს დარჩა.

ოპონენტების კრიტიკის მაგალითი დამსწრე საზოგადოებას დავით გამყრელიძემ მისცა. **„გრიგალაშვილს არა აქვს უფლება, კომიტეტს ედგას სათავეში მას შემდეგ, რაც პროფესორ-მასწავლებლების მიმართ რეპრესიები განხორციელდა და ამაზე მას ხმა არ ამოუღია,“** - განაცხადა ფრაქცია „მემარჯვენე ოპოზიციის“ თავმჯდომარემ. მისივე მტკიცებით, გიორგი ხუბუას საკომიტეტო მოსმენაზე დასწრების მორალური უფლება არ ჰქონდა. დეპუტატმა მოუწოდა პროფესორ-მასწავლებლებს, არ მიესალამონ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელს.


*გიორგი ხუბუას მოწინააღმდეგეებს, ძირითადად, ოპოზიციური ფრაქციები გულშემატკივრობენ.*

დავით გამყრელიძის გამოსვლის შემდეგ, ოპოზიციონერი პარლამენტარები გვერდზე გადგნენ და ტრიბუნა მოწვეულ სტუმრებს დაუთმეს.

**„უნივერსიტეტში კანონდარღვევების კასკადია“, „მიმდინარეობს კანონზე ძალადობა“, „კანონს კი არა აქვს ძალა, არამედ ხდება ძალის დაკანონება“, „ხელისუფლებამ უნივერსიტეტში პოლიტიკური კომისრები ჩანერგა და სასწავლებლის პოლიტიზაცია მოახდინა“,** - ასეთი იყო ვანო კიღურაძის, გოგი გოგოლაშვილის, ოთარ მელქაძის და სხვათა გამომსვლელების ლაიტმოტივი.

ოპოზიციური ფრაქციების გაერთიანებულმა სხდომამ მიიღო დადგენილება, რომლითაც დეპუტატები პრეზიდენტისგან ითხოვენ, რომ მან „დაუყოვნებლივ მიიღოს გადაწყვეტილება თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის გიორგი ხუბუას თანამდებობიდან გადაყენების შესახებ, ხოლო რექტორის მოვალეობის ახალი შემსრულებლის კანდიდატურა პროფესორ-მასწავლებლებთან კონსულტაციების საფუძველზე შეირჩეს“.

გარდა ამისა, დადგენილებაში აღნიშნულია, რომ შესაბამისმა ორგანოებმა უნდა გამოავლინონ და კანონის წინაშე პასუხი აგებინონ იმ პირებს, ვინც უშუალოდ მიიღო გადაწყვეტილება უნივერსიტეტში საპატრულო პოლიციის შეყვანისა და მათ მიერ პროფესორ-მასწავლებლების შეკრების ძალით დაშლის შესახებ.

# პოლონური გამოცდილება და ქართული სინამდვილე

**დასაწყისი იხ. N 143**

მაია შონია

ეროვნული და ეთნიკური უმცირესობების განათლებისა და მათი უფლებების დაცვის შესახებ გამოცდილების შესასწავლად პოლონეთში 10 დღიანი ვიზიტით ჩასულ საქართველოს დელეგაციას ამ ქვეყნის ტერიტორიაზე ყველაზე ხანგრძლივი დროის მანძილზე მცხოვრები რეგიონალური ჯგუფის წარმომადგენლები, კაშუბები მასპინძლობდნენ. პოლონეთში 2002 წელს ჩატარებული აღწერის შედეგად 50 000 კაშუბიდან 5000 თქვა, რომ არის კაშუბი, დანარჩენებმა კი განაცხადეს, რომ არიან პოლონელები, მაგრამ საუბრობენ კაშუბურ ენაზე. სწორედ ამ აღწერის საფუძველზე მოიპოვა ამ ჯგუფმა გარკვეული უფლებები. კაშუბების თვითგამორკვევის პროცესი გასული საუკუნის 90-იან წლებში დაიწყო.

„ნაციონალური და ეთნიკური უმცირესობების და რეგიონალური ენის შესახებ“ კანონის თანახმად კაშუბურ ენას, რომელიც დაახლოებით პოლონურის დიალექტად შეიძლება მივიჩნიოთ, რეგიონალური ენის სტატუსი მიენიჭა. პოლონეთის ტერიტორიაზე დღეისათვის ერთადერთი კაშუბური სკოლა არსებობს, სოფელ გლოდნიცაში, სადაც სულ 12 ბავშვი სწავლობს. სკოლას დახურვის საფრთხე ემუქრებოდა, მაგრამ ის შენარჩუნებულია. თანაც ისე, რომ თბილისის ნებისმიერ წამყვან სკოლას შეშურდებოდა.

კაშუბები პომორიის სავოევოდოს (ანუ რეგიონის) მოსახლეობის ერთ მეოთხედს შეადგენენ. ეს მხარე და მისი დედაქალაქი გდანსკი მსოფლიოს უახლეს ისტორიაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს. 1980 წელს „სოლოდარობის“ მოძრაობა სწორედ ამ ქალაქიდან იღებს სათავეს. მოძრაობის ლიდერის და შემდეგ პოლონეთის ყველაზე გამორჩეული რეფორმატორის ლეხ ვალენსას კარიერაც სწორედ ამ ქალაქიდან დაიწყო. ვალენსას ოფისი დღესაც გდანსკის ცენტრალურ უბანში მდებარეობს. აქ მე-14 საუკუნის ევროპული არქიტექტურის ნიმუშებს მრავლად ნახავთ, მიუხედავად იმისა, რომ მეორე მსოფლიო ომი 1939 წელს სწორედ ამ ქალაქიდან დაიწყო. მაშინ გდანსკი დანგრევას გადაურჩა. 1980 წელს დაწყებული და გამარჯვებით, ანუ კომუნისტური რეჟიმის მარცხით დამთავრებული „სოლიდარობის“ მოძრაობის თითქმის დეტალურად აღდგენა შეუძლია ყველა მნახველს, რომელიც გდანსკში „სოლიდარობის მოძრაობის“ ახლა უკვე მუზეუმად ქცეულ შტაბბინაში აღმოჩნდება. მუზეუმში ხელუხლებლად არის დაცული ყველა ის ნივთი, რომელიც მოძრაობის წევრებს ეკუთვნოდათ. მუზეუმის პირველი და ყველაზე მთავარი ექსპონატი მაღაზიის დახლია, რომელზეც მხოლოდ მარილი და ძმარი დევს. ეს ქვეყნის ეკონომიკური დეგრადირების, შიმშილის სიმბოლოა, რის წინააღმდეგაც დაიწყეს ბრძოლა ვალენსამ და მისმა თანამებრძოლებმა. მოგვიანებით ამ მოძრაობას შეუერთდნენ: გერმანია, უნგრეთი, ჩეხოსლოვაკია, ბულგარეთი, მოლდავეთი, უკრაინა, ბელორუსია, სლოვენია, რუსეთი, ბოსნია-ჰერცოგოვინა, სერბეთი, ჩერნოგორია.

„სოლიდარობის მოძრაობის“ შედეგად დაიწყო პოლონეთის საბჭოთა სივრცისგან გამოყოფის პროცესი. მას მოყვა უდიდესი რეფორმები. ახალი სახელმწიფოს მშენებლობა პოლონელებმა, ჩვენგან განსხვავებით, ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის ჩატარებით დაიწყეს. ჩვენში დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობის 15 წლიანი ისტორიის მანძილზე ამ რეფორმის ჩატარების სურვილიც კი არ გასჩენია ხელისუფლებას. პოლონური სამსაფეხურიანი ადგილობრივი თვითმმართველობა კი ჩვენთვის მართლაც სამაგალითოა.

პოლონეთში დღეს არსებულ ადგილობრივი თვითმმართველობას 1989 წელს ჩაეყარა საფუძველი. მას წინ ხანგრძლივი დისკუსიები უძღოდა. ორი მოსაზრება არსებობდა. ერთი, რომელიც ძლიერი თვიმმართველობის შექმნას ითვალისწინებდა და რომლის თანახმადაც მხოლოდ ჯარი და ფინანსები რჩებოდა ცენტრალური ხელისუფლების ხელში. მეორე - თვითმმართველობის ორგანოებისთვის ნაკლები უფლებების მინიჭებას ემხრობოდა. ამ აზრის მხარდამჭერები მიიჩნევდნენ, რომ ძლიერი თვითმმართველობის მოდელი ქვეყნის შიგნით სეპარატიზმს გააღვივებდა. დავა მიმდინარეობდა იმაზეც, თუ რა ნიშნით (ეკონომიკური, პოლიტიკური, ისტორიულ-კულტურული) დაეყოთ ქვეყანა რეგიონებად და რამდენი რეგიონი უნდა ყოფილიყო. რეგიონებად დაყოფის მთავარი კრიტერიუმი ისტორიულ-კულტურული ნიშანი გახდა. დღეისათვის პოლონეთში 16 სავოევოდო, ანუ რეგიონი არსებობს, რომლებიც საკმაოდ დიდი უფლებებით არიან აღჭურვილნი. სავოევოდო არის ადგილობრივი თვიმმართველობის ყველაზე მაღალი საფეხური, რომელსაც მართავს როგორც პრემიერ-მინისტრის წარმომადგენელი ვოევოდა, ისე მარშალეკი თავისი 5 წევრიანი მთავრობით და არჩევითი ორგანო, სეიმიკი, ანუ რეგიონალური პარლამენტი, რომელიც 33 წევრისგან შედგება და რომელსაც ხელმძღვანელობს სპიკერი. ძირითად გადაწყვეტილებებს სწორედ სეიმიკი იღებს. ირჩევს მარშალეკს და მისი მთავრობის 5 წევრს. ამტკიცებს სავოევოდოს ბიუჯეტს და განსაზღვრავს საერთაშორისო პოლოტიკას ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით. ვოევოდა კი აკონტროლებს ამ გადაწყვეტილებების ქვეყნის კანონმდებლობასთან შესაბამისობას. უფრო დაბალი საფეხურია პოვიატა. ყველაზე დაბალი საფეხური კი არის გმინა, რომელიც ძირითადად საზოგადოებრივ საკითხებს, დაწყებით განათლებასა და პირველად ჯანდაცვას აკონტროლებს. ამ საფეხურებს სრული დამოუკიდებლობა გააჩნიათ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში.

ქალაქის ბურგომისტრებს, ანუ მერებს პირდაპირი არჩევნების გზით ირჩევენ.

ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმას პოლონეთში უმტკივნეულოდ არ ჩაუვლია. როგორც პომორის სავოევოდოს სეიმიკის თავმჯდომარემ ბრუნონ სინაკმა აღნიშნა, „ყველა მხარე ითხოვდა სავოევოდოდ ჩამოყალიბებას, რასაც ხშირად პროვოცირებული პროტესტიც მოყვებოდა ხოლმე. თუმცა, რეფორმა მაინც გატარდა. წელს უკვე მეორე ვადა ეწურებათ პოლონეთის თვითმმართველობის ორგანოებს. ხელისუფლება ცდილობს მათ უფლებები შეუკვეცოს და ქვეყნის მართვა ცენტრალიზებული გახადოს, რასაც ჩვენ ვეწინააღმდეგებით“.

ქართული დელეგაციის ხელმძღვანელის ზურაბ ბრაგვაძის განცხადებით - „ეს რეფორმა სამაგალითოა საქართველოსთვის. მით უმეტეს, რომ ჩვენთან ის ჯერ არც დაწყებულა. შესაძლოა, ზუსტად ამ მოდელის გადმოღება არა, მაგრამ ამის მსგავსი მოდელი საქართველოსთვისაც მისაღები იყოს.“

ბრუნონ სინაკის განცხადებით - „არც ერთი მოდელის პირდაპირ კოპირება არ შეიძლება. თვითმმართველობის ნებისმიერი მოდელი ქვეყნის კულტურასთან და ტრადიციებთან უნდა იყოს ადაპტირებული. სწორედ ამიტომაც არის, რომ თვითმმართველობის მოდელებთან დაკავშირებით ევროკავშირი არავითარ რეკომენდაციებს არ იძლევა. საუბრობს მხოლოდ ძირითად პრინციპზე, დემოკრატიული არჩევნების გზით არჩეულ თვითმმართველობაზე. ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპია ისიც, რომ ხალხისთვის აუცილებელ გადაწყვეტილებებს თვითმმართველობის ყველაზე დაბალი ორგანო უნდა იღებდეს. გადაწყვეტილებების მიღების პროცედურები მარტივი უნდა იყოს და სისტემა კორუფციის ფაქტების წარმოშობას არ უნდა უწყობდეს ხელს.“

პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებში პოლონური გამოცდილების გავრცელებას აქტიურად უწყობს ხელს თავის დროზე „სოლიდარობის მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი, ლეხ ვალენსას თანამებრძოლი ურშულა დოროშევსკა, რომელიც დღეს ორგანიზაცია „დემოკრატიული საზოგადოება აღმოსავლეთის“ ხელმძღვანელია. ამ მიმართულებით ორგანიზაციას წლების ნაძელზე არა ერთი პროექტი აქვს განხორციელებული უკრაინაში, საქართველოში, აზერბაიჯანსა და სომხეთში. თანამშრომლობა მომავალშიც გაგრძელდება.

*გაგრძელება შემდეგ ნომერში*

## განცხადება

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრის მიერ 23.05.2006 წ. გამოცხადებული ტენდერი კომპიუტერული ტექნიკის შესყიდვასთან დაკავშირებით დასრულებულია. ტენდერში გაიმარჯვა კომპიუტერულმა კომპანიამ "ალტა" და გაფორმდა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ.

**დიაბეტიან ბავშვთა დაცვის ასოციაცია დაინტერესებულ პირებსა და ორგანიზაციებს აცნობებს, რომ მის მიერ ა.წ. 1 ივნისს გაზეთ "24 საათში" 119 გამოცხადებულ ტენდერში გამოვლინდა ორი გამარჯვებული: შპს "საქართველოს დიაბეტის ცენტრი" და შპს "მირკო", რომლებთანაც გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულებები.**

**სატენდერო კომისია**



# ქართველი პარიკმახერები მსოფლიო ჩემპიონატზე

2006 წლის 1 ივლისს მოსკოვში იხსნება XXXI მსოფლიო ჩემპიონატი საპარიკმახერო ხელოვნებაში, დეკორატიულ კოსმეტოლოგიაში, ფრჩხილების დიზაინში და მოდელირებაში. 1 000-ზე მეტი გამოცდილი ოსტატი 56 ქვეყნიდან მიიღებს მონაწილეობას ამ დიდ HAIRWORLD-ში. პარალელურად გაიხსნება დიდი საერთაშორისო გამოფენა, სადაც მსოფლიოს საუკეთესო მწარმოებლები ჩამოიტანენ პარფიუმერიის და კოსმეტიკის პროდუქციას, თმის მოვლის საშუალებებს, სხვადასხვა აქსესუარებს. HAIRWORLD-ის პროგრამაში ყველას მიეცემა შესაძლებლობა მიიღოს მონაწილეობა „მასტერ-კლასში", რომელსაც ჩაატარებს მსოფლიოს საპარიკმახერო ხელოვნების ელიტის 16 სტილისტი. საკმარისია ითქვას, რომ ჩემპიონატზე ჩამოვლენ პარიკმახერთა მსოფლიო ორგანიზაციის კორიფეები: პატრიკ კამერონი, დევის მენინა, ჯიადი გუერინი და სხვა, რომლებიც ქმნიან „ამინდს" მთელს მსოფლიოში.

როგორია ეს ამინდი დღევანდელ საპარიკმახერო და კოსმეტოლოგიის სამყაროში? - ამ შეკითხვით მივმართეთ საქართველოს პარიკმახერთა და კოსმეტოლოგთა ფედერაციის პრეზიდენტს ვაჟა მხითარიანს და თანაპრეზიდენტს ნათელა იაშვილს.

**ვაჟა მხითარიანი:** „მსოფლიო ჩემპიონატი საპარიკმახერო ხელოვნებაში არის უდიდესი ფორუმი, თუ გნებავთ, სილამაზის ზეიმი, სადაც ჩამოვა 100-ზე მეტი მონაწილე. მე, როგორც თბილისელმა და ჩემპიონატის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, საქართველოდან კონკურსანტები დავპატიჟე, რათა მონაწილეობა მიიღონ ამ დიდ ზეიმში, უშუალოდ ნახონ და შეეხონ მსოფლიო ელიტის ნამუშევრებს. ყველანაირად ვეცდები დავეხმარო ჩემს თანამემამულეებს. საქართველოს ახალგაზრდებს ამ დარგში დიდი პოტენციალი აქვთ".

**ნათელა იაშვილი:** ვაჟა მხითარიანთან ერთად 2002 წელს დავაფუძნეთ „საქართველოს პარიკმახერთა და კოსმეტოლოგთა ფედერაცია". დაარსებიდან 4 წელიწადში ფედერაცია პარიკმახერთა მსოფლიო ორგანიზაციაში მიიღეს და, რაც ყველაზე აღსანიშნავია, პირველად ისტორიაში საქართველოს ნაკრები გუნდი მონაწილეობს მსოფლიო ჩემპიონატში. საქართველოს ნაკრების სახელით ქვეყნის ღირსებას დაიცავენ გამოცდილი პროფესიონალები, რომლებიც სხვადასხვა ნომინაციებში გამოვლენ, მაგალითად: ლიანა მამულაშვილი გამოვა მოდური კატეგორიის ორ ნომინაციაში - „თავისუფალი გრძელი თმა" და „მაღალი ვარცხნილობა გრძელ თმაზე". ვართან ასოიანი მიიღებს მონაწილეობას „კრეატიულ ვარცხნილობაში", „საღამოს ვარცხნილობაში" და ნომინაციაში „კრეატიული ვარცხნილობის შეღებვა". მანანა კობალაძე კი გამოვა ფრჩხილების დიზაინის ნომინაციაში „სამგანზომილებიანი დიზაინი." საქართველოს ნაკრებში სულ 6 მონაწილეა.

**- რა შედეგებს ელით?**

**ნათელა იაშვილი:** „აქ მთავარია მონაწილეობა, იმიტომ რომ ჩვენმა მონაწილეებმა უნდა ჩაისუნთქონ ეს ჰაერი, იგრძნონ ატმოსფერო და კორიფეებთან დაეუფლონ ოსტატობის უმაღლეს დონეს, ისწავლონ და ეს ოსტატობა საქართველოში სილამაზის ინდუსტრიის ასამაღლებლად ჩამოიტანონ".

# ზეზვას მოგზაურობა ბონში

## პირველი ევროპელი ექსპოზიცია „კაცობრიობის ფესვებს" გახსნის

1999 წელს დმანისში ჩატარებული გათხრების შედეგად აღმოჩენილი, პირველ ევროპელად აღიარებული ზეზვა უკვე გერმანიაშია, თუმცა არა მეოთხედფინალებზე დასასწრებად, არამედ მეტად მნიშვნელოვანი მისიით - ბონში მდებარე რაინის სამხარეო მუზეუმში ექსპოზიცის - „კაცობრიობის ფესვების" (Roots-Wurzeln der Menschheit) მთავარი ფიგურა იქნება.

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრი გიორგი გაბაშვილი და ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორი დავით ლორთქიფანიძე ბონში 26 ივნისს გაემგზავრნენ და მილიონ 800 ათასი წლის წინანდელი თავის ქალა გერმანელი პუბლიკის წინაშე წარადგინეს. ზეზვას ბონში „ჩასვლას" უკვე მოჰყვა გამოხმაურება გერმანულ პრესაში.

გარდა ამისა, საქართველოს ეროვნულ მუზეუმსა და რაინის სამხარეო მუზეუმს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომელიც მუზეუმებს შორის ფართო და მრავალმხრივ თანამშრომლობას ითვალისწინებს. მათ შორის, ქართველი სპეციალისტების სტაჟირებას, რომლის ხარჯებსაც მთლიანად გერმანიის მხარე დაფარავს.



*დავით ლორთქიფანიძემ და გიორგი გაბაშვილმა ზეზვა გერმანიაში ჩაიყვანეს.*

ანალოგიური ხელშეკრულება 2005 წელს საქართველოსა და სორიას ჰერცოგთა ფონდს (ესპანეთი) შორისაც დაიდო, რომლის ფარგლებშიც ათმა ქართველმა მეცნიერმა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები გაიარა. ასევე ჩაატარეს ერთობლივი სამეცნიერო კვლევებიც.

ექსპოზიცია 8 ივლისს გაიხსნება და 19 ნოემბრამდე გასტანს. ზეზვას გარდა მასზე წარმოდგენილი იქნება ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში აღმოჩენილი უძველესი ადამიანების ნაშთები.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**კავშირი საქართველოს ეროვნული ფედერაცია "სპორტი ყველასათვის" აცხადებს ტენდერს მაისურების შესყიდვისათვის.**

**საქონლის აღწერილობა:**

| დასახელება | აღწერილობა | რაოდენობა |
|---|---|---|
| მაისური | წარწერით, მოკლე მკლავიანი | 20 000 ც. |

- დაინტერესებულ პირებს სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შეუძლიათ 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის ქვითარის წარმოდგენის შემდეგ, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. N49/ა, კავშირი საქართველოს ეროვნული ფედერაცია "სპორტი ყველასათვის" სატენდერო კომისიის აპარატში.

- დაინტერესებულ პირებს სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შეეძლებად 21 ივლისის 17:00 საათამდე.

- პრეტენდენტებმა ქართულ ენაზე შედგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ დალუქული კონვერტით **2006 წლის 24 ივლისს 17.00 საათამდე**, ზემოაღნიშნულ მისამართზე.

**- საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:**

**იურიდიული პირისათვის:**

- ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან;
- ცნობას, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან)
- ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმისწარმოება (ცნობას სასამართლოდან)

**ფიზიკური პირისათვის:**

- ცნობას ქმედითუნარიანობის შესახებ (ცნობას შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან)
- ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არ ქონის შესახებ.

**როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

- შესყიდვაში მონაწილების მსურველი პირის რეკვიზიტებს (მისამართი, ტელეფონი, ხელმძღვანელის სახელი და გვარი, საბანკო რეკვიზიტები)
- ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არ ქონის შესახებ.
- თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

**- სატენდერო მოსაკრებელი გადახდილი უნდა იქნეს შემდეგ რეკვიზიტებზე:**

*ანგ. N115787900 საქართველოს ბანკი, ბანკის კოდი 220101502*

*გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, კავშირი საქართველოს ეროვნული ფედერაცია "სპორტი ყველასათვის"*

შესყიდვების პროცესში, კანონმდებლობით დადგენილი ოდენობით გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების ურზუნველყოფისა და ხელშეკრულების გარანტირების მექანიზმი.

- ტენდერის პროცრდურებში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული .
- ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება.
- სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება **2006 წლის 24 ივლისს 17:00 საათზე.**

**- სატენდერო წინადადების შეფასება მოხდება 24 ივლისს 17:00 საათზე.**

- საქონლის მიწოდების სასურველი ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან **30** კალენდარული დღე.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიმართონ

**თენგიზ გაჩეჩილაძე - 899 22-92-80**

**სატენდერო კომისია**

## საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი მოწვევა ეროვნულ საკონკურსო ვაჭრობაზე (ტენდერზე)

**საიდენტიფიკაციო ნომერი: N 08.02.30**
**მსოფლიო ბანკის კრედიტი N IDA- 37580-GE**
**ლანჩხუთის რაიონის, სოფელ ჩოჩხათის სკოლის რემონტი**

საქართველოსა და განვითარების საერთაშორისო ასოციაციას შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე საქართველოს მთავრობამ განვითარების საერთაშორისო ასოციაციისგან (IDA) მიიღო სესხი და აპირებს სესხის ნაწილით დააფინანსოს **ლანჩხუთის რაიონის, სოფელ ჩოჩხათის სკოლის რემონტი.**

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა, გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება ლანჩხუთის რაიონის, სოფელ ჩოჩხათის სათემო კავშირთან "ჩოჩხათი", რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, ლანჩხუთის რაიონის, სოფელ ჩოჩხათის სათემო კავშირი "ჩოჩხათი" იწვევს დაინტერესებულ სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად. საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ **2006 წლის 29 ივნისიდან** ყოველდღე (შაბათ-კვირის გარდა) 10-დან 18 საათამდე **საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში, საკონტაქტო პირი: კლარა მოსულიშვილი, სოციალური ინვესტიციების დეპარტამენტის მენეჯერი.**

საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს **20 (ოცი) ლარს,** რომელიც გადახდილი უნდა იქნას ბანკში, შემდეგ რეკვიზიტებზე:

**ბანკის სახელწოდება: ს.ს. ბანკი "რესპუბლიკა"**
**მისამართი: ქ. თბილისი, გრ. აბაშიძის ქუჩა N2**
**ა/ა: 34080001**
**კოდი: 220 101 757**
**საიდენტიფიკაციო კოდი: 206 074 193**
**ბენეფიციარი: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი**

თანხის გადახდის დამადასტურებელი საბუთი უნდა იქნას წარმოდგენილი სატენდერო პაკეტის მოთხოვნისას.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან **60 დღის** განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **3 500 ლარის** ოდენობის საკონკურსო გარანტია.

საკონკუსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება. კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ კონკურსანტებს შეუძლიათ მიიღონ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს **2006 წლის 27 ივლისს 12:00**-მდე, **საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში, საკონტაქტო პირი: კლარა მოსულიშვილი, სოციალური ინვესტიციების დეპარტამენტის მენეჯერი.**

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში საკონკურსო წინადადების წარმოდგენის ვადის დასრულების დღეს, **2006 წლის 27 ივლისს 12:00** საათზე, დაინტერესებული პირების თანდასწრებით. დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეობის მსურველებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი. აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში, კონკურსანტს შეუძლია მიმართოს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში შიდა აუდიტის სამსახურს.

**საკონტაქტო პირი: ნიკოლოზ გაგუა, შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი.**
**ngagua@mdf.org.ge**

**საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მისამართია:**
**ქ. თბილისი, 0105, იეთიმ გურჯის ქუჩა N7ბ**
**ტელ: (995 32) 94 32 40; 94 29 47; 92 34 70,**
**ფაქსი: (995 32) 94 04 39,**
**www.mdf.org.ge**

## საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი მოწვევა ეროვნულ საკონკურსო ვაჭრობაზე (ტენდერზე)

**საიდენტიფიკაციო ნომერი: N 04.04.09**
**მსოფლიო ბანკის კრედიტი N IDA- 37580-GE**

**ლაგოდეხის რაიონის, სოფ. კაბალის სკოლის რემონტი**

საქართველოსა და განვითარების საერთაშორისო ასოციაციას შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე საქართველოს მთავრობამ განვითარების საერთაშორისო ასოციაციისგან (IDA) მიიღო სესხი და აპირებს სესხის ნაწილით დააფინანსოს **ლაგოდეხის რაიონის, სოფ. კაბალის სკოლის რემონტი.**

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება სოფ. კაბალის სათემო კავშირთან "კაბალი", რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, სოფ. კაბალის სათემო კავშირი "კაბალი" იწვევს დაინტერესებულ სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად. საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ **2006 წლის 30 ივნისიდან** ყოველ დღე (შაბათ-კვირის გარდა) 10-დან 18 საათამდე **საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში, საკონტაქტო პირი: კლარა მოსულიშვილი, სოციალური ინვესტიციების დეპარტამენტის მენეჯერი.**

საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს **20 (ოცი) ლარს,** რომელიც გადახდილი უნდა იქნას ბანკში, შემდეგ რეკვიზიტებზე:

**ბანკის სახელწოდება: ს.ს. ბანკი "რესპუბლიკა"**
**მისამართი: ქ. თბილისი, გრ. აბაშიძის ქუჩა N2**
**ა/ა: 34080001**
**კოდი: 220 101 757**
**საიდენტიფიკაციო კოდი: 206 074 193**
**ბენეფიციარი: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი**

თანხის გადახდის დამადასტურებელი საბუთი უნდა იქნას წარმოდგენილი სატენდერო პაკეტის მოთხოვნისას.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან **60 დღის** განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **2 200 ლარის** ოდენობის საკონკურსო გარანტია.

საკონკუსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება. კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ კონკურსანტებს შეუძლიათ მიიღონ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს **2006 წლის 14 ივლისს 13:00**-მდე, **საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში. საკონტაქტო პირი: კლარა მოსულიშვილი, სოციალური ინვესტიციების დეპარტამენტის მენეჯერი.**

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში საკონკურსო წინადადების წარმოდგენის ვადის დასრულების დღეს, **2006 წლის 14 ივლისს 13:00** საათზე, დაინტერესებული პირების თანდასწრებით. დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეობის მსურველებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი. აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში, კონკურსანტს შეუძლია მიმართოს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში შიდა აუდიტის სამსახურს.

**საკონტაქტო პირი: ნიკოლოზ გაგუა, შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი.**
**ngagua@mdf.org.ge**

**საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მისამართია:**
**ქ. თბილისი, 0105, იეთიმ გურჯის ქუჩა N7ბ**
**ტელ: (995 32) 94 32 40; 94 29 47; 92 34 70**
**ფაქსი: (995 32) 94 04 39**
**www.mdf.org.ge**

## საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი მოწვევა ეროვნულ საკონკურსო ვაჭრობაზე (ტენდერზე)

**საიდენტიფიკაციო ნომერი: N 06.03.26.**
**მსოფლიო ბანკის კრედიტი N IDA- 37580-GE**
**ჭიათურის ნაგუთის კულტურის სახლის რემონტი**

საქართველოსა და განვითარების საერთაშორისო ასოციაციას შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე საქართველოს მთავრობამ განვითარების საერთაშორისო ასოციაციისგან (IDA) მიიღო სესხი და აპირებს სესხის ნაწილით დააფინანსოს **ჭიათურის ნაგუთის კულტურის სახლის რემონტი.**

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება ჭიათურის საკრებულოს სათემო კავშირთან "ნაგუთი", რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, ჭიათურის საკრებულოს სათემო კავშირი "ნაგუთი" იწვევს დაინტერესებულ სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად. საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ **2006 წლის 29 ივნისიდან** ყოველდღე (შაბათ-კვირის გარდა) 10-დან 18 საათამდე, **საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში. საკონტაქტო პირი: კლარა მოსულიშვილი, სოციალური ინვესტიციების დეპარტამენტის მენეჯერი.**

საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს **20 (ოცი) ლარს,** რომელიც გადახდილი უნდა იქნას ბანკში, შემდეგ რეკვიზიტებზე:

**ბანკის სახელწოდება: ს.ს. ბანკი "რესპუბლიკა"**
**მისამართი: ქ. თბილისი, გრ. აბაშიძის ქუჩა N2**
**ა/ა: 34080001**
**კოდი: 220 101 757**
**საიდენტიფიკაციო კოდი: 206 074 193**
**ბენეფიციარი: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი**

თანხის გადახდის დამადასტურებელი საბუთი უნდა იქნას წარმოდგენილი სატენდერო პაკეტის მოთხოვნისას.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან **60 დღის** განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **1 800 ლარის** ოდენობის საკონკურსო გარანტია.

საკონკუსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება. კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ კონკურსანტებს შეუძლიათ მიიღონ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს **2006 წლის 27 ივლისს 11:00**-მდე, **საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში. საკონტაქტო პირი: კლარა მოსულიშვილი, სოციალური ინვესტიციების დეპარტამენტის მენეჯერი.**

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში საკონკურსო წინადადების წარმოდგენის ვადის დასრულების დღეს, **2006 წლის 27 ივლისს 11:00** საათზე, დაინტერესებული პირების თანდასწრებით. დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეობის მსურველებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი. აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში, კონკურსანტს შეუძლია მიმართოს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში შიდა აუდიტის სამსახურს.

**საკონტაქტო პირი: ნიკოლოზ გაგუა, შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი.**
**ngagua@mdf.org.ge**

**საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მისამართია:**
**ქ. თბილისი, 0105, იეთიმ გურჯის ქუჩა N7ბ**
**ტელ: (995 32) 94 32 40; 94 29 47; 92 34 70**
**ფაქსი: (995 32) 94 04 39**
**www.mdf.org.ge**

# დიპლომანტი დიზაინერები

მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრმა, თბილისის სახელმწიფო აკადემიის მოდისა და დიზაინის დეპარტამენტის 36 დიპლომანტის ნამუშევართა ჩვენებას უმასპინძლა. ჩვენება უჩვეულო მღელვარების ფონზე მიმდინარეობდა, ღელავდნენ სტუდენტები, მათი ახლობლები და განსაკუთრებული განცდა კი მათ პედაგოგებს ჰქონდათ. ამ საერთო ვნებათაღელვისაგან კი შორს იყო სცენა, იქ სამოდელო სააგენტო „ნატალის" ცნობილი მოდელები ჩვეული გრაციოზულობით წარმოადგენდნენ თითეულ კოსტიუმს.

დიპლომანტებმა ხუთ-ხუთი სადიპლომო, სვადასხვა თემაზე შექმნილი ნამუშევარი წარმოადგინეს. თემა და ფანტაზია კი მართლაც უსაზღვრო იყო - შესაძლებელი ყოფილა კოსტიუმის ფერი, ფორმა, სხეულისა და სამოსის ჰარმონია ხის ფესვებმმა, უდაბნომ, ვამპირმა, არლეკინმა და თქვენ წარმოიდგინეთ, „წითელმა ვიოლინომაც" კი შთაგაგონოს ადამიანს. საინტერესოდ და ორიგინალურად გამოიყურებოდა სამხედრო თემაზე შესრულებული კოსტიუმები, რომელიც მკაცრი სტილისა მიუხედავად დახვეწილი გემოვნებით და ქალურობითაც კი გამოირჩეოდა. ჩემთვის საინტერესო აღმოჩნდა თემა „ბოშური ვარიაცია", პრაქტიკული, თავისუფალი მსუბუქი სამოსი, ჭრელი ფერების დამახასიათებელი გამით. დიპლომანტებს გული არც პატარებისათვის დაუწყვეტიათ და არც მამაკაცებისათვის. ნამუშევრებში იყო რამდენიმე ისეთი მოდელი, რომელმაც აღიარება უკვე მოიპოვა ქვეყნის გარეთ.

სტუდენტების ნამუშევრები მოდელების მრავალფერონებითაც იყო გამორჩეული ტრადიციული კოსტიუმით დაწყებული, ყოველდღიური, გამოსასვლელი და თეატრალიზებული სამოსით დამთავრებული. ჩვენება სამი ნაწილისაგან შედგებოდა ტრიკოტაჟი, ტყავი და მოხატვის ხელოვნება. ეს უკანასკნელი ახალი დარგია და წელს პირველად მოეწყო ამ ფაკულტეტის სტუდენტთა ნამუშევრების პრეზენტაციაც.

საგულისხმოა, რომ ყველა მოდელი, ქსოვილი და აქსესუარები სასწავლებლის სახელოსნოში იქმნება სტუდენტების ხელით. ისინი თვითონ არჩევენ ყველა დეტალს, ფერს, მასალას და ასე ასხამენ ხორცს საკუთარ ფანტაზიას.

მოდა კი კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი ის სფეროა, რომელიც მუდმივი სიახლისა და სრულყოფილებისაკენ დაუსრულებელ სწრაფვას წარმოადგენს. სწორედ ამ მიზანს ემსახურება დიპლომანტების მიერ წარმოდგენილი ნამუშევრებიც, რაშიც მათი სიფაქიზე, შრომისმოყვარეობა, ინდივიდუალურობა და უშრეტი ფანტაზია გამოსჭვივის. სადიპლომო ნამუშევრების ჩვენება და თითოეული დიპლომანტის წარმატება მათი ხელმძღვანელების ერთგვარი გამოცდაც კი იყო, რომელიც ორივე მხარემ წარმატებით ჩააბარა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მოდისა და დიზაინის დეპარტამენტის კურსდამთავრებულთა უმრავლესობა ალბათ წარმატებით დაიმკვიდრებს ადგილს თანამედროვე მოდის სამყაროში.

მოდისა და დიზაინის დეპარტამენტის სადიპლომო ნამუშევრების ჩვენებას აკადემიის რექტორი გია ბუღაძეც დაესწრო, რომელმაც გზა დაულოცათ და წარმატებაც უსურვათ დიპლომანტებს.

„ეს დეპარტამენტი დღეს აღმავლობის გზაზეა, იქ მომუშავე პედაგოგთა გუნდი კი ძალზე საინტერესო, რომლის შენარჩუნებაცა და ხელშეწყობაც აუცილებელია. საბედიეროდ ერთი პრობლემა მაინც მოგვარდა და წელს მათ პირველად მოუწიათ გამთბარ აუდიტორიებში მუშაობა" - განაცხადა აკადემიის რექტორმა გია ბუღაძემ.

მოდისა და დიზაინის დეპარტამენტის მომავალი დიპლომანტების რიცხვიც გაცილებით მეტი იქნება. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ დეპარტამენტის ხელმძღვანელი ქალბატონი მაკა ბახტაძე ძალისხმევას არ დაიშურებს, რაც შეიძლება მეტი ნიჭიერი, პერსპექტიული პროფესიონალი დიზაინერი აღზარდოს.

# ნამდვილი მაკონდო

გაბრიელ გარსია მარკესის სამშობლოში რამდენიმე დღის წინ უჩვეულო რეფერენდუმი ჩატარდა. მისი მშობლიური ქალაქის არაკატაკასთვის სახელის გადარქმევას აპირებდნენ, რათა არაკატაკა-მაკონდო დაერქმიათ. რეფერენდუმი ჩატარებულად არ ჩაითვალა, რადგან მოსახლეობის საჭირო რაოდენობა საარჩევნო უბანზე არ მივიდა. ქალაქისთვის სახელის გადასარქმევად კი მხოლოდ 7 400 ხმა იყო საჭირო.

ნობელის პრემიის ლაურეატმა გაბრიელ გარსია მარკესმა ქალაქი მაკონდო გამოიგონა თავის ყველაზე გახმაურებულ რომანში „მარტოობის ასი წელიწადი". ქალაქის აღწერილობა ზუსტად ისეთია, როგორც მარკესს თავისი მშობლიური არაკატაკა ახსოვს. ეს ქალაქი კოლუმბიის ჩრდილოეთით მდებარეობს და ბანანის პლანტაციებითაა გარშემორტყმული.

არაკატაკასთვის სახელის გადარქმევა ქალაქის მერის პედრო სანჩესის იდეაა. მისი თქმით, ამ გზით ქალაქში ტურისტების მიზიდვას შეძლებდა. ქალაქში უკვე არსებობს მარკესის სახლ-



მუზეუმი, რომელიც მწერლის გამზრდელი ბებიის სახლშია განთავსებული და ტურისტების თავშეყრის საყვარელი ადგილია. სწორედ ბებია უყვებოდა შვილიშვილს უცნაურ იდუმალ ისტორიებს, რომელთა უმეტესობა მოგვიანებით მარკესის შემოქმედებაში გაცოცხლდა. ასევე ქალაქში ფუნქციონირებს ავტობუსების ფირმა, რომელსაც მარკესის მიერ 1982 წელს მიღებული პრემიის პატივსაცემად „ნობელი" ჰქვია.

თავად მარკესი რეფერენდუმთან დაკავშირებით კომენტარს არ აკეთებს და ნეიტრალურ პოზიციაზე დგომას ამჯობინებს.

# საქართველო ინფრასტრუქტურის წინა-საინვესტიციო საწარმო ინფრასტრუქტურა

საკონსულტაციო მომსახურეობები

პროექტის საიდენტიფიკაციო N.: P09885

ეს თხოვნა დაინტერესების შესახებ მოყვება ამ პროექტის ძირითადი შესყიდვის შეტყობინებას რომელიც 2006 წლის 26 ივნისს გამოქვეყნდა გაზეთში DG Market.

საქართველოს მთავრობამ მსოფლიო ბანკისგან მიიღო დაფინანსება ინფრასტრუქტურის წინა-საინვესტიციო საწარმოს დაფინანსებისათვის და აპირებს ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის პროექტთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურების გადახდას.

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო იწვევს მაღალი კვალიციკაციის მქონე კონსულტანტებს ინტერესის გამოსახატავად ქვეყნის ენერგოგენერაციის გაფართოების გეგმის ფარგლებში სტრატეგიული გარემოზე ზემოქმედების შეფასებისათვის.

ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის პროექტი ითვალისწინებს მდინარე ენგურზე კაშხლისა და 700 მვტ-იანი ელექტროსადგურის მშენებლობას. მანამ სანამ განხორციელდება სპეციფიკური ჰიდროელექტროსადგურის ტექნიკური, ეკონომიკური, გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების შესწავლა, კონსულტანტის მხრიდან ხოდონის ჰიდროელექტროსადგურის სტრატეგიული შეფასება ხელს შეუწყობს მისი როლის განსაზღვრას საქართველოს ენერგოგენერაციის გაფართოების გეგმაში. კონსულტანტი შეიმუშავებს განვითარების სხვადასხვა სცენარებს, რომელიც დამყარებული იქნება ელექტროენერგიის პროგნოზირებად მოხმარებაზე, შეაფასებს ენერგომომარაგების შიდა რესურსებს, არსებული ელექტროსადგურების (ჰიდრო და თბო) რეაბილიტაციისა და გადაიარაღების გათვალისწინებით. გაანალიზებს ელექტროენერგიისა და საწვავის (ბუნებრივი გაზი, სხვა) იმპორტის ფასებს. უმცირესი დანახარჯებით გენერაციის განვითარების მოდელში გათვალისწინებული უნდა იქნას გარემოზე ზემოქმედებისა და სოციალური ხარჯები. უნდა მოხდეს არსებული ელექტროენერგიის გადამცემი სისტემის განვითარების გეგმის გადახედვა ელექტროენერგიის გენერაციის განვითარების გეგმის შესაბამისად. კონსულტანტმა დეტალურად უნდა განიხილოს საქართველოსათვის ელექტროენერგიის წარმოების ყველა ტექნოლოგია. მოსალოდნელია, რომ ჰიდროელექტროსადგურების განვითარებას ენერგოგენერაციის განვითარების გეგმაში ცენტრალური ადგილი მიენიჭება (განსაკუთრებით ხოდონის განვითარებას).

დაინტერესებულმა კონსულტანტებმა მოწოდებულ ინფორმაციაში უნდა მიუთითონ, რომ ისინი კვალიფიცირებულნი არიან ამგვარი სამუშაოს შესასრულებლად (ბროშურები, მსგავსი სამუშაოს შესრულების აღწერა, მსგავს პირობებში მუშაობის გამოცდილება, თანამშრომელთა შესაბამისი ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტები და ა.შ.). კონსულტანტებს შეუძლიათ თავიანთი ძალისხმევის გაერთიანება კვალიფიკაციის დახვეწის მიზნით.

კონსულტანტი კომპანია შერჩეული იქნება მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელოში "კონსულტაციების შერჩევა მსოფლიო ბანკის მსესხებლების მიერ" (2004 წლის მაისის გამოცემა) მოცემული პროცედურების შესაბამისად.

დაინტერესებულ საკონსულტაციო ფირმებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ ქვემოთ მოცემულლ მისამართზე სამუშაო დღეებში, სამუშაო საათების განმავლობაში, ე.ი. 9-დან 17 საათამდე.

დაინტერესების გამოხატვა შეიძლება მიაწოდოთ 2006 წლის 31 ივლისამდე ქვემოთ მოცემულ მისამართზე:

ელექტროენერგიის ბაზრის მხარდამჭერი პროექტის
მომსახურე ორგანიზაციის დირექტორს
ბატონ თეიმურაზ ჯუღელს
საქართველო, თბილისი
ბარატაშვილის ქ. N2
ტელ: 995 32 923 483
ფაქსი: 995 32 923 482
ელ. ფოსტა: tjugeli@pso.ge
jakhalaia@pso.ge

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტი აცხადებს ტენდერს საკვები პროდუქტის შესასყიდად და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს. დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი.

| ლოტი N | შესყიდვის ობიექტის დასახელება დასახელება | ზომის ერთ. | რაოდენობა | მიწოდების გრაფიკი | მიწოდების ადგილი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | საქონლის ხორცის კონსერვი | კგ. | 2500 | მოთხოვნილების შესაბამისად | ქ. ბათუმი |
| 2 | საქონლის ხორცის კონსერვი | კგ. | 6000 | | ქ. ახალციხე |
| 3 | საქონლის ხორცის კონსერვი | კგ. | 5000 | | ბოლნისის რაიონი |
| 4 | საქონლის ხორცის კონსერვი | კგ. | 4000 | | გარდაბნის რაიონი |
| 5 | საქონლის ხორცის კონსერვი | კგ. | 4000 | | დედოფლისწყაროს რაიონი |
| 6 | საქონლის ხორცის კონსერვი | კგ. | 11000 | | ქ. ლაგოდეხი |
| 7 | საქონლის ხორცის კონსერვი | კგ. | 2000 | | ყაზბეგი |
| 8 | საქონლის ხორცის კონსერვი | კგ. | 2000 | | ბარისახო |
| 9 | საქონლის ხორცის კონსერვი | კგ. | 7000 | | ქ. თბილისი |
| 10 | შაქარი | კგ. | 700 | | ქ. ბათუმი |
| 11 | შაქარი | კგ. | 3000 | | ქ. ახალციხე |
| | შაქარი | კგ. | 2000 | | ბოლნისის რაიონი |
| 12 | შაქარი | კგ. | 1500 | | გარდაბნის რაიონი |
| 13 | შაქარი | კგ. | 1500 | | დედოფლისწყაროს რაიონი |
| 14 | შაქარი | კგ. | 4000 | | ქ. ლაგოდეხი |
| 15 | შაქარი | კგ. | 600 | | ყაზბეგი |
| 16 | შაქარი | კგ. | 500 | | ბარისახო |
| 17 | შაქარი | კგ. | 3500 | | ქ. თბილისი |

2. ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა უნდა გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარი შემდეგ რეკვიზიტებზე: საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი 220101107, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი N302003000, ერთიანი არასაგადასახადო ანგარიში N200122900. დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტი კოდი 1512.

3. სატენდერო მოსაკრებლის წარმოდგენისთანავე პრეტენდენტი მიიღებს სატენდერო დოკუმენტაციის სრულ პაკეტს დეპარტამენტის სატენდერო კომისიის აპარატში შემდეგი მისამართით: ქ. თბილისი, კანდელაკის ქ. 12. ტელ: 37-63-84. 37-07-59

4. სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნეს ორიგინალის სახით ან ნოტარიუსით დამოწმებული, ქართულ ენაზე.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციებს:

იურიდიულ პირთათვის:

- მსურველი იურიდიული პირის ქონებაზე არ უნდა იყოს დადებული ყადაღა (ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან); უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან;
- მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ უნდა ხორციელდებოდეს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა სასამართლოდან); უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ-შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან;
- მსურველი იურიდიული პირის ხელმძღვანელები ბოლო 5 წლის განმავლობაში არ უნდა იყვნენ მსჯავრდადებულნი და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან); უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ- შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან;

ფიზიკურ პირთათვის:

- უნდა იყოს ქმედითუნარიანი (ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან); უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან;
- მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს გაკოტრების საქმის წარმოება (უნდა იყოს წარმოდგენილი ცნობა სასამართლოდან); უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ-შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან;
- უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ უნდა იყოს მსჯავრდადებული და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მის მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის. (უნდა იყოს წარმოდგენილი ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან); უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ- შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან;

6. სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის ვინაობას, სახელს, გვარს, მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, ანგარიშსწორების რეკვიზიტებს;

7. განაცხადი, საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და ერთი დახურული პაკეტით წარმოდგენილი სატენდერო კომისიის აპარატში ხელმძღვანელის ან მის მიერ წერილობით უფლებამოსილი პირის მიერ 2006 წლის 21 ივლისს 14 საათამდე, მისამართზე: ქ. თბილისი, კანდელაკის ქ. 12. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტი. სატენდერო აპარატი.

ტელ: 37-63-84. 37-07-59

8. პრეტენდენტთა მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები უნდა იყოს ხელმოწერილი ფიზიკური პირის ან პრეტენდენტი იურიდიული პირის ხელმძღვანელის მიერ, ხელმოუწერელი სატენდერო წინადადებები არ განიხილება.

9. პრეტენდენტების განაცხადის, საკვალიფიკაციო მონაცემების და სატენდერო წინადადებების გახსნა და შერჩევა მოხდება პრეტენდენტთა თანდასწრებით ზემოაღნიშნულ მისამართზე 2006 წლის 21 ივლისს 14 საათზე.

10. დაგვიანებით შემოსულ პაკეტებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და გაუხსნელად უბრუნებს წარმომდგენ პირებს.

11. ტენდერის დროს გამოვლენილი იქნება ერთი ან რამოდენიმე გამარჯვებული, ლოტების მიხედვით. ტენდერი ტარდება საქართველოს კანონის "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საფუძველზე.

შესყიდვაში მონაწილეობის მსურველებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია სატენდერო კომისიის აპარატში, აგრეთვე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას მოსაკრებლის გადახდამდეც.

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს, ზემოაღნიშნულ მისამართზე და ტელეფონზე ტელ: 37-63-84. 37-07-59

სატენდერო კომისია

# განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველომ განვითარების საერთაშორისო ასოციაციისგან მიიღო სესხი პირველადი ჯანდაცვის განვითარების პროექტის დასაფინანსებლად, რომელიც აპირებს ამ სესხის ნაწილით დააფინანსოს **ქ. თბილისის მ. ასათიანის ქ. N9-ში მდებარე "დაავადებათა კონტროლის და სამედიცინო სტატისტიკის ეროვნული ცენტრის" III და IV სართულებზე განთავსებული "სამედიცინო სტატისტიკისა და ინფორმაციის ცენტრის" ოფისის (დაახლოებით 500მ2) სარემონტო/სარეაბილიტაციო სამუშაოები**.

საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი, ამ განცხადებით იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ ყველა დაინტერესებულ სამშენებლო ორგანიზაციას სამშენებლო სამუშაოების კონკურსში (ტენდერში) მონაწილეობისათვის.

სამშენებლო ორგანიზაციებს უნდა გააჩნდეთ შემდეგი სახის ლიცენზია:

- საცხოვრებელი, სამოქალაქო და საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა-ნაგებობების მშენებლობა;
- საინჟინრო სისტემებისა და კომუნიკაციების მშენებლობა.

საკონკურსო დოკუმენტების პაკეტი კონკურსის მონაწილეებს შეუძლიათ შეიძინონ **2006** წლის **29** ივნისიდან, ყოველ დღე (შაბათ-კვირის გარდა) **10**-დან **18** საათამდე შემდეგ მისამართზე:

**საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი**

**ქ. თბილისი 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. N23, მე-2 კორპუსი, მე-5 სართული.**
**საკონტაქტო პირი: ეკა ეკიზაშვილი, ოფისის მენეჯერი**
**ტელ/ფაქსი: (995 32) 38-82-10, 38-82-20, 33-19-39**

კონკურსის მონაწილემ უნდა გადაიხადოს **100** (ასი) ლარი საკონკურსო დოკუმენტების პაკეტის მისაღებად. აღნიშნული თანხა კონკურსანტმა უნდა გადაიხადოს ბანკში, რომლის რეკვიზიტებია:

ბანკი: სს "ბანკი რესპუბლიკა" - ცენტრალური ფილიალი, ჭავჭავაძის გამზ. N11
ბანკის კოდი: 220101757
ანგარიშის ნომერი: 23408000189
ანგარიშის მფლობელი: საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი
აღნიშნული თანხა კონკურსანტს არ დაუბრუნდება.

დაინტერესებულ მონაწილეებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია ზემოაღნიშნულ მისამართზე.

საკონკურსო წინადადებები ძალაში უნდა იყოს 60 დღის განმავლობაში კონკურსის გახსნის დღიდან და მათ თან უნდა ახლდეს წინადადების საბანკო გარანტია 3 500 (სამი ათას ხუთასი) ლარის ოდენობით, სატენდერო პაკეტში თანდართული ფორმის შესაბამისად. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

საკონკურსო წინადადებები წარმოდგენილი უნდა იყოს **2006** წლის **28** ივლისის, **12** საათამდე

შემდეგ მისამართზე:

**საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი**

**ქ. თბილისი 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. N23, მე-2 კორპუსი, მე-5 სართული.**
**საკონტაქტო პირი: ეკა ეკიზაშვილი, ოფისის მენეჯერი**
**ტელ/ფაქსი: (995 32) 38-82-10, 38-82-20, 33-19-39**

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **12:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი.

## მოკლედ

### მონოლოგის თეატრი

მონოლოგის თეატრი უახლოეს მომავალში მუსიკალური დარბაზობების ჩატარებას იწყებს, რომლის ფარგლებშიც პროფესიონალი მუსიკოსები მსმენელს თავიანთ რეპერტუარს წარუდგენენ.

როგორც შემოქმედთა საერთაშორისო კავშირის პრეზიდენტმა მაიკო მაჩაბელმა განაცხადა, მუსიკალური დარბაზობების მიზანი ხელოვანთათვის ხელისშეწყობაა, რათა პერსპექტიული ნიჭიერი მუსიკოსები უცხოეთში არ გადაიხვეწონ.

„პროფესიონალი საქართველოში უნდა დარჩეს, რათა შემოქმედებითი პოტენციალი ფიზიკურად გადარჩეს. იმისათვის რომ საქართველოს ცივილიზებული სახელმწიფოს იმიჯი დაუბრუნდეს, აუცილებელია მხარი დავუჭიროთ თანამემამულეებს, რომლებიც ეროვნული კულტურის ფასდაუდებელ შედევრებს ქმნიან“, - განაცხადა მაჩაბელმა. **ჯი-ეიჩ-ენი**

### „უცნობის პორტრეტი“

ნოვგოროდელი ხელოვნებათმცოდნეები ამტკიცებენ, რომ ცნობილი მხატვრის, ორას ვერნესა და კარლ ბრიულოვის მოსწავლის, გაგარინის (1810-1893) ნახატზე - „უცნობის პორტრეტი“ - ქართველი რომატიკოსის, ალექსანდრე ჭავჭავაძის ქალიშვილი ნინო ჭავჭავაძეა გამოსახული.

ალექსანდრე ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების ერთ-ერთი მკვლევარი, ლიტერატორი ზაზა აბზიანიძე ნოვგოროდელი ხელოვნებათმცოდნეების ვერსიას არ გამორიცხავს. თუმცა, მისი თქმით, ჭავჭავაძისა და გაგარინის ნაცნობობის შესახებ ლიტერატურულ წყაროებში არაფერია ცნობილი.

გაგარინის მიერ შესრულებულ პატარა ზომის ნახატზე გამოსახულია ბალში მყოფი ახალგაზრდა ქართველი გოგონა არისტოკრატიული ოჯახიდან.

თავის დროზე სპეციალისტებს არ ჰქონდათ სათანადო ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რომელი ბალი შეიძლებოდა ყოფილიყო ეს, ან ვინ უნდა ყოფილიყო ახალგაზრდა ქართველი გოგონა. ნახატის დეტალური ანალიზის შედეგად ხელოვნებათმცოდნე ირინა ვასილიევამ მასზე თარიღს, 1840 წელს მიაგნო. მანვე აღმოაჩინა, რომ თარიღის გვერდით ფრაგმენტულად იყო შემორჩენილი წარწერა, რომლის გაშიფვრის შედეგადაც გაირკვა, რომ ნახატის შემკვეთი, სავარაუდოდ, ქართველი რომანტიკოსი პოეტი ალექსანდრე ჭავჭავაძე (1789-1846) იყო.

„ნამდვილად ვერ გამოვრიცხავთ, რომ გაგარინს ქალიშვილის პორტრეტი მართლაც ალექსანდრე ჭავჭავაძემ დაუკვეთა. ამ დასკვნის საფუძველს, პირველ ყოვლისა, გვაძლევს ის გარემოება, რომ გაგარინი დროებით საქართველოში ცხოვრობდა, ხოლო თბილისში ჩამოსული უცხოელი შემოქმედნი პირველად სწორედ ჭავჭავაძეების სახლს სტუმრობდნენ“, - განაცხადა აბზიანიძემ.

ნოვგოროდელ სპეციალისტთა აზრით, სურათზე პოეტის უფროსი ქალიშვილი ნინო ჭავჭავაძეა (1812-1857) გამოსახული. ბალი კი, რომელიც ნახატზეა ასახული, ძალიან ჰგავს ჭავჭავაძეების მამულს წინანდალში. სპეციალისტებმა კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებით შეადარეს გაგარინის „უცნობის პორტრეტი“ და ნინო ჭავჭავაძის ცნობილი პორტრეტები. სურათების შესაბამისი რაკურსით ერთმანეთზე დადებამ მეცნიერებს, სრული დამთხვევის სურათი მისცა.

„იმ პერიოდში ქართველი პროფესიონალი მხატვრები ჯერ არ არსებობენ, არადა ჭავჭავაძე ევროპული ცხოვრების წესის ტრფიალია და ევროპული ყაიდის თანახმად, ხშირად უკვეთს პორტრეტებს უცხოელ მხატვრებს. თუმცა, მეცნიერებისთვის ცნობილ არც ერთ წყაროში არ არის დაფიქსირებული, რომ გაგარინი ჭავჭავაძის სტუმართა შორის ყოფილიყო, ან პოეტი როდესმე შეხვედროდა მას“, - განაცხადა აბზიანიძემ. **ჯი-ეიჩ-ენი**

### ჩარჩო ხელშეკრულება

გერმანიაში ვიზიტად მყოფი საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის გიორგი გაბაშვილი და საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორი დავით ლორთქიფანიძე რაინის სამხარეო მუზეუმთან ჩარჩო ხელშეკრულებას გააფორმებენ.

ხელშეკრულება მუზეუმებს შორის ფართო თანამშრომლობას ითვალისწინებს.

როგორც ეროვნულ მუზეუმში განაცხადეს, ხელშეკრულების ფარგლებში განხორციელდება ქართველ სპეციელისტთა სტაჟირება გერმანიაში და მათი საკვალიფიკაციო კურსების ორგანიზება.

ხელშეკრულების პირობების თანახმად გერმანელი სპეციალისტები საქართველოში მიმდინარე არქეოლოგიურ გათხრებში მიიღებენ მონაწილეობას. ეროვნული მუზეუმის მიერ ეს უკვე მეორე სოლიდური ხელშეკრულება იქნება, რომელიც მან უცხოელ პარტნიორებთან გააფორმა. პირველი მათგანი ესპანეთის ჰერცოგთა ფონდთან დაიდო, რომელის ფარგლებში 10 ქართველმა სტაჟირება ესპანეთში გაიარა. **ჯი-ეიჩ-ენი**

### ინგლისურენოვანი პოეზია

30 ივნისს გალერეა „კოპალაში“ ლელა ებრალიძის წიგნის „ლირიკული მოზაიკის“ პრეზენტაცია გაიმართება. გამოცემა ბრიტანელ და ამერიკელ პოეტთა ლექსების თარგამანებს მოიცავს, რომელშიც დაახლოებით 60-მდე პოეტური ნიმუშია წარმოდგენილი. როგორც წიგნის ავტორმა ლელა ებრალიძემ განაცხადა, მისი თარგმანები ერთად თავმოყრილი პირველად გამოიცა: „ჩემი თარგმანები დღემდე ნაწილ-ნაწილ იბეჭდებოდა. „ლირიკული მოზაიკა“ ჩემი პირველი წიგნია. მასში შესულია ენდრო მანველის, უილიამ ბლეიკის, რობერტ ბერნსის, ჯორჯ ბაირონის, ედგარ პოს, ჯეიმს ჯოისის, დევიდ ლორენსის, ოდგენ ნეშის და სხვა მწერლების ლექსების თარგმანები“. **ჯი-ეიჩ-ენი**

### მწერლებთან შეხვედრის ტრადიცია

შემოქმედთა საერთაშორისო კავშირი „ლაზარე 2005“-ში მწერლებთან შეხვედრის ტრადიცია მკვიდრდება. მკითხველი სტუმრად მიწვეულ მწერლებს კავშირის ოფისში ყოველ ხუთშაბათს შეხვდება.

როგორც „ლაზარე 2005“-ის პრეზიდენტმა მაიკო მაჩაბელმა განაცხადა, მკითხველი შეხვდება როგორც კარგად ნაცნობ, ასევე ახალგაზრდა მწერლებს. გაეცნობა მათ შემოქმედებას. „ამით ხელს შევუწყობთ ახალ თაობას, უკეთ გაეცნოს ქართველ მწერლებს. ახალგაზრდა მწერლები კი თავიანთ შემოქმედებას საზოგადოებას გააცნობენ“, - განაცხადა მაჩაბელმა. **ჯი-ეიჩ-ენი**

### კარიბის ზღვის მეკობრეები

ჰოლივუდის მსახიობები, ჯონი დეპი, ორლანდო ბლუმი და კეირა ნაიტლი ახალი ფილმის პრემიერასთან დაკავშირებით ჰოლივუდში თაყვანისმცემლებსა და ჟურნალისტებს შეხვდნენ.

რეჟისორ ვერბინსკის ფილმი, „კარიბის ზღვის მეკობრეები: მიცვალებულის სკივრი“, თავბრუდამხვევი ტრიუკების კასკადებით, თვალისმომჭრელი ძვირფასეულობის მთებითა და, რა თქმა უნდა, კბილებამდე შეიარაღებული მეკობრეებით ამერიკელმა მაყურებელმა პრემიერის სახით უკვე იხილა. „ვეცადეთ, პირველ ფილმთან შედარებით, ჰორიზონტი ოდნავ გაგვეფართოებინა. ბევრი ახალი რამ დავამატეთ“, - განაცხადა მეკობრე ჯეკი-ბეღურას შემსრულებელმა, მსახიობმა ჯონი დეპმა. პრემიერას კალიფორნიის გუბერნატორი არნოლდ შვარცნეგერიც დაესწრო. **ჯი-ეიჩ-ენი**

TV5MONDE

### 30 ივნისი

**06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 16.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 00.00,** 00.45(შვეიცარია), 03.00(აფრიკა), **04.10** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.30** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **06.30** სავი ფარაონების ნაკვალევზე. დოკ. ფილმი. **08.30** ტელედილა. **10.30** ბიგუდი. სერიალი.**12.15** ადამიანი თევზები. დოკ. ფილმი. **14.30** ცხოვრება, ცხოვრება. სერიალი.ეპიზოდი 5. სერიალი. **16.25** გმირი ტოტო. მხ. ფილმი. რეჟისორი ჟაკო ვან დორმაელი. 1991. **18.35** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში.**19.05** ბიჭი და გოგო. ტელეთამაში. **19.30** ცხოვრება, ცხოვრება. სერიალი.ეპიზოდი 5.სერიალი. **20.30** ამრვრეული წყალი. ტელესერიალი. **23.00** ივნისის სამი დღე. მხ ფილმი. რეჟისორი ფილიპ ვენო. 2005. **03.20** ჟერარ კლეინი მსოფლიოს გარშემო. დოკ.ფილმი.

# ხშირად არ ვბერდებით



მზევინარ ხუციშვილი

არიან მხატვრები, რომელთა შემოქმედება შეიძლება ერთი ნახვით აღიქვა, მაგრამ არიან მხატვრები, რომელთა შემოქმედებას უნდა ჩაწვდე და აღიქვა შედევრად. ეს არავის მოგონილი არ არის, ეს კანონზომიერებაა, როდესაც უფალი გამორჩეულ ნიჭს და უნარს აძლევს ადამიანს - შექმნას სრულყოფილება. თუმცა სრულყოფილებამდე დიდი და რთული გზაა გასავლელი, რომლის ფასიც მხატვარმა, ბატონმა გურამ ნემსაძემ კარგად იცის და რომლის შემოქმედებასაც ქართველი საზოგადოება მეტნაკლებად იცნობს. თუმცა საყურადღებოა, რომ მას საქართველოს გარეთ, ევროპის ქვეყნებში, კერძოდ კი გერმანიაში უკეთ იცნობენ.

1993 წლიდან გერმანულ გაზეთებში მის შემოქმედებაზე არაერთი სტატია დაიწერა და გერმანული საზოგადოება ყოველთვის დადებითად აფასებს. ხელოვნებათმცოდნე ბოგუში კი აღნიშნავს: „მისი ნამუშევრები მაღალი სინჯის ხელოვნებას წარმოადგენს“. მაგარამ არის ჩვენს ცხოვრებაში პერიოდები, როცა სურვილი გვაქვს მარტო ყოფნის და ანგარიშს არ ვუწევთ იმ გარემოებებს, რაც ირგვლივ ხდება. ეს პერიოდი ბატონი გურამის ცხოვრებაშიც იყო, რასაც იგი ამგვარად ხსნის: „მკვახე ნაყოფი ხეს არ ჩამოწყდება და პატრონიც დააცდის მას დამწიფებას. ამ ქვეყნად ყოველივე სრულყოფილებას ესწრაფვის. ხელოვანიც იმისთვის ილვწის, რომ უკეთესი შედეგი მოჰყვეს მის გამოჩენას საზოგადოებაში. დიდხანს არც მე მივარბენინებდი უმწიფარ ხეხილს ნაჩქარევად და დროზე ადრე, მაგრამ დრო გადიოდა და შედეგი არ მოდიოდა, დავიქანცე ლოდინით და გადვწყვიტე მეპატიებინა საკუთარი თავისთვის, იმაზე მეტი რომ არ ვიყავი, სინამდვილეში რაც ვარ. ამასთან უმადურობას გავდა ჩემი საქციელი იმ განგების მიმართ, რომელმაც სიკეთით ამავსო და გამახსენდა ვაჟას სიტყვები - „ნეტავ რა ღმერთი მიწყრება მარგალიტების მფლობელსა“. ჩემს ქება-დიდებას, რომ ვისმენდი კი მახსენდებოდა თაგორის სიტყვები „ნეტარია იგი ვისი ქება-დიდება მისივე ჭეშმარიტებას არ აღემატება“.

გურამ ნემსაძე ზუგდიდში ცხოვრობდა, ბავშვობა იქ გაატარა. მის ოჯახში ხელოვნებაზე არავინ საუბრობდა. ოჯახს თავისი საზრუნავი ჰქონდა და დატვირთული იყო თავისი პრობლემებით. ოჯახში კარგად იცოდნენ სტუმრის პატივისცემა და ყოველივე ყოფითი, მაგრამ ის, რომ მხატვრობა განსაკუთრებულია, ამას არავინ არ ფიქრობდა. მის მიერ, ჯერ კიდევ ხუთი წლის ასაკში დახატულ ირემს და შველს წყლის პირას, რომელიც მთელი თავისი ფორმით და შინაარსით ფიროსმანის ნახატს ჰგავდა (თუმცა მხატვარს ფიროსმანის ნახატები არც კი ჰქონდა ნანახი), ყურადღება არავინ მიაქცია; მეტიც - მხატვრობა საქმედ არ ითვლებოდა. „საკუთარი სურვილით წამოვედი თბილისში, ჯიბეში რაღაც გროშები მედო და მივედი მუსიკალურ სკოლაში, სადაც დარაჯად მიმიღეს“. ამის მიუხედავად, სამხატვრო აკადემიაც დაამთავრა, ფერწერის ფაკულტეტი და არაერთი პერსონალური გამოფენაც მოაწყო. არის არა ერთი ნაშრომის ავტორი, წერს ლექსებს და ამავე დროს თარგმნის. ნათარგმნი აქვს პიკასოს ლექსები...

**- რამდენადაც ვიცი, საერთოდ ერიდებით საზოგადოებასთან ურთიერთობას და გამოფენების მოწყობასაც...**

- არა, არ შეიძლება ამის ისე გაგება, თითქოს კატეგორიულად გაბუტული ვიყავი, უამრავი შესაძლებლობა მქონდა, უბრალოდ თავს ვიკავებდი. ამან ისეთი სახე მიიღო, თითქოს განმარტოებით ვიყავი, მარტოობა კი ძალიან კარგია, მაგრამ მიყვარს ჩემი მეგობრები და გარდა პროფესიული ურთიერთობებისა, მნიშვნელოვანია ადამიანური ურთიერთობებიც.

მე არც მეგულება ადამიანი, რომელიც დადებითად არ შეაფასებს ჩემს შემოქმედებას. რამდენჯერაც გერმანიაში და საერთოდ ევროპის ქვეყნებში წავედი, უფრო მეტი სიყვარულით დავბრუნდი აქაურობის მიმართ. მგონია, რომ ეს არის გადარჩენილი ქვეყანა. აქ თუ მეგობრობაა, ეს აუცილებლად ჭეშმარიტია. აქ ჩვენს ურთიერთობას სულიერი დატვირთვა აქვს და თანაც ქართველები ისეთები ვართ, თუ მთლად გენიოსი არ ხარ, არაფერს გაპატიებენ. ჩვენ ნაკლებად ვიმეტებთ ხოტბას ადამიანების მიმართ, აუცილებლად უნდა ვიბრძოლოთ, რომ ეს დავიმსახუროთ. თუმცა საზოგადოების ფონი და შეფასება არასდროს მაშინებდა. ეს იყო მხოლოდ საკუთარი თავის მიმართ მიმართული ხერხი, რადგან როცა შემოქმედებითი ტვირთი გაქვს საზიდი, მარია რილკე ამბობს: შემოქმედებითი პროცესის წინაშე უნდა წარდგე მკვდარი, რადგან მკვდარს ყველანაირი მოვალეობა მოხსნილი აქვს. ამავე დროს შემოქმედებითი ვალის წინაშე უნდა განიტვირთო. ეს მარტოობით მიიღწევა და თანაც ჰერმან ჰესე ამბობდა: „ვისაც მე ვუყვარვარ, ჩემი მარტოობაც უნდა უყვარდეს“. საზოგადოებას ყოველთვის აბრაზებს ვინმეს განსხვავებულობა, არ გაპატიებს თუ სხვანაირი ხარ. ახლა ვცდილობ რამენაირად მივემსგავსო მათ, გავიღიმო იმაზე, რაზეც ისინი იღიმიან, მაწუხებდეს ის, რაც მათ აწუხებთ.

**- ვინ ან რამ შეგიწყოთ ხელი ჩამოყალიბებულიყავით მხატვრად?**

- მხატვარი შეიძლება მრავალნაირი ჩამოყალიბდე. მხატვრობა ნიშნავს გამოთქვა შენი მსოფლმხედველობა. ამ შინაარსის მატარებლები არიან ჩემი ნამუშევრები. მათი შექმნა კი განსაზღვრა ნოვალისმა, დანტემ, გოეთემ, რილკემ. მხატვრობას არ უნდა ახასიათებდეს თხრობითობა. მას თხრობის თავისებური სტილი აქვს. მხატვრობას თავისი პოეზია და ფილოსოფია აქვს. აქვს თავისი ფორმის და შინაარსის სიმბოლიკა. პოლ ვალერის აქვს ნათქვამი: „ლიტერატურა მხატვარს აყვარებს იმას, რაც უნდა სძულდეს და აძულებს იმას, რაც უნდა უყვარდეს“.

**- 63 წლის გადასახედიდან, როგორია თქვენი ნამუშევრები და ცხოვრების გზა?**

- „გადავწყვიტე, როგორც შვილი და უმეცარის ჩემი თავის გულმოდგინედ აღზრდა.“ ეს სიტყვები ჩემი ერთ-ერთი ლექსიდანაა. ჩემზე არავინ ზრუნავდა. არა მგონია, რომ ასაკი მემატება და ვბერდები. დაახლოებით ექვსი წლის უკან ვისწავლე გერმანული ენა, რამაც დიდი გაოცება გამოიწვია. ჩემს ნამუშევრებში კი არის ისეთები, რომლებიც მინდა გავყიდო, მაგრამ მაქვს ისეთებიც, რომლებიც მინდა შევინარჩუნო. მე თუ მკითხავთ ხშირად ვარ შარზე და ნებისმიერი ნამუშევრის მიმართ მაქვს პრეტენზია, რატომ უკეთესი არ ხარ. თუმცა მხატვრობა მშვენიერების გამოხატვაა და მშვენიერებით გამოხატული შენი სათქმელი.

**- თქვენ ქანდაკებაზეც მუშაობთ...**

დიახ, საბჭოთა კავშირის დროს იყო გამოფენები, რომელთა დროსაც სახელმწიფო ყიდულობდა ამ ნამუშევრებს. მაშინ დამებადა იდეა. დავიწყე ჭედვა რკინის ქანდაკებებისა და შემდეგ ყველა მასალა გამოვიყენე. ფერწერას სხვა პლასტიკა ელასტიურობა, სიფაქიზე აქვს, ქანდაკების სიცოცხლის არსი კი მასალის საიდუმლოა.

**- სამომავლოდ რა იქნება, როგორ წარმოგიდგენიათ?**

- განსაკუთრებული არაფერი. ვცდილობ, ფიზიკურად ვიყო ძლიერი, ეს არის მამოძრავებელი ძალა. თუ არა და ღვთისგან იმდენი რამ მივიღე, ისედაც მადლიერი ვარ. ხელი რომ შემოვაწვდინო, ვერ შემოვწვდები. ყველაფერი შესაძლებლობებზეა დამოკიდებული, როგორ ვიქნები. უნდა ვეცადოთ, რომ კარგად ვიყოთ, სანამ კარგად ვართ კი, უნდა დავაფასოთ...

**მუნიციპალური განვითარებისა და დეცენტრალიზაციის II პროექტი**
**მსოფლიო ბანკის კრედიტი. 3701-GE**

**საკონსულტაციო მომსახურება**
**ინტერესის გამოხატვა**
**სიონის წყალსაცავის II ეტაპის სარეაბილიტაციო სამუშაოების მუშა პროექტის შემუშავება**

საქართველომ მიიღო კრედიტი განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (IDA), და აპირებს ამ საკრედიტო თანხის ნაწილი მოახმაროს სიონის წყალსაცავის II ეტაპის სარეაბილიტაციო სამუშაოების მუშა პროექტის შემუშავების კონტრაქტის ფარგლებში განსახორციელებელ გადახდებს.

მომსახურება ითვალისწინებს I ეტაპზე შესრულებული საძიებო-საკვლევი სამუშაოების დაზუსტებას, მუშა პროექტის მომზადებას კაშხლის მდგრადობის და უსაფრთხოების გაუმჯობესების ღონისძიებებისთვის და წყალმიმღები ნაგებობის მიმდინარე რემონტისთვის, სამშენებლო სამუშაოების საავტორო ზედამხედველობას.

საკონსულტაციო ფირმას უნდა ჰქონდეს ჰიდროტექნიკური ნაგებობების და კაშხლების პროექტირების გამოცდილება.

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი იწვევს უფლებამოსილ საკონსულტაციო ფირმებს აღნიშნული მომსახურების მიწოდების ინტერესის გამოსახატავად. დაინტერესებულმა ფირმებმა უნდა წარმოადგინონ განცხადება და ინფორმაცია იმის დასტურად, რომ ისინი კვალიფიციურნი არიან ზემოხსენებული მომსახურების დარგში (ბროშურები, მსგავსი საქმიანობის აღწერა, ანალოგიურ პირობებში მუშაობის გამოცდილება, სათანადო უნარ-ჩვევების მქონე კადრების არსებობა, და ა.შ.). საკონსულტაციო ფირმებს შეუძლიათ გაერთიანდნენ თავიანთი კვალიფიკაციის ასამაღლებლად. საკონსულტაციო ფირმა შეირჩევა მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელო პრინციპებში მითითებული პროცედურების შესაბამისად: *კონსულტანტების შერჩევა და აყვანა მსოფლიო ბანკის სესხის ამღებთა მიერ, 1997 წლის იანვარი (შესწორებული 1997 წლის სექტემბერში, 1999 წლის იანვარში და 2002 წლის მაისში).*

დაინტერესებულ ფირმებს შეუძლიათ 10.00-დან 18.00 საათამდე მოიპოვონ დამატებითი ინფორმაცია ქვემოთ მითითებულ მისამართზე.

ინტერესის გამოხატვა უნდა მოეწოდოს ქვემოთმოყვანილ მისამართზე არაუგვიანეს 2006 წლის 14 ივლისისა.

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
საქართველო, თბილისი 0105, იეთიმ გურჯის 7ბ
ტელ: 943240, 942947, 923470, 923469
ფაქსი: 940439
ელ-ფოსტა: PROCUREMENT@MDF.ORG.GE

**გამაჯანსაღებელი ცენტრი**

ნაუტილუსი



გთავაზობთ:

- ■ აღმოსავლური მედიცინის ცენტრი
- ■ სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- ■ მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- ■ წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა

- ■ “STARMASTER”-ის და “NAUTILUS”-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ■ ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ■ ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- ■ უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

**მისამართი:** ი.ჭავჭავაძის 78
**ტელ:** 22 56 26
23 56 26
E-mail: info@nautilus.ge
reception@nautilus.ge





**სიახლე გამაჯანსაღებელ ცენტრ “ნაუტილუსში"**

გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:

ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.

გნებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:

ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.

მობრძანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

**მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78**
**ტელ.: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26**
**ელ. ფოსტა: info@nautilus.ge**

**"დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი"-ს მოწვევით**

**2006 წლის 16 მაისიდან 23 მაისამდე ქ. თბილისში, გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსი"-ს ენდოსკოპიური და პლასტიკური ქირურგიის განყოფილების ბაზაზე, მსოფლიო სახელის მქონე ქირურგი ავიშაი ვეინბერგერი ჩაატარებს შემდეგი სახის ოპერაციებს:**

**- სახის კანის მცირე მოცულობის დაჭიმვა, ღაბაბის კორექციით**

**(40 წლამდე ასაკის პაციენტებში)**
**- სარძევე ჯირკვლის გადიდება სილიკონის პროთეზით**
**- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა**
**- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა**
**- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა + საკუთარი ცხიმის ინექციები**
**- ცხვირის პლასტიკური ოპერაციები**
**- დეფორმული და დიდი ზომის ყურების პლასტიკა**
**- ქუთუთოების პლასტიკა + წარბების აწევა**
**- სარძევე ჯირკვლის დაპატარავება**
**- სარძევე ჯირკვლის აწევა**
**- ლიპოსაქცია (ცხიმის ამოტუმბვა)**
**- შუბლის დაჭიმვა**
**- დაკიდებული მუცლის პლასტიკა**
**- მინიაბდომინოპლასტიკა (მუცლის ქვედა ნაწილის პლასტიკა)**
**+ ლიპოსაქცია**
**- ტუჩების გადიდება**
**- კანის ნაოჭების კორექცია**
**- ნიკაპის გადიდება პროთეზით**
**- სახის დაჭიმვა**
**- სახის დაჭიმვა (უფრო დიდი მოცულობის)**
**- კონტურული პლასტიკა ცხიმის ინექციებით**

**ინფორმაცია შეგიძლიათ**
**მიიღოთ შემდეგ ტელეფონებზე: 893 60 30 06**
**893 65 38 39**

24 საათი B

© გაზეთი 24 საათი

# ბიზნესი

თქვენი რეკლამა
"ბიზნესში"

☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86
899 26 20 19

გამოცემის ოფიციალური პარტნიორები:



## აშშ-ს სენატმა ახალი ფინანსთა მინისტრი დაამტკიცა

ამერიკის სენატმა ქვეყნის ფინანსთა მინისტრის პოსტზე ჰენრი პოლსონის კანდიდატურა დაამტკიცა. აღსანიშნავია, რომ მას ხმა მისცეს როგორც რესპუბლიკელებმა, ასევე დემოკრატებმა. ასე რომ, საინვესტიციო ბანკ Goldman Sachs-ის ყოფილი თავკაცი პრეზიდენტ ბუშის ადმინისტრაციაში მესამე ფინანსთა მინისტრი გახდა. მისი წინამორბედები პოლ ო'ნილი და ჯონ სნოუ იყვნენ.

პოლსონმა განაცხადა, რომ მთლიანად უჭერდა მხარს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ძალისხმევას, რომელიც ქვეყნის ეკონომიკის ვარდნის პერიოდში გადასახადების შემცირებისკენ იყო მიმართული. ახლა კი, მინისტრის აზრით, აშშ-ს ეკონომიკა აღმავლობას განიცდის. მისმა სამინისტრომ აქცენტი ეკონომიკის ხანგრძლივ გამყარებაზე უნდა გააკეთოს. პოლსონის თქმით, გადაუდებელი ამოცანა საგადასახადო და სოციალური დაცვის სფეროების რეფორმირებაა, რაშიც პირადადაა დაინტერესებული. გარდა ამისა, პოლსონმა თავისი მუშაობის მთავარ პრიორიტეტად ამერიკის ბაზრის კაპიტალის კონკურენტუნარიანობის გარანტია დაასახელა.

პოლსონმა Goldman Sachs-ში 8 წელი იმუშავა და ამ ხნის განმავლობაში მილიონერი გახდა. მარტო 2005 წლის შედეგების მიხედვით ბანკის ხელმძღვანელობამ მას 30 მილიონი დოლარის ოდენობის პრემია გადაუხადა, რაც 40 პროცენტით მეტი იყო, ვიდრე ერთი წლით ადრე.

ინდური კომპანია ბუნებრივი აირის ჰოლდინგ "Itera Group"-ის მფლობელი გახდა B3

BP-მ აზერბაიჯანის ნავთობის მარაგები შეაფასა

ენერგოდავები B4

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ავსტრალიური დოლარი | AUD | 1,2929 |
| 1 | აზერბაიჯანული მანათი | AZN | 1,9790 |
| 1 | არაბული დირჰამი | AED | 0,4827 |
| 1 | აშშ დოლარი | USD | 1,7730 |
| 1000 | ბელორუსიული მანათი | BYR | 0,8275 |
| 1 | ბულგარული ლეი | BGL | 1,1393 |
| 1 | დანიური კრონი | DKK | 0,2987 |
| 1 | ეგვიპტური გირვანქა | EGP | 0,3081 |
| 1 | ევრო | EUR | 2,2274 |
| 10 | ესტონური კრონი | EEK | 1,4239 |
| 1000 | თურქმენული მანათი | TMM | 0,3410 |
| 1 | თურქული ლირა | TRY | 1,0978 |
| 10 | იაპონური იენი | JPY | 0,1524 |
| 1 | ინგლისური გირვანქა ს | GBP | 3,2217 |
| 1000 | ირანული რეალი | IRR | 0,1936 |
| 10 | ისლანდიური კრონი | ISK | 0,2326 |
| 1 | ისრაელის სეკელი | ILS | 0,3954 |
| 1 | კანადური დოლარი | CAD | 1,5789 |
| 1 | ლატვიური ლატი | LVL | 3,1774 |
| 10 | ლიტვური ლიტი | LTL | 6,4677 |
| 10 | მოლდოვური ლეი | MDL | 1,3291 |
| 1 | ნორვეგიული კრონი | NOK | 0,2814 |
| 1 | პოლონური ზლოტი | PLZ | 0,5470 |
| 10000 | რუმინული ლეი | ROL | 0,5956 |
| 1 | რუსული რუბლი | RUB | 0,0655 |
| 1 | სინგაპურული დოლარი | SGD | 1,1106 |
| 100 | სომხური დრამი | AMD | 0,4234 |
| 1 | ტაჯიკური რუბლი | TJR | 0,5406 |
| 1000 | უზბეკური სუმი | UZS | 1,4478 |
| 10 | უკრაინული გრივნა | UAG | 3,5340 |
| 100 | უნგრული ფორინტი | HUF | 0,7970 |
| 1 | ქუვეითური დოლარი | KWD | 6,1320 |
| 10 | ყაზახური ტენგე | KZT | 0,1494 |
| 10 | ყირგიზული სომი | KGS | 0,4410 |
| 1 | შვედური კრონი | SEK | 0,2411 |
| 1 | შვეიცარული ფრანკი | CHF | 1,4243 |
| 1 | ჩეხური კრონი | CZK | 0,0783 |
| 1 | ჩინური იუანი | CNY | 0,2217 |
| 1 | ჰონ-კონგური დოლარი | HKD | 0,2283 |




# გაღარიბების საფრთხე იზრდება

### გადალახავს თუ არა ინფლაცია ერთნიშნა ზღვარს

ნინო ნატროშვილი

*უკვე ორი თვეა, რაც საქართველოში ფასები სამომხმარებლო საქონელზე და მომსახურებაზე საგრძნობლად გაიზარდა. ლარის მსყიდველუნარიანობა შესუსტდა, რასაც ექსპერტები ინფლაციის მაჩვენებლის ზრდას უკავშირებენ. 2006 წლის ბიუჯეტი ლარის კურსით დოლართან მიმართებაში 1,85 ნიშნულზე იყო დათვლილი, ხოლო ინფლაციის მაჩვენებელი 6-პროცენტიან ზღვარს არ უნდა გადასცდენოდა. თუმცა მაისში ინფლაციის მაჩვენებელი გაიზარდა და ამ ფონზე ლარის კურსმა უპრეცედენტო გამყარება დაიწყო. ეროვნული ბანკის პრეზიდენტი რომან გოცირიძე უკვე ღიად აცხადებს, რომ ინფლაცია 10-პროცენტიან ზღვარს მიუახლოვდა.*

**რას გამოიწვევს ინფლაცია საქართველოში? პირველ რიგში, ცხოვრების გაძვირებას. ჩვენთვის ნაკლებად ხელმისაწვდომი გახდება პროდუქცია და მომსახურება, რომელიც დღეს ხელმისაწვდომია. მაღალი ფასების გამო, შესაძლებელია, სამომხმარებლო კალათში მოგვაკლდეს პროდუქტი და ბევრ მომსახურებაზე ვთქვათ უარი, ცხოვრების დონე გახდეს მძიმე და, მარტივად რომ ვთქვათ, გავღარიბდეთ.**



B2

# დემოკრატების ფრთას სოფლის მეურნეობის მინისტრი იგნორირებას უკეთებს

### ღვინის და მინერალური წყლის კომპენსირებისთვის 700 ათასი გამოიყო

თინა შავაძე

*საქართველოს მთავრობამ პარლამენტს განსახილველად წარუდგინა კანონპროექტი "საქართველოს 2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე". პროექტის მიხედვით, გათვალისწინებულია საბიუჯეტო ხარჯების გაზრდა 77 მილიონი ლარით. გუშინ, პარლამენტის აგრარული კომიტეტის სხდომაზე, ფინანსთა მინისტრის მოადგილემ გრიგოლ გობეჯიშვილმა განაცხადა, რომ გაზრდილი ბიუჯეტიდან 700 ათასი ლარი სოფლის მეურნეობის სამინისტროს ანგარიშზე ჩაირიცხება და უკვე ცნობილია, რომ აღნიშნული თანხა ღვინისა და მინერალური წყლის დარგის რეაბილიტაციას მოხმარდება.*

- **სახელმწიფო ფრინველის გრიპის კონტროლის, პანდემიის წინააღმდეგ მზადყოფნისა და მასზე რეაგირებისთვის "საერთაშორისო განვითარების ასოციაცია" 7 მილიონ დოლარს გამოყოფს, საიდანაც 3,5 მილიონი დოლარი შეღავათიანი კრედიტია, 3,5 მილიონი დოლარი - გრანტი.**
- **სახელმწიფო ბიუჯეტიდან შემოსული თანხები მიმართული იქნება იმ კომპანიების საკომპენსაციოდ, რომლებიც რუსეთში ქართული ღვინისა და მინერალური სასმელი წყლის აკრძალვის შემდეგ დაზარალდნენ.**

B2

# "როსნეფტი" აქციონირებას შეუდგა

მერაბ ლორთქიფანიძე

*რუსეთის მთავრობამ უკვე დაასრულა თავის მფლობელობაში მყოფი, სიდიდით მესამე რუსული ნავთობკომპანია "როსნეფტის" აქციების რუსეთისა და ბრიტანეთის საფონდო ბირჟებზე პირველადი განთავსებისთვის (IPO) მზადება.*
*დადგინდა, რომ ერთი ჩვეულებრივი აქცია, ანუ ერთი გლობალური დეპოზიტური ხელწერილი 5.85-7.85 (ნომინალური ფასი ჯერ განსაზღვრული არაა) დოლარი ეღირება.*

- **დღეისათვის "როსნეფტი" ჩინეთის ბაზარზე რუსული ნავთობის უდიდესი მიმწოდებელია. მას აღმოსავლეთ ციმბირში ნავთობის უზარმაზარი მარაგი გააჩნია. "როსნეფტი" მალე დაასრულებს ახალი ნავთობსადენის მშენებლობას, რომელიც 2008 წელს ამოქმედდება და ჩინეთში ნავთობის ექსპორტს საგრძნობლად გაზრდის.**
- **ჯერჯერობით დადგენილი არ არის, თუ რა რაოდენობის აქციები გაიყიდება. ეს მას შემდეგ გაირკვევა, რაც წინასწარი განაცხადების წიგნი დაიხურება.**




B3

## სსბ-ზე "საქართველო-ლადა"-ს 116,5 ათასი ლარის ღირებულების აქციები გაიყიდა

საქართველოს საფონდო ბირჟაზე (სსბ) ხუთშაბათს გამართულ 49 (634)-ე სესიაზე სავაჭროდ წარმოდგენილი იყო 13 კომპანიის აქციები, რომელთაგანაც გარიგება დაიდო 6 კომპანიის ფასიან ქაღალდებზე. გარიგებების რაოდენობა 44 იყო, მათმა მოცულობამ 261 243 ფასიანი ქაღალდი შეადგინა, ჯამურმა ღირებულებამ კი - 340 683 ლარი. სსბ-ზე ხუთშაბათს კომპანია "საქართველო-ლადა"-ს (SLAD) 116,5 ათასი ლარის აქციები გაიყიდა. ამ კომპანიის აქციებზე გამართულ ბოლო ვაჭრობასთან შედარებით, 1 აქციის ფასი 290 პროცენტით გაიზარდა და 0,975 ლარი შეადგინა. საფონდო ბირჟაზე "საქართველოს ბანკის" (GEB) 175,8 ათასი ლარის აქციები გაიყიდა. წინა ვაჭრობასთან შედარებით, ბანკის აქციების ფასი თითქმის არ შეცვლილა. გარიგებები ასევე დაიდო "გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის" (UTC), "თოლიას" (TOLI), "საქართველოს საერთაშორისო ტრანსპორტის" (GIT) და უნივერმაღი "თბილისის" (UTB) აქციებზე.

## ოპეკის სანავთობო კალათის ფასმა 1 ბარელზე 65,89 აშშ დოლარი შეადგინა

ოპეკის სანავთობო კალათის ფასმა 28 ივნისს 1 ბარელზე 65,89 (+0,10) აშშ დოლარი შეადგინა.

ოპეკის სანავთობო კალათის ფასმა ისტორიულ მაქსიმუმს მიმდინარე წლის 2 მაისს მიაღწია და 1 ბარელზე 68,40 აშშ დოლარი შეადგინა.

ტერმინი ოპეკის "კალათა" (OPEC Reference Basket of crudes) ოფიციალურად 1987 წლის 1 იანვარს შემოვიდა. "კალათის" ფასობრივი მნიშვნელობა (2005 წლის 15 ივნისს ვენაში ჩატარებული ოპეკის კონფერენციის 136-ე სესიის გადაწყვეტილების თანახმად) განისაზღვრება, როგორც ფიზიკური ფასის საშუალო არითმეტიკული მაჩვენებელი იმ 11 სახის ნავთობისათვის, რომლებიც მოიპოვება კარტელის ქვეყნებში: Saharan Blend (ალჟირი), Minas (ინდონეზია), Iran Heavy (ირანი), Basra Light (ერაყი), Kuwait Export (ქუვეითი), Es Sider (ლიბია), Bommy Light (ნიგერია), Qatar Marine (კატარი), Arab Light (საუდის არაბეთი), Murban (არაბეთის გაერთიანებული საემიროები) და BCF 17 (ვენესუელა). **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## თბილისში სამომხმარებლო ფასების ინდექსმა 100.89 პროცენტი შეადგინა

თბილისში სამომხმარებლო ფასების ინდექსმა (სამომხმარებლო ფასების დონის ცვლილების მაჩვენებელი) 23 ივნისიდან 29 ივნისამდე 100,89 პროცენტი შეადგინა. წინა კვირაში აღნიშნული მაჩვენებელი 99,70 პროცენტი იყო (ეს ინდექსი ასახავს 51 დასახელების საქონლისა და მომსახურებისაგან შედგენილი კალათის ფასების ცვლილებას). ამის შესახებ პრაიმ-ნიუს ბიზნესს საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტიდან აცნობეს. დეპარტამენტის ცნობით, წინა კვირასთან შედარებით, ფასების საერთო დონე 0,89 პროცენტით გაიზარდა. მათ შორის სასურსათო საქონელზე - 1,87 პროცენტით, ხოლო არასასურსათო საქონლის და მომსახურების ტარიფები უცვლელი დარჩა. გასულ კვირასთან შედარებით ფასები გაიზარდა ვაშლზე (27.3%-ით), პომიდორზე (17.4%-ით), კიტრზე (10.3%-ით), კარტოფილზე (9,7%-ით), სტაფილოზე (8.8%-ით), ქათმის ბარკლებზე (8.7%-ით), ყველზე (5.9%-ით), ღორის ხორცზე (0,6%-ით); ამასთან ფასები შემცირდა ჭარხალზე (7.5%-ით), სიგარეტ ძასტრაზე" (2.2%-ით), ყავაზე (1.7%-ით), ფოთლოვან კომბოსტოზე (1.4%-ით) და შაქარზე (0.6%-ით), - იუწყება სტატისტიკის დეპარტამენტი. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## საპარლამენტო კომიტეტმა ბიუჯეტის გაზრდას მხარი დაუჭირა

თვითმმართველობის, რეგიონული პოლიტიკისა და მაღალმთიანი რეგიონების საპარლამენტო კომიტეტმა ოთხშაბათის სხდომაზე საქართველოს მთავრობის კანონპროექტს 2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის 77 მლნ ლარით გაზრდის თაობაზე მხარი დაუჭირა. 77 მლნ ლარის დამატებითი შემოსავლები 63 მლნ - საგადასახადო და 14 მლნ - არასაგადასახადო შემოსავლებს მოიცავს. რეგიონების საინვესტიციო პროექტებისთვის გაზრდილი ბიუჯეტიდან გამოყოფილია 9 მლნ ლარი. ბიუჯეტის ზრდის შედეგად ყველაზე მეტი დამატებითი თანხა - 17 მილიონი ლარი - თავდაცვის სამინისტროს გამოეყოფა. საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის ალექსანდრე შალამბერიძის თქმით, თანხა რეგიონებისთვის რაიონული ადმინისტრაციების სურვილისამებრ იმ სფეროებში განაწილდება, რომელიც მათ პრიორიტეტულად მიაჩნიათ. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

# გაღარიბების საფრთხე იზრდება

პირველი გვერდიდან




"ყველანაირად შევეცდებით, რომ ქვეყანაში ინფლაცია იყოს ერთნიშნა. ჯერჯერობით, ის 10 პროცენტს უახლოვდება, ვინაიდან მაისის თვეში ძალიან გაიზარდა ფასები, პირველ რიგში - გაზზე, რაც დიდი დარტყმაა ქვეყნის ეკონომიკისათვის და დიდი პრობლემის მომტანი. მაგრამ ჩვენ მოვახერხებთ მის კომპენსირებას. საგულისხმოა, რომ გაზისა და ელექტროენერგიის ტარიფები მსოფლიოშიც გაორმაგდა. ერთი წლის განმავლობაში გაიზარდა ფასები შაქარზე, ხოლო ნავთობზე მაღალი ფასები სტაბილურად შენარჩუნდა. გარკვეული ნეგატიური როლი შეასრულა პანიკამ ქათმის გრიპთან დაკავშირებით. მაისში მოხდა კვერცხის გაძვირება. გაიზარდა ინფლაცია, თუმცა ამის გამომწვევი ძირითადი ფაქტორი მაინც გაზზე ფასების ზრდა იყო. ამ სამი თვის განმავლობაში ბაზარზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები შემოდის და, შესაბამისად, ფასები დაიკლებს. ჩემი პროგნოზით, ეს სამი თვე იქნება დეფლაციური, ანუ პროდუქტებზე ფასების კლების შემდეგ წლის ბოლოს ინფლაცია იქნება ერთნიშნა. კარგი იქნება, თუ ეს მაჩვენებელი 6-7 პროცენტის ფარგლებში შენარჩუნდება," - განუცხადა "24 საათს" საქართველოს ეროვნული ბანკის თავმჯდომარე რომან გოცირიძემ.

მისი განმარტებით, ეროვნული ბანკი ამ პროცესის შესაჩერებლად თავის ბერკეტებს იყენებს. ერთის მხრივ, ხდება ლარის კურსის გამყარება, რაც ინფლაციაზე ზემოქმედებაა; მეორეს მხრივ კი, ხდება ფულის მასის რეგულირება ეროვნული ბანკის მხრიდან.

ექსპერტების შეფასებით, ინფლაციის მიზეზი არის ბაზარზე ფულადი მასის ზრდა. ამ ეტაპზე, რაც საბიუჯეტო და სახაზინო პრაქტიკა დარეგულირდა, ბუნებრივია, ბაზარზე ფულადი ნაკადების მოცულობებმაც იმატა. ამ შემთხვევაში ექსპერტებს მხედველობაში აქვთ ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი - რაც იგეგმება, ის სრულდება. ამან, თავისთავად, გაზარდა ფულადი მასის მიწოდება ბაზარზე. ფულადი მასის მიწოდების ზრდა უკვე ერთეულ პროდუქციასა და მომსახურებაზე ფასის მაჩვენებლის მატებას იწვევს. ეს არის კლასიკური სქემა, რომლის მეშვეობითაც მსოფლიოში იშიფრება ინფლაციის დინამიკა - ზრდა ან კლება. გარდა ამისა, ინფლაციის გამომწვევია ზოგადი ფაქტორებიც. კერძოდ, ეს არის საწვავთან დაკავშირებით მსოფლიოს მასშტაბით განვითარებული მოვლენები. ცნობილია, რომ დღევანდელი მსოფლიო ეკონომიკის რეგულატორი არის საწვავი. ფასების თამაშმა, რაც ნავთობთან დაკავშირებით ბოლო ერთი წლის მანძილზე ვნახეთ, ბუნებრივია, თავისი დაღი დაასვა ფასების სტრუქტურას. მოხდა საწვავის გაძვირება. ცნობილია, რომ ნებისმიერი პროდუქციის და მომსახურების თვითღირებულებაში საწვავის წილი დიდია. გაიზარდა ფასი საწვავაზე და გაიზარდა მომსახურების და პროდუქციის ფასი, რამაც პირდაპირი ასახვა ჰპოვა ინფლაციურ მოვლენებზე.

საგულისხმოა, რომ ფასების ზრდა დამახასიათებელია მაღალგანვითარებული ეკონომიკის ქვეყნებისათვის. საქართველოში ფასები სწრაფი ტემპით გაიზარდა უძრავი ქონების სექტორში. ამის ერთ-ერთ მიზეზად ექსპერტები საწარმოო სქემის ლეგალიზაციას ასახელებენ. იმპორტირებული სამშენებლო პროდუქციის წილი გაიზარდა, ადრე კი ხდებოდა მისი დამალვა და ეს პროცესი საბაჟოზე გარკვეულ მოლაპარაკებებს ექვემდებარებოდა. როცა საშენი მასალები ლეგალურად განბაჟდა, საბოლოოდ უძრავი ქონების ფასი 100 პროცენტით გაიზარდა. სოფლის მეურნეობის სექტორში ფასების ზრდა კი საწვავის გაძვირებამ გამოიწვია.

ინფლაციის შეჩერების კლასიკური მეთოდი არის ფულად მასაზე ზემოქმედება, ანუ ფულადი მასის შემცირება ბრუნვაში. რაც შეეხება ლარის კურსის გამყარებას, დღეს ამის საფუძველი არის მოთხოვნა-მიწოდება ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე. თუ მოთხოვნა იზრდება, დოლარი ძლიერდება. როგორც დინამიკა გვიჩვენებს, ბირჟაზე დოლარზე მოთხოვნა შემცირდა. საგულისხმოა, რომ მთელ მსოფლიოში მიდის დოლარის კურსის შესუსტება, ევროს კურსის გაძლიერებამ კი მძიმე შედეგები მოიტანა ევროპაში. ევროს კურსის გამყარებამ შექმნა ის ვითარება, რომ ევროპული საქონელი ექსპორტზე არაკონკურენტუნარიანია, მისი ფასი მაღალია და, შესაბამისად, ევროპული საქონლის საექსპორტო მოცულობები მცირდება. ახლა ამერიკული საქონელი გახდა მიმზიდველი, რადგან დოლარის ფასი დაეცა. ამერიკელი ექსპორტიორებისათვის ეს კარგი ფაქტორია.

რას გამოიწვევს ინფლაცია საქართველოში? პირველ რიგში, ცხოვრების გაძვირებას. ჩვენთვის ნაკლებად ხელმისაწვდომი გახდება პროდუქცია და მომსახურება, რომელიც დღეს ხელმისაწვდომია. მაღალი ფასების გამო, შესაძლებელია, სამომხმარებლო კალათში მოგვაკლდეს პროდუქტი და ბევრ მომსახურებაზე ვთქვათ უარი, ცხოვრების დონე გახდეს მძიმე და, მარტივად რომ ვთქვათ, გავღარიბდეთ. ექსპერტების შეფასებით, ეს პროცესი ნაკლებად მტკივნეული იქნება მაშინ, თუ ამას მოსდევს შემოსავლების ზრდა. მთავარი - სამუშაო ადგილების შექმნა და ბიზნესის მოცულობის ზრდაა. თუკი დასაქმება და შემოსავლები გაიზრდება, მაშინ ინფლაციის დაბალანსება ადვილი იქნება.

## საქართველოს ბიზნესმენთა ფედერაციაში "საქართველო და მსო"-ს პრეზენტაცია გაიმართება

საქართველოს ბიზნესმენთა ფედერაციის ანალიტიკური ჯგუფის მიერ შემუშავებული პროექტის - "საქართველო და მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაცია (მსო)" - პრეზენტაცია პარასკევს ბიზნესმენთა ფედერაციაში გაიმართება. ასევე გაიმართება დისკუსია თემაზე "საქართველოს გამოუყენებელი შესაძლებლობები მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაციაში და არსებული შანსები: საბაჟო-სატარიფო პოლიტიკა," - აცნობეს პრაიმ-ნიუს ბიზნესს ბიზნესმენთა ფედერაციიდან.

პრეზენტაციას ქართველი და უცხოელი ექსპერტები, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები დაესწრებიან. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## "Visa International" ქართულ ბაზარზე მუშაობას გააქტიურებს

საერთაშორისო საგადამხდელო სისტემა "Visa International" საქართველოს ბაზარზე ახალი ტექნოლოგიების დანერგვას იწყებს, - განუცხადა პრაიმ-ნიუს ბიზნესს დსთ-ს ქვეყნებში კომპანიის რეგიონულმა მენეჯერმა სვეტლანა გეორბელიძემ. 29-30 ივნისს სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტში" პლასტიკური ბარათებით გადახდის სფეროში უახლეს ტექნოლოგიებთან დაკავშირებით "Visa International"-ის მიღწევების გამოფენა "ავენიუ 2010" გაიმართება. სვეტლანა გეორბელიძის თქმით, "Visa International"-ის ქართულმა წევრმა-ბანკებმა ამ დრომდე Visa-ს 300 ათასი პლასტიკური ბარათი გამოუშვეს. გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება Visa-ს პლასტიკური ბარათების ისეთი შესაძლებლობები, როგორებიცაა საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის გადახდა, უკონტაქტო და მობილური გადახდები, ბიზნეს-ბარათები, სამედიცინო დაზღვევა და სხვა. "ქორთიარდ მარიოტში" ასევე საქართველოში Visa-ს საგადამხდელო ბარათების ბაზრის განვითარების ტემპებს და ძირითად მიმართულებებს მიმოიხილავენ. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

# დემოკრატების ფრთას სოფლის მეურნეობის მინისტრი იგნორირებას უკეთებს

პირველი გვერდიდან

სახელმწიფო ბიუჯეტიდან შემოსული თანხები მიმართული იქნება იმ კომპანიების საკომპენსაციოდ, რომლებიც რუსეთში ქართული ღვინისა და მინერალური სასმელი წყლის აკრძალვის შემდეგ დაზარალდნენ. თუმცა, ამ ეტაპზე უცნობია, რა მექანიზმით მოხდება თანხების ათვისება. ამის შესახებ ინფორმაცია სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ჯერჯერობით ვერ წარმოადგინა.

მთავრობამ არ გაითვალისწინა აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის ედვარდ სურმანიძის მოთხოვნა. მას მიზანშეწონილად მიაჩნია დამატებითი ხარჯებიდან რამდენიმე მილიონი ლარის გამოყოფა პრეზიდენტის ნაციონალური პროგრამის - "სასოფლო-სამეურნეო მანქანა-დანადგარებით უზრუნველყოფა" - დაფინანსების გასაზრდელად. გობეჯიშვილის განმარტებით, ამ მიზნით ბიუჯეტში უკვე ჩადებულია 2 მილიონი ლარი, რის გამოც ამ მიმართულებით დამატებითი თანხების გამოყოფა შეუძლებელია. მიუხედავად იმისა, რომ სოფლის მეურნეობაში მანქანა-დანადგარების დიდი დეფიციტია და ტრაქტორებზე დიდი მოთხოვნაა, აღნიშნული თანხის ათვისება დღემდე არ მომხდარა.

დეპუტატებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი საქართველოს პრეზიდენტის მიერ რატიფიკაციისთვის წარდგენილ, საქართველოსა და "საერთაშორისო განვითარების ასოციაციას" შორის ხელშეკრულებას. აღნიშნული ხელშეკრულებით, ფრინველის გრიპის კონტროლის, პანდემიის წინააღმდეგ მზადყოფნისა და მასზე რეაგირებისთვის "საერთაშორისო განვითარების ასოციაცია" 7 მილიონ დოლარს გამოყოფს, საიდანაც 3,5 მილიონი დოლარი შეღავათიანი კრედიტია, 3,5 მილიონი დოლარი - გრანტი.

ფინანსთა მინისტრის მოადგილის გრიგოლ გობეჯიშვილის განმარტებით, აღნიშნული თანხით სამი კომპონენტი დაფინანსდება. კონკრეტულად კი, 5,16 მილიონ დოლარს სოფლის მეურნეობის სამინისტრო მიიღებს ცხოველთა დაცვისთვის, ასევე, ფრინველების განადგურების შემთხვევაში - მოსახლეობისთვის კომპენსაციების დარიგებისთვის, 4,22 მილიონ დოლარს ჯანდაცვის სამინისტრო მიიღებს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისთვის და ლაბორატორიების აღჭურვისთვის, ასევე გამოეყოფა თანხა ჯანდაცვის სამინისტროს საზოგადოების ინფორმირებისა და კომუნიკაციებისთვის.

საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება ვერ თანხმდება 2 კანონპროექტზე: 1. "ვაზისა და ღვინის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ"; 2. ცხოველთა ახალი ჯიშების დაცვის შესახებ", "მცენარეთა ახალი ჯიშების დაცვის შესახებ", "საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში" ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე"და "საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში" ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე. აგრარულ საკითხთა კომიტეტმა ვაზისა და ღვინის შესახებ კანონში ყველა ცვლილება გაითვალისწინა. სურმანიძის განმარტებით, კომიტეტი კონიაკის შესახებ მთავრობის ფორმულირებას დაეთანხმა. მიუხედავად ამისა, სოფლის მეურნეობის სამინისტრომ საკითხი განხილვიდან მოხსნა. რაც შეეხება მეორე საკითხს, მასში იმდენად დიდი შეუთანხმებლობაა პარლამენტსა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შორის, რომ საკამათო საკითხები ჯერჯერობით უცნობი რჩება. საერთოდ, კომიტეტის გუშინდელ სხდომაზე აშკარად გამოიკვეთა, რომ აგრარულ საკითხთა კომიტეტს საკვანძო საკითხებში იგნორირებას უკეთებს სოფლის მეურნეობის სამინისტრო. ეს იქიდანაც დადასტურდა, რომ პრეზიდენტ სააკაშვილთან სოფლის მეურნეობის დარგში მოღვაწე ბიზნესმენების შეხვედრის დროს აგრარულ საკითხთა კომიტეტიდან არავინ მიუწვევიათ.

# "საქართველოს ბანკის" კიდევ ერთი ნოვაცია

### "საქართველოს ბანკი" პარტნიორ ორგანიზაციებს საქმიანობის გაფართოების შესაძლებლობას აძლევს

ნინო ნარჩემაშვილი

*"საქართველოს ბანკი" თავისი პარტნიორი ბიზნეს-ორგანიზაციებისათვის ახალ პროდუქტს "მერჩანთ+"-ს (merchant+) ნერგავს. ეს გახლავთ ავტომატური საკრედიტო ლიმიტი, რომელიც უშუალოდ "საქართველოს ბანკის" განვადების ქსელში ჩართული სავაჭრო ორგანიზაციებისათვის არის გათვლილი და ქართულ საბანკო ბაზარზე თავისთავად ნოვატორულ პროდუქტს წარმოადგენს.*

მთავარი კი ის გახლავთ, რომ "საქართველოს ბანკის" პარტნიორ სავაჭრო ორგანიზაციებს, რომელთა რიცხვი დღეისათვის 185 კომპანიას ითვლის და როგორც საქართველოს ბანკის პარტნიორებთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორი მიხეილ გაფრინდაშვილი აღნიშნავს, "პარტნიორობის მსურველ ორგანიზაციათა რაოდენობა ძალზე სწრაფად, შეიძლება ითქვას, ყოველ საათში იზრდება," თავიანთი საქმიანობის გაფართოების საუკეთესო შესაძლებლობა მიეცათ. რაც შეეხება ავტომატური საკრედიტო ლიმიტის პირობებს, მისი გაცემა განხორციელდება ორგანიზაციებზე, რომლებიც "საქართველოს ბანკის" განვადების ქსელში მინიმუმ უკანასკნელი 3 თვის განმავლობაშია ჩართული; არ მოღვაწეობს ბიზნესის ისეთ დარგში, რომლის დაკრედიტებაც აკრძალულია ბანკის საკრედიტო პოლიტიკის შესაბამისად; ბანკთან გაფორმებული აქვს ექსკლუზიური ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება. აღნიშნული პირობის დაუცველობისას კი, შესაბამისი არგუმენტების არსებობის შემთხვევაში, "საქართველოს ბანკის" სავაჭრო აგენტების ქსელის განვითარების დეპარტამენტის რეკომენდაციის საფუძველზე საკრედიტო კომიტეტმა, შესაძლებელია, დაკრედიტებაზე დადებითი გადაწყვეტილება მიიღოს.

სესხი ქართულ ეროვნულ ვალუტაში გაიცემა და საკრედიტო ლიმიტის მოცულობა უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში ბანკის განვადების პროგრამით გაყიდვების თანხის საშუალო თვიური მოცულობის შესაბამისი იქნება. ლიმიტის დაშვება მოხდება ოთხი თვის ვადით და სამ თვეში ერთხელ განახლების პირობით. განახლების საკითხს კი ბანკის საკრედიტო კომიტეტი განიხილავს.

მნიშვნელოვანია, რომ საკრედიტო ლიმიტის გაცემა ორგანიზაციის მინიმუმ ერთი ძირითადი დამფუძნებლის თავდებობის საფუძველზე განხორციელდება, ანუ პარტნიორ ორგანიზაციას "საქართველოს ბანკის" კრედიტის აღება ბანკის 75-ფილიალიანი ქსელის მეშვეობით, მის ნებისმიერ განყოფილებაში ყოველგვარი ფინანსური დოკუმენტაციისა და სესხის უზრუნველყოფის გარეშე შეეძლება.

მიხეილ გაფრინდაშვილი აღნიშნავს, რომ "ავტომატური საკრედიტო ლიმიტი ძალზე მომგებიანი იქნება სავაჭრო ორგანიზაციებისათვის, რადგან ეს ხელს შეუწყობს მათ განვითარებას, გამსხვილებას და ზრდას. ამასთან, საერთო ჯამში, სავაჭრო ორგანიზაციებისათვის ბანკთან ურთიერთთანამშრომლობა იმითაც არის მომგებიანი, რომ "საქართველოს ბანკის" ქსელში უკვე კარგა ხნის წინ დანერგილი განვადების წყალობით მათი პროდუქციის რეალიზაცია მკვეთრად გაიზარდა, ამჯერად კი მათ ბანკი ბიზნესის გაზრდაში უწყობს ხელს."

## Nokia ჩინურ კომპანიებს პლაგიატობაში ადანაშაულებს




მობილური ტელეფონების მწარმოებელი კომპანია Nokia-მ ორი ჩინური კომპანიის წინააღმდეგ სასამართლოს მიმართეს. კომპანიის წარმომადგენლები ჩინელებს მობილური ტელეფონების დიზაინის უკანონო კოპირებაში ადანაშაულებენ. ფინური კორპორაციის ადვოკატების თქმით, ჩინურმა ფირმებმა Shenzhen Telsda-მ და Song Xun Da Electronic-მა ახალი მობილური ტელეფონი შექმნეს, რომელთა დიზაინიც Nokia 7260 მოდელის ანალოგიურია. კომპანია Nokia ჩინური კომპანიებისგან ფინანსურ კომპენსაციასა და "პლაგიატი" მობილური ტელეფონების წარმოების შეწყვეტას მოითხოვს. ფინური კომპანიის სარჩელს პეკინის სასამართლო განიხილავს. კომპანიამ მობილური ტელეფონი Nokia 7260 პირველად 2004 წელს გამოუშვა და მისი პრეზენტაცია პირველად შანხაის პრესტიჟულ სალონებში შედგა, აღნიშნული მოდელის ტელეფონები ციფრული ფოტოკამერით არის აღჭურვილი და GSM-ის სამ დიაპაზონზე მუშაობს.

## პერუმ ამერიკასთან თავისუფალ ვაჭრობაზე თანხმობა მიიღო

პერუმ ამერიკის შეერთებულ შტატებთან თავისუფალი ვაჭრობის საკითხები მოაგვარა. ქვეყნის კონგრესის სხდომაზე კანონმდებელბმა აღნიშნული პროექტი ხმების უმრავლესობით (79 14-ის წინააღმდეგ) მიიღეს. მანამდე კი ამ პროექტს ხელი პერუს პრეზიდენტმა ალეხანდრო ტოლედომ მოაწერა. შეთანხმების ბოლომდე ძალაში შესასვლელად პროექტი ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმაც უნდა მოიწონოს.

პერუმ და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა თავისუფალი სავაჭრო ურთიერთობის დოკუმენტი გასული წლის ბოლოს შეიმუშავეს. 2006 წლის აპრილში კი დოკუმენტს ხელი პერუს პრეზიდენტმა მოაწერა. შეთანხმება კი საბოლოოდ ორივე ქვეყნის უმაღლესი პირების მიერ უნდა იქნეს რატიფიცირებული.

ამერიკის შეერთებულ შტატებთან თავისუფალი სავაჭრო ურთიერთობები უფრო ადრე კოლუმბიამაც დაიწყო. ამავდროულად ამერიკა მოლაპარაკებებს ეკვადორის ხელისუფლებასთანაც აწარმოებდა. მას შემდეგ, რაც ეკვადორის მთავრობამ 2006 წლის მაისში ამერიკასთან აღნიშნული სავაჭრო ურთიერთობის დოკუმენტი გააუქმა მოლაპარაკებებიც დასრულდა.

## ჩინეთი ავტომობილების ექსპორტის ლიცენზიას მხოლოდ მსხვილ კომპანიებს მისცემს

ჩინეთის საავტომობილო ტექნიკისა და მაღალტექნოლოგიების დეპარტამენტი ექსპორტიორ კომპანიებს გარკვეულ შეზღუდვებს დაუწესებს. დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ძანგ ჯიმ უკვე ოფიციალურად განაცხადა, რომ 2007 წლიდან ჩინეთში ახალი სისტემა ამოქმედდება, რომელიც ქვეყანაში ავტომობილების ექსპორტიორ კომპანიებს საგრძნობლად შეამცირებს. ავტომობილებით ვაჭრობას ჩინეთში მხოლოდ ის კომპანიები შეძლებენ, რომელთაც საექსპორტო ლიცენზია ექნება. რაც შეეხება ლიცენზიებს, მხოლოდ ის მსხვილი კომპანიები მიიღებენ, რომელთა სექსპორტო მოცულობაც კანონის შესაბამისი იქნება. დეპარტამენტის ხელმძღვანელის განცხადებით, მათ მიერ განხორციელებული ცვლილებების მიზანი საავტომობილო კომპანიების დაცვასა და ჯანსაღი კონკურენტუნარიანი ბაზრის ფორმირებაა. მისივე თქმით, მცირე კომპანიები ხშირად სარგებლობენ დაბალი ფასებით და ამ მეთოდებით საერთაშორისო საავტომობილო ბაზარზე პოზიციებსაც იმყარებენ. ეს კი ჩინეურ საავტომობილო კომპანიებზე არასახარბიელო გავლენას ახდენს.

# "როსნეფტი" აქციონირებას შეუდგა

პირველი გვერდიდან

კომპანიის კონსოლიდირებული საბაზრო კაპიტალიზაციის მოცულობა 60-80 მილიარდ დოლარადაა შეფასებული. სხვათა შორის, კაპიტალიზაციის ეს მოცულობა 33 პროცენტით სჭარბობს უდიდესი რუსული ნავთობკომპანიის, "ლუკოილის" საბაზრო ღირებულებას. ასეა თუ ისე, "როსნეფტი", უფრო სწორად კი, რუსეთის მთავრობა ბაზარზე აქციების 13-19 პროცენტს გამოუშვებს, მათი საერთო ფასი კი 11 მილიარდი დოლარი იქნება. ამ მხრივ, ეს იქნება მსოფლიო საფონდო საქმიანობის ისტორიაში ბირჟაზე ფასიანი ქაღალდების გამოშვების სიდიდით მეხუთე ოპერაცია.

26 ივნისიდან ბანკებმა "როსნეფტის" აქციების შეძენაზე ფიზიკური პირებისგან წინასწარი შეკვეთების მიღება დაიწყეს. დადგენილია განაცხადის მინიმალური მოცულობა - 15000 რუბლი. თუმცა, ჯერჯერობით დაუდგენელია, თუ ამ მინიმუმით რა რაოდენობით აქციის ყიდვა იქნება შესაძლებელი. აქციის ნომინალური ღირებულების დადგენის ვადა 13 ივლისია. მას შემდეგ, რაც აქციის ფასი განისაზღვრება, განაცხადის გამფორმებელ მოქალაქეებს გადაეცემათ სპეციალურად შედგენილი საბუთი, რომელიც ადასტურებს, რომ მისი მფლობელი აქციების გარკვეული რაოდენობის მფლობელია. აქციების შეკვეთაზე განაცხადებს რამდენიმე რუსული კომერციული ბანკი ახორციელებს. მათი წინასწარი ინფორმაციით, ჯერჯერობით აქციებზე აჟიოტაჟური მოთხოვნა არ შეინიშნება.

ექსპერტების შეფასებით, ახლა საფონდო ბაზარზე აქციონირებისთვის მაინცდამაინც ხელსაყრელი პერიოდი არ არის. თუმცა, რუსი ჩინოვნიკები IPO-ს ჩატარების გადადებას მაინც არ აპირებენ. მით უმეტეს, რომ პროგნოზებით, აქციონირება წარმატებული იქნება. ესეც რომ არ იყოს, ამ ნაბიჯს პოლიტიკური სარჩულიც აქვს - რუსეთის მთავრობას სურს, რომ "როსნეფტის" აქციონირება დიდი რვიანის სამიტამდე დაიწყოს.

მომავალი აქციონერებისადმი სპეციალურად მომზადებულ ბუკლეტში "როსნეფტის" ხელმძღვანელობა პოტენციურ ინვესტორებს იმ სერიოზული რისკის შესახებ აფრთხილებს, რომელიც კომპანიის მიერ "იუგანსკნეფტეგაზის" აქტივების დაუფლებას უკავშირდება. ეს უკანასკნელი ამჟამად გაკოტრებული "იუკოსის" კუთვნილება იყო, რომლის მენეჯერებიც არ მალავენ, რომ "იუგანსკნეფტეგაზს" ჯერაც თავიანთ საკუთრებად მიიჩნევენ.

ჯერჯერობით დადგენილი არ არის, თუ რა რაოდენობის აქციები გაიყიდება. ეს მას შემდეგ გაირკვევა, რაც წინასწარი განაცხადების წიგნი დაიხურება. "როსნეფტის" ხელმძღვანელობას აქციონირების საბაზისო მოცულობად 8.5 მილიარდი დოლარი აქვს გამოცხადებული. სწორედ ამდენი სჭირდება სათავო კომპანია "როსნეფტეგაზს" იმისათვის, რომ დაფაროს ბანკებისადმი დავალიანება და გადაიხადოს აქციების გაყიდვით მიღებული მოგების გადასახადი. გარდა ამისა, დაგეგმილია დამატებით 400 მილიონი (კაპიტალის 4.4%) აქციის გამოშვება, რითაც შესაძლებელი გახდება 3 მილიარდი დოლარის მოზიდვა.


"როსნეფტის" პრეზიდენტი სერგეი ბოგდანჩიკოვი.

ლონდონისა და მოსკოვის ბირჟებზე "როსნეფტის" აქციონირების პროცესი განხორციელდება ოთხი დიდი ბანკის - "ABN ამროს", "JP მორგანის", "მორგან სტენლისა" და "დრეზდნერ კლაინვორტ ვაზერშტაინის" მეშვეობით. თუმცა, ამის მიუხედავად, ბევრი სპეციალისტი რუსული ნავთობგიგანტის აქციონირებას სკეპტიკურად აფასებს.

### ეჭვები

სკეპტიციზმის მთავარი საფუძველი "როსნეფტის" აქტივების შეფასებებს შორის უზარმაზარი განსხვავებაა. ეს განსხვავება 85 მილიარდ დოლარს აღწევს (35-დან 120 მილიარდამდე).

ბევრი ექსპერტი დარწმუნებულია, რომ აქციონირება არახელსაყრელ პერიოდში ტარდება. მაგალითად, ბოლო ორ თვეში "ლუკოილის" აქტივები 77 მილიარდი დოლარიდან 59 მილიარდამდე შემცირდა. ამიტომ, მოსალოდნელია, რომ უცხოელი ინვესტორები"როსნეფტის" აქციების შეძენას არ იჩქარებენ.

ერთ-ერთი ასეთი ინვესტორია მარკ მობიუსი, ვინც საინვესტიციო კომპანია "ტემპლტონის" ერთ-ერთი უდიდესი (30 მილიარდი დოლარის აქციებს განაგებს) აქციონერია. "რატომ უნდა ვიყიდო "როსნეფტის" აქციები, როცა უკვე მაქვს წილი "ლუკოილში?" - კითხვას სვამს მობუსი და თავადვე პასუხობს: "თუ "როსნეფტის" აქციების ფასი დაიკლებს, მაშინ შეიძლება მათ შეძენაზეც ვიფიქრო". ამას ამბობს კაცი, ვინც განვითარებული ქვეყნების ბაზრებზე ყველაზე თამამი მოთამაშეა.

"UFG ასეტ მენეჯმენტის" ექსპერტი ფლორიან ფენერი კი ამბობს, რომ "როსნეფტის" აქციონირების წარმატებულობა ბევრად იქნება დამოკიდებული რუსი ინვესტორების აქტიურობაზე. "პირველ ეტაპზე თავად რუსებს მოუწევთ აქტიურობა. ამერიკელი ინვესტორები კი მოვლენებს ჯერ შორიდან დააკვირდებიან. მათ არ იზიდავთ ის ფაქტი, რომ "როსნეფტს" ბევრი სადავო საკითხი აქვს გადასაწყვეტი," - ამბობს ფენერი. მისივე პროგნოზით, თუ საფონდო ბაზრებზე დაცემა გაგრძელდება, მაშინ "როსნეფტს" საკუთარი აქციების ფასის დაწევა მოუწევს.

სამაგიეროდ, "როსნეფტის" ხელმძღვანელობა ოპტიმიზმითაა გამსჭვალული და ცდილობს, ეს ოპტიმიზმი თავის მომავალ ინვესტორებსაც "გადასდოს". ამის საფუძველი კი ისაა, რომ კომპანია თანდათან ყლაპავს გაკოტრების ფაზაში მყოფი "იუკოსის" აქტივებს - როგორც საბადოებს, ასევე გადამამუშავებელ საწარმოებს. მართალია, "იუკოსის" გაკოტრების პროცესის დასრულებამდე, "როსნეფტს" ბევრი მოდავე ეყოლება, მაგრამ კომპანია იმედოვნებს, რომ რუსეთის მთავრობის შეწევნით, ყველა პრობლემას უმტკივნეულოდ მოაგვარებს.

### პერსპექტივები

"როსნეფტი" გასული საუკუნის მიწურულს, რუსეთის სანავთობე ინდუსტრიის მანამდე არაპრივატიზებული ნაწილებისგან შეკოწიწდა. კომპანიამ გაძლიერება 1998 წლის შემდეგ დაიწყო, რაც მას სათავეში ჩაუდგა სერგეი ბოგდანჩიკოვი.

დღეისათვის "როსნეფტი" ჩინეთის ბაზარზე რუსული ნავთობის უდიდესი მიმწოდებელია. მას აღმოსავლეთ ციმბირში ნავთობის უზარმაზარი მარაგი გააჩნია. "როსნეფტი" მალე დაასრულებს ახალი ნავთობსადენის მშენებლობას, რომელიც 2008 წელს ამოქმედდება და ჩინეთში ნავთობის ექსპორტს საგრძნობლად გაზრდის.

ზოგიერთი შეფასებით, "როსნეფტს" ამჟამად გააჩნია დაზვერილი ნავთობის მარაგი, რომლითაც მოპოვების ახლანდელი ტემპების შენარჩუნებას 28 წლის განმავლობაში შეძლებს. სხვათა შორის, შარშანდელი მონაცემებით, "როსნეფტის" მიერ ნავთობის დღიური მოპოვება 1.466 მილიონ ბარელს შეადგენდა, რითაც მას მსოფლიოს უდიდეს კომპანიებს შორის მე-9 ადგილი ეკავა.

უფრო მეტიც, კომპანია "ატონის" ექსპერტთა შეფასებით, "როსნეფტის" შესაძლებლობანი კიდევ უფრო გაიზრდება. მათი ვარაუდით, მალე დღიური მოპოვება 2.33 მილონ ბარელს მიაღწევს. პარალელურად, კომპანია სულ უფრო ზრდის ნავთობის დაზვერილ მარაგს, რომელიც შარშანდელს შემდეგ 18 პროცენტით გაიზარდა. ცნობისათვის, დაზვერილი მარაგის მხრივ, მსოფლიოს ლიდერი "ლუკოილია", რომელსაც ცოტათი ჩამორჩება "როსნეფტი".

"როსნეფტი" სხვა მაჩვენებლითაც გამოირჩევა. კერძოდ, ბარელი ნავთობის მოპოვებაზე მას შარშან მხოლოდ 2.1 დოლარი ეხარჯებოდა, როცა "ბრიტიშ პეტროლეუმის" ანალოგიური მაჩვენებელი 4.5 დოლარს შეადგენს.

## აშშ-ს ბირჟაზე კვლავ ზრდაა










გუშინ ნიუ იორკის საფონდო ბირჟაზე ძირითად ინდექსთა ზრდა დაფიქსირდა. ნავთობის გაძვირების და ფედერალური სარეზერვო ფონდის მიერ ძირითადი საპროცენტო განაკვეთის გაზრდის მოლოდინის მიუხედავად, ინვესტორთა განწყობაზე დადებითი გავლენა მოახდინა დამაიმედებელმა მაკროეკონომიკურმა ინფორმაციებმა, რომელთა შორის აღსანიშნავია მიმდინარე წლის პირველ კვარტალში აშშ-ს შიდა პროდუქტის 5,6 პროცენტით ზრდა.

საბოლოოდ, Dow Jones Index 1,05 პროცენტით, 11.089,07 პუნქტამდე გაიზარდა. 1,17 პროცენტით გაზრდილმა Nasdaq Index-მა 2.136,63 პუნტი შეადგინა, ხოლო S&P 500 Index 1,02 პროცენტით, 1.258,66 პუნქტამდე გაიზარდა.

## ნავთობი სტიქიამ გააძვირა

გუშინ ლონდონისა და ნიუ იორკის ნავთობის ბირჟებზე "შავი ოქროს" ფიუჩერსებზე (სამომავლო კონტრაქტები) ფასების ზრდა გაგრძელდა. კერძოდ, 1 ბარელი Brent-ის მარკის ნავთობი 71,41 დოლარი ღირდა, Light-ის მარკის ნავთობი კი 72,19 დოლარი/ბარელამდე გაძვირდა. ამის მიზეზი აშშ-ს ნედლი ნავთობის მარაგის 3,4 მილიონი ბარელით, 343,7 მილიონ ბარელამდე და ბენზინის მარაგის 1 მილიონი ბარელით, 212,4 მილიონ ბარელამდე შემცირების შესახებ გავრცელებულმა ინფორმაციამ განაპირობა. აღნიშნული მონაცემები შარშანდელთან მაჩვენებლებს, შესაბამისად, 4,1 და 1,7 პროცენტით ჩამოუვარდება. გარდა ამისა, ფასების ზრდას ხელი შეუწყო აშშ-ს ჩრდილო-აღმოსავლეთ რეგიონზე თავსდატეხილმა სტიქიამ, რის შემდეგაც პენსილვანიის შტატში 200 ათასი ადამიანის ევაკუაცია გახდა საჭირო. აღნიშნულმა სტიქიამ უკვე იმსხვერპლა 10 ადამიანი, დატბორილია ათასობით სახლი, დანგრეულია ხიდები და მაგისტრალები.

## ძვირფასი ლითონების გაიაფება გრძელდება

გუშინ ნიუ იორკისა და ლონდონის სასაქონლე ბირჟებზე ძვირფასი ლითონების ფიუჩერსებზე ფასების ზრდის ტენდენცია შენარჩუნდა. კერძოდ, ოქრო 0,6 პროცენტით გაიაფდა და 1 უნციის ფასმა 581 დოლარი შეადგინა. 0,4 პროცენტით გაიაფებული ვერცხლი კი 10,155 დოლარი/უნცია ღირდა. ნავთობის გაძვირების მიუხედავად, ოქროს გაიაფება ფედერალური სარეზერვო ფონდის მიერ ძირითადი საპროცენტო განაკვეთის გაზრდის მოლოდინში დოლარის კურსის გამყარებამ და ოქროს შეძენისადმი ინტერესის შენელებამ განაპირობა. თავის მხრივ, ოქროს ბაზარზე არსებულმა სიტუაციამ გავლენა ვერცხლის ფასზე მოახდინა.

## ჩინეთის ბიუჯეტის შემოსავალმა რეკორდს მიაღწია

ჩინეთის ფინანსთა მინისტრმა ძინ ძენცინმა განაცხადა, რომ 2005 წელს ქვეყნის ბიუჯეტის შემოსავალი 20 პროცენტით გაიზარდა და 395 მილიარდი დოლარის ოდენობის სარეკორდო მაჩვენებელს მიაღწია. თავის მხრივ, გასავალი 19,1 პროცენტით, 424,1 მილიარდ დოლარამდე გაიზარდა, რაც შემოსავალზე 28,5 მილიარდით მეტია. ხელისუფლების აზრით, გასავლის გაზრდის მიზეზი ფრთხილი საბიუჯეტო პოლიტიკის დანერგვა გახდა, რომლის მიზანი ფინანსური, საგადასახადო და საბაჟო უწყებათა მოსაკრებლის გაზრდა იყო. სულ 2005 წელს ჩინეთის ხაზინაში 215 მილიარდი დოლარის ოდენობის თანხა შევიდა, რომლის მთავარი წყარო დამატებითი ღირებულების და იმპორტზე გადასახადები გახდა. გარდა ამისა, ჩინეთმა გამოუშვა 87,8 მილიარდი დოლარის ღირებულების სახელმწიფო ობლიგაციები, საიდანაც 40 მილიარდი ბიუჯეტის დეფიციტის დაფარვას მოხმარდა.

## თურქმენეთი რუსეთს გაზს არ მიყიდის

თურქმენეთმა და რუსეთმა 2006 წლის მეორე ნახევრისა და 2007 წლის ბუნებრივი აირის კონტრაქტის პირობებზე შეთანხმება ვერ მოახერხეს. ამიტომ, როგორც თურქმენეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში აღინიშნა, ეს ქვეყანა რუსეთს გაზის მიწოდებას შეუჩერებს. ერთი დღით ადრე განცხადება გაავრცელა რუსულმა გიგანტმა კომპანია "გაზპრომმა", რომელშიც აღინიშნა, რომ წყვეტს აშხაბადთან მოლაპარაკებას მას შემდეგ, რაც თურქმენულმა მხარემ 1000 კუბური მეტრი ბუნებრივი აირის საფასურად არსებული 65 დოლარის ნაცვლად 100 დოლარი მოითხოვა. "გაზპრომისა" და თურქმენეთის ამგვარი დაპირისპირება მეტად უარყოფით გავლენას მოახდენს უკრაინის ეკონომიკაზე, რომლის მრეწველობა მთლიანად რუსული კომპანიის მიერ შუა აზიიდან მიწოდებულ ბუნებრივ აირზეა დამოკიდებული.

## ევროკავშირს Microsoft-ის გაკოტრება სურს

ევროკომისიის აზრით, კომპანია Microsoft-მა არ შეასრულა სასამართლოს მიერ ანტიმონოპოლიურ საქმესთან დაკავშირებით 2004 წელს მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც კონკურენტებისათვის საოპერაციო სისტემა Windows-ის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას ეხებოდა. ამჟამად განიხილება სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობის ყოველი დღისათვის Microsoft-ისათვის 2 მილიონი დოლარის ოდენობის საჯარიმო სანქციის დაწესების საკითხი. ასე რომ, თუ აღნიშნული სანქცია განხორციელდა, Microsoft-ს ასტრონომიული თანხის გადახდა მოუწევს. Microsoft-მა თავის მხრივ განაცხადა, რომ კონკურენტებს საოპერაციო სისტემა Windows-ის გარკვეული კომპონენტების საწყისი კოდები მიაწოდა. გარდა ამისა, კომპანია ევროკავშირის ტერიტორიას Wimdows-ს Media Player-ის გარეშე აწვდის, როგორც ამას ევროკომისია ითხოვდა.

# ინდური კომპანია ბუნებრივი აირის ჰოლდინგ "Itera Group"-ის მფლობელი გახდა

ინდოეთის საინვესტიციო ჯგუფმა Sun Group-მა რუსული ბუნებრივი აირის ჰოლდინგ Itera-ს აქციების საკონტროლო პაკეტი შეიძინა.

უფრო კონკრეტულად კი ინდური კომპანია ფასიანი ქაღალდების 25%-ისა და ერთი აქციის მფლობელი გახდა. Sun Group-ის წარმომადგენლები ამ გარიგებას "იღბლიანს" უწოდებენ, თუმცა გარიგების თანხას ჯერ არ ახმაურებენ. "ჩვენ Itera Group-ის აქციები შევისყიდეთ, ოღონდ არა იმისთვის, რომ მერე გავყიდოთ. ჩვენ კომპანიას ბევრად უფრო სერიოზული გეგმები აქვს."-აცხადებენ ინდური კომპანიის წარმომადგენლები. Sun Group-ის დირექტორთა საბჭოს ხელმძღვანელი შივ კხემკა Itera Group-შიც ანალოგიურ თანამდებობას დაიკავებს.

შეგახსენებთ, რომ 2002 წელს, რუსული კომპანია itera, კომაპნია "გაზპრომის" შემდეგ რუსეთსა და დანარჩენ პოსტ საბჭოურ ქვეყნებში ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ კომპანიად ითვლებოდა. სამი წლის შემდეგ Itera-მ "გაზპრომს" ბუნებრივი აირის ყველა საბადო დაუბრუნა, მხოლოდ ერთის გარდა. უკრაინის ბაზარზე შუააზიის ბუნებრივი აირის გაყიდვით კი სხვა ფირმა დაკავდა.

2006 წელს ჰოლდინგ Itera-ს გაყიდვების ზრდა 35%-ით შემცირდა. იმის გათვალისწინებით, რომ ოფიციალური რუსეთი ამ ეტაპზე "სიბნეფტგაზის" საკონტროლო პაკეტის "გაზპრომზე" გადაცემის საკითხების მოგვარებით არის დაკავებული, ადვილი მისახვედრია, რომ Itera ბუნებრივი აირის მსხვილ აქტივებს ფაქტობრივად აღარ ფლობს.

# ატმოსფეროს ყველაზე მეტად ამერიკული ავტომობილები აბინძურებენ

ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე მოძრავი ავტომობილებიდან ატმოსფეროსთვის ყველაზე საშიში ამერიკული ავტომობილებია. ამის შესახებ ინფორმაცია ბუნების დაცვის კვლევითმა ორგანიზაციამ Environmental Defense-მა გაავრცელა. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ მსოფლიოში დაახლოებით 700 მილიონი ავტომობილია, აქედან 30% კი ამერიკის შეერთებულ შტატებში მოძრაობს. ამერიკული ავტომობილების საზიანო გავლენას მსოფლიო ეკოლოგიურ გარემოზე, სპეციალისტები საწვავის დიდი რაოდენობით გამოყენებას უკავშირებენ. საინტერესოა, რომ ანალიტიკოსების შეფასებით, 2004 წელს ამერიკის შეეღტებულ შტატებში მოძრავმა მსუბუქმა და სატვირთო ავტომობილებმა დაახლოებით 4,16 ტრილიონი კილომეტრი დაფარეს. Environmental Defense-ს მკვლევარებმა დაადგინეს, რომ ჯანმრთელობისათვის ყველაზე საშიშ ნივთიერებებს ატმოსფეროში კომპანია General Motors, Ford-ისა და DaimlerChrysler-ის ავტომობილები გამოყოფენ. მას კი იაპონური Toyota მოყვება. ეს შედეგები ლოგიკასთან ძალიან ახლოს დგას, რადგან ავტომობილების წარმოებისა და რეალიზაციის თვალსაზრისით ეს ოთხი საავტომობილო კომპანია მსოფლიოში პირველ ადგილზეა.

## BP-მ აზერბაიჯანის ნავთობის მარაგები შეაფასა

BP-მ მსოფლიოს ნავთობისა და გაზის მიმოხილვაში განაცხადა, რომ აზერბაიჯანის ნავთობის მარაგები 2004 წლიდან არ შეცვლილა და 7 მილიარდი ბარელი შეადგინა. კომპანიის მონაცემებით, აზერბაიჯანში ნავთობის მოპოვება 2005 წელს, წინა წელთან შედარებით, დღე-ღამეში 135 ათასი ბარელით გაიზარდა (42,8%) და 452 ათასი ბარელი შეადგინა. აზერბაიჯანში ნავთობზე მოთხოვნა 2005 წელს 11,3%-ით გაიზარდა და დღეში 103 ათასი ბარელი შეადგინა. თავის ანგარიშში BP-მ აღნიშნა, რომ აზერბაიჯანში გაზის დადასტურებული მარაგები 2005 წლის ბოლოსათვის 1,37 ტრილიონ კუბურ მეტრს შეადგენს, რაც წინა წლის ბოლოსათვის დადგენილ მოცულობებს უახლოვდება. გასული წლის ბოლოსათვის აზერბაიჯანში გაზის მოპოვება 5,3 მილიარდ კუბურ მეტრს შეადგენდა.

აზერბაიჯანში გაზის მოხმარება, BP-ს მონაცემებით, 2005 წლის ბოლოსათვის 8,8 მილიარდ კუბურ მეტრს შეადგენდა. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## "თბილისის წყალი" დედაქალაქში წყალმომარაგების ახალ სისტემას აამოქმედებს

თბილისში მცხოვრები 12-15 ათასი ოჯახი 30 ივნისიდან სასმელი წყლით ახალი თანამედროვე კომუნიკაციების მეშვეობით მომარაგდება. რეაბილიტირებული წყალმომარაგების სისტემის გახსნის ცერემონიას პარასკევს კომპანია "თბილისის წყალის" გენერალური დირექტორი გეგი ქელბაქიანი და თბილისის მერი გიგი უგულავა დაესწრებიან. პრაიმ-ნიუს ბიზნესს კომპანია "თბილისის წყალიდან" აცნობეს, რომ აღნიშნული პროექტი არის ერთ-ერთი, კომპანიის რეაბილიტაციის გეგმის ფარგლებში, რომელიც ორიენტირებულია თბილისში სასმელი წყლის მიწოდებასთან დაკავშირებული ისტორიული პრობლემების მოგვარებაზე. კერძოდ, ხუთშაბათიდან წყლის მიწოდება გაუუმჯობესდება ნავთლუხის, ჭრელაშვილის, დოდაშვილის, საექიმოს, ჩკალოვის და რთველაძის ქუჩების 12-15 ათას მაცხოვრებელს, განსაკუთრებით კი მრავალსართულიანი სახლების ზედა სართულების 8-10 ათას მცხოვრებს, რომელთა წყლის მიწოდების გრაფიკი გაიზრდება 5-6 საათით. ამავე დროს, ღამის საათებში მოსახლეობა წყალს მიიღებს გამაძლიერებელი ტუმბოების გარეშე. წყალმომარაგების გაუმჯობესება ზემოთ აღნიშნულ ქუჩებზე გამოიწვია სისტემის გადასვლამ ერთიან ცენტრალურ წყალმომარაგებაზე. წყალსადენის დ=400 მმ-იან ქსელზე დ=150 მმ-იანი ქსელის გადაერთებასთან ერთად, დაიხვეწა და შემუშავდა წყალსადენის სისტემის ოპტიმალური ვარიანტი, არსებული წყალსადენის რეგულირების მოქნილი სქემა, - აცნობეს პრაიმ-ნიუს ბიზნესს კომპანიაში. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## ბუნდესბანკის დირექტორის მრჩეველმა საქართველოს ეროვნულ ბანკში სემინარი გამართა

გერმანიის "ბუნდესბანკის" დირექტორის უფროსმა მრჩეველმა ნაღდი ფულის მართვის საკითხებში იენს ფურმანმა საქართველოს ეროვნულ ბანკში ოთხშაბათს სემინარი გამართა. პრაიმ-ნიუს ბიზნესს სებ-იდან აცნობეს, რომ იენს ფურმანი საქართველოში გერმანიის "ბუნდესბანკის" დაფინანსებით ჩამოვიდა და საქართველოს ეროვნული ბანკის საკასო ოპერაციებისა და ნაღდი ფულის მიმოქცევის დეპარტამენტის თანამშრომლებს თავისი გამოცდილება გაუზიარა. სემინარზე "ბუნდესბანკის" დირექტორის უფროსმა მრჩეველმა მიმოიხილა ნაღდი ფულის მიმოქცევის გერმანული მოდელი, სადაც ამ სეგმენტის ერთ-ერთი ძირითადი ნაწილი საინკასაციო მომსახურებაა. გერმანიის "ბუნდესბანკს" ამჟამად განზრახული აქვს ნაღდი ფულის მიმოქცევის სფეროში ფულის გადამზიდავი კერძო კომპანიების გარდა, შემოიყვანოს ახალი მოთამაშეები, რომელთა მოვალეობაში ნაღდი ფულის დახარისხება და კლიენტების მომსახურება შევა, მოძველებულ ბანკნოტებს კი, ჩვეულებისამებრ, "ბუნდესბანკი" გაანადგურებს. გარდა ამისა, "ბუნდესბანკის" კომპეტენციის ფარგლებში დარჩება კერძო საკასო ცენტრების ზედამხედველობაც, რადგან ამ სეგმენტის დეცენტრალიზაციამ არ უნდა გამოიწვიოს მიმოქცევაში არსებული ნაღდი ფულის ხარისხის გაუარესება და "ბუნდესბანკი" კვლავ ამ სფეროს ერთ-ერთ მთავარ პარტნიორად უნდა დარჩეს. ამჟამად საქართველოს ეროვნულ ბანკში ექსპერტების დახმარებით იქმნება ნაღდი ფულის მიმოქცევისა და საკასო მომსახურების თანამედროვე მოდელი. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## ამინდი

| | 30/06 | 1/07 | 2/07 |
|---|---|---|---|
| კიევი | 26 | 25 | 24 |
| რიგა | 24 | 23 | 26 |
| ვილნიუსი | 22 | 22 | 24 |
| მოსკოვი | 22 | 17 | 17 |
| მინსკი | 24 | 23 | 24 |
| პარიზი | 27 | 28 | 28 |
| რომი | 32 | 33 | 31 |
| ლონდონი | 26 | 27 | 28 |
| მადრიდი | 33 | 34 | 31 |
| ბონი | 28 | 30 | 28 |
| ვარშავა | 23 | 22 | 25 |
| ათენა | 35 | 36 | 31 |
| ბერნი | 26 | 26 | 29 |
| ამსტერდამი | 22 | 23 | 23 |
| ოსლო | 22 | 23 | 25 |
| ანკარა | 33 | 33 | 27 |
| ვარნა | 40 | 31 | 25 |
| დელი | 49 | 51 | 49 |
| ტოკიო | 34 | 33 | 35 |
| კოპენჰაგენი | 22 | 23 | 24 |
| ბაქო | 33 | 32 | 31 |
| ერევანი | 35 | 33 | 34 |
| ასტანა | 23 | 25 | 27 |
| ჰელსინკი | 21 | 24 | 23 |
| დუბლინი | 16 | 18 | 18 |
| ლისაბონი | 25 | 26 | 25 |
| პრაღა | 22 | 24 | 23 |
| სოფია | 35 | 26 | 22 |
| ბუდაპეშტი | 25 | 23 | 24 |
| ბუხარესტი | 39 | 31 | 27 |

# საერთაშორისო საბანკო კონფერენცია გაიხსნა



დღეს თბილისში, სასტუმრო "ქორთიართ მერიოტში" მესამე საერთაშორისო საბანკო კონფერენცია გაიხსნა - "საცალო საბანკო ბიზნესის განვითარების პერსპექტივა რეგიონში". კონფერენცია იმართება "სახალხო ბანკის" ორგანიზატორობით

კონფერენციის ჩატარების მიზანია სხვადასხვა ქვეყნების საბანკო ინსტიტუტების დაახლოება, აგრეთვე, სწრაფი ფულადი გზავნილებისა და პლასტიკური ბარათების სერვისის განვითარების პერსპეტივების განხილვა.

როგორც კონფერენციის გახსნისას "სახალხო ბანკის" გენერალურმა დირექტორმა გიორგი გოგუაძემ აღნიშნა, ეს კონფერენცია თავისი მასშტაბურობითა და შინაარსით ქართულ საბანკო რეალობაში უპრეცედენტოა. "საცალო საბანკო ბიზნესი როგორც საქართველოში, ისე მსოფლიოში ვითარდება. ეს ფიზიკური პირების მომსახურებას ნიშნავს. მისი ძირითადი მიმართულებები პლასტიკური ბარათების ბიზნესი, სწრაფი ფულადი გზავნილები და სხვა საცალო სერვისებია, რომლებიც ქართულ ბაზარზეა და ტექნოლოგიურად უნდა განვითარდეს. კონფერენციის მონაწილეები მნიშვნელოვან სიახლეებს გაგვიზიარებენ, რათა ჩვენს მოსახლეობას ახალი სერვისები და ცივილიზებული მომსახურება მოკლე ვადებში შევთავაზოთ. საქართველოში საცალო მომსახურებაში დიდი პოტენციალია. საცალო მომსახურება არის ბანკის განვითარების კონკრეტული სტრატეგია. "სახალხო ბანკს" ყველაზე დიდი საფილიალო ქსელი აქვს საქართველოში. გვაქვს 180 ფილიალი და 100 ბანკომატი. ეს რაოდენობა იზრდება, ვცდილობთ, ყველა რეგიონში შევიდეთ, მოსახლეობასთან ინტეგრირებულად ვიმუშაოთ და დავნერგოთ ახალი პროდუქტები", - განაცხადა გიორგი გოგუაძემ.

მისივე თქმით, კონფერენციაზე განიხილება სწრაფი ფულადი გზავნილების ასოციაციის შექმნის ინიციატივა, ამით კი გაიზრდება უშუალოდ გზავნილების მოცულობის არეალი. თუ თანხების მიღება-გადარიცხვა 124 ქვეყანაში შეიძლება, სამომავლოდ ეს 190 ქვეყანაში გახდება შესაძლებელი. ამასთან, გამარტივდება თანხის მიღება-გადარიცხვა.

კონფერენციის მნიშვნელობაზე საქართველოს ბიზნესმენთა ფედერაციის აღმასრულებელმა დირექტორმა გიორგი ისაკაძემაც ისაუბრა და აღნიშნა, რომ ფედერაცია ამ ღონისძიებაში ყოველწლიურად მიიღებს მონაწილეობას. მან ასევე აღნიშნა, რომ საბანკო სისტემა ბოლო დროს არა მხოლოდ საინტერესო და დინამიკური გახდა, არამედ დაუნდობელიც, რაც ეკონომისტების ენით ქართული საბანკო სივრცის მაღალი კონკურენტუნარიანობით აიხსნება.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა რომან გოცირიძემ კი ხაზი იმას გაუსვა, რომ საქართველოს საბანკო სისტემა წარმატებით ვითარდება და წლის ბოლოსთვის საქართველოში საკრედიტო დაბანდებები გაორმაგდება. მისივე თქმით, ეროვნული ბანკის მიზანია, საბანკო სისტემა იყოს გამჭვირვალე, რაც ბანკისთვის დამატებითი კაპიტალს და საუკეთესო მომსახურებას ნიშნავს. მან ასევე ხაზი გაუსვა რამდენიმე გარემოებას, რომ რამდენიმე ქართულმა ბანკმა მათ შორის "სახალხო ბანკმა" ბოლო ერთი წლის განმავლობაში მნიშვნელოვან საერთაშორისო წარმატებას მიაღწიეს, რის გამოც "საერთაშორისო სავალუტო ფონდის და საერთაშორისო ექსპერტების მიერ გასული წელი მოხსენიებულია საქართველოში, როგორც საბანკო ბუმის სენი. ბატონი რომანის თქმით სამომავლოდაც დაგეგმილია მნიშვნელოვანი ამოცანების შესრულება, რის შესაბამისადაც შემუშავებულია ხუთწლიანი სტრატეგიული გეგმა, ძირითადად მონიტორინგის რეგულირების, ფისკალური და ტექნიკური განვითარების კუთხით".

კონფერენციაში მონაწილეობას იღებენ რუსეთის, დიდი ბრიტანეთის, გერმანიის, საბერძნეთის, ლატვიის, ლიტვის, აზერბაიჯანის, სომხეთის, საქართველოს, მოლდავეთის, აშშ-ისა და უკრაინის ბანკები. გარდა ამისა კონფერენციაში მონაწილეობენ "სახალხო მბანკის" თხუთმეტივე პარტნიორი კომპანია - სწრაფი ფულადი გზავნილების სისტემათა ოპერატორები: "ანელიკი", MoneyGram, Telegiros, Contact, Migom, VMT, Interexpress, Unistream, Express Money, Travelex Money Transfer, "გაზპრომბანკ ექსპრესი", Caucasus Express, "სწრაფი ფოსტა", PrivatMoney, "ჟრბ-eqspresi", "შემნახველი ბანკი-СМП".

ფორუმში ასევე მონაწილეობენ თანამედროვე საბანკო ტექნოლოგიების მწარმოებელი კომპანიების წარმომადგენლები: Wincor Nixdorf, NCR, Compassplus, ROZAN, "ფინანსური ტექნოლოგიების ცენტრი".

კონფერენციის ფარგლებში VISA International-მა დსთ-ში პირველად ჩაატარა VISA ბარათებით გადახდის ახალი ტექნოლოგიების "Avenue 2010" გამოფენას.

# ენერგოდავები

ანა შარვაშიძე

*გასულ წელს სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოში საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის მონაწილეობით მიმდინარე დავათა უმრავლესობასთან დაკავშირებით სამართალწარმოება ჯერ კიდევ გასულ წლებში დაიწყო. როგორც ბაზრის 2005 წლის ანგარიშშია ნათქვამი, სესბ-ის წინააღმდეგ არც ერთი სასამართლო დავა ელექტროენერგიის მიუწოდებლობით მიყენებული ზარალის ანაზღაურების, ან ელექტროენერგიის მიუღებელი დავალიანების მოთხოვნით არ დაწყებულა. მაშინ, როცა გასულ წლებში დავათა უმრავლესობა სწორედ ამ კატეგორიებს განეკუთვნებოდა.*

"უნდა ვივარაუდოთ, რომ სესბ-ის წევრების მიერ სესბ-ის სამართლებრივი სტატუსის და მისი არაკომერციული იურიდიული ბუნება სწორად იქნა გააზრებული. შესაბამისად, სესბ-ის წევრთა ერთობლივი ანგარიში, რომელიც გასულ წლებში მუდმივი იძულებითი აღსრულების ღონისძიებების განხორციელების ობიექტს წარმოადგენდა, გასული წლის განმავლობაში არცერთხელ არ დაყადაღებულა," - ვკითხულობთ საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის 2005 წლის ანგარიშში.

მაშ ასე, საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარი გასული წლის შემდეგ სასამართლო და საგადასახადო დავებში იყო ჩართული:

სასამართლო დავები, რომელშიც სესბი ძირითადი მხარის სახით იყო წარმოდგენილი:

### შპს "სიონიჰესი 98" სესბ-ის წინააღმდეგ:

დავის საგანი - შპს "სიონიჰესი 98"-ის სასარგებლოდ სესბ-თვის 700 ათასი ლარის (მიწოდებული ელექტროენერგიის საფასურისათვის), 500 ათასი ლარის (ფინანსური ზარალისათვის) და 500 ათასი ლარის (მორალური ზიანისათვის) დაკისრება.

შედეგი - თბილისის საოლქო სასამართლოს 2004 წლის 17 მარტის გადაწყვეტილებით, შპს "სიონიჰესი 98"-ს სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარი განუცხადეს. თუმცა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2004 წლის 2 დეკემბრის გადაწყვეტილებით, შპს "სიონიჰესი 98"-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა და საქმე არსებითად განსახილველად თბილისის საოლქო სასამართლოში ხელახლა დააბრუნა. ამჟამად საქმე განხილვის სტადიაშია.

### შპს "საქართველოს რკინიგზა" სესბ-ის წინააღმდეგ

დავის საგანი - შპს "საქართველოს რკინიგზისთვის" ელექტროენერგიის მიუწოდებლობის გამო მიყენებული ზარალის - 2 597 155,33 ლარის დაკისრება სესბ-ისთვის.

შედეგი - თბილისის საოლქო სასამართლოს მიერ 2004 წლის 16 ივლისის სასამართლო სხდომაზე სესბი არასათანადო მოპასუხედ იქნა მიჩნეული და დავა შპს "საქართველოს რკინიგზას" და შპს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას" შორის გაგრძელდა. ამჟერად, სესბი საქმეში მესამე პირის სტატუსით მონაწილეობს.

### სესბი სს "ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის" წინააღმდეგ

დავის საგანი - (1) სესბ-ის სარჩელი: სს "ფეროს" მიმართ 1999 წლის 6 თვის განმავლობაში სს "ფეროს" მიერ შპს "ალიონი პლიუსის" მეშვეობით მიღებული ელექტროენერგიის საფასურის 7 546 130 ლარის ფეროსათვის დაკისრება; (2) სს "ფეროს" შეგებებული სარჩელი: 2001 წლის 1 ნოემბრის შეთანხმებიდან გამომდინარე, სესბ-თვის 4 158 034 აშშ დოლარის დაკისრება;

შედეგი - (1) ქუთაისის საოლქო სასამართლომ 2004 წლის 26 იანვრის გადაწყვეტილებით, სესბ-ის სარჩელი სს "ფეროს" მიმართ ხანდაზმულობის გამო არ დააკმაყოფილა; (2) სს "ფეროს" შეგებებული სარჩელი ქუთაისის საოლქო სასამართლოს 2005 წლის 31 მაისის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა და სესბ-ს სს "ფეროს" სასარგებლოდ ძირითადი თანხა 2 411 853 აშშ დოლარი და ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ამ თანხის 0,08 პროცენტი დაეკისრა. აღნიშნული გადაწყვეტილება სესბ-იმ საქართველოს უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრა.

### სს "ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა" სესბ-ის წინააღმდეგ

დავის საგანი - (1) სს "ფეროს" სარჩელი: სს "ფეროსათვის" ელექტროენერგიის სისტემატურად მიუწოდებლობის გამო მიყენებული ზარალის სახით 2 146 812 აშშ დოლარის (მათ შორის 90 000 აშშ დოლარი იურიდიული მომსახურებისათვის) და 447 333 ლარის ანაზღაურება სესბ-ის მიერ; (2) სესბ-ის შეგებებული სარჩელი: სს "ფეროსათვის" ელექტროენერგიის საფასურის (მათ შორის საურავის) - 2 460 848,92 ლარის დაკისრების თაობაზე;

შედეგი - თბილისის საოლქო სასამართლომ 2005 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილებით სესბ-ის შეგებებული სარჩელი სრულად დააკმაყოფილა, ხოლო სს "ფეროს" სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. სესბ-ს 1 179 621 აშშ დოლარისა და 447 333 ლარის გადახდა დაეკისრა. ამ ნაწილში სესბ-ის მიერ უზენაეს სასამართლოში საკასაციო საჩივარია წარდგენილი.

### სესბი სს "თელასის" წინააღმდეგ

დავის საგანი - სს "თელასისათვის" საწევრო შენატანის დავალიანების სახით 482 260 ლარის დაკისრება.

შედეგი - თბილისის საოლქო სასამართლოს 2005 წლის 1 თებერვლის გადაწყვეტილებით, სს "თელასს" სესბ-ის სასარგებლოდ 482 260 ლარის გადახდა დაეკისრა. უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 22 ივლისის განჩინებით გადაწყვეტილება ძალაში დარჩა.

### სს "თელასი" სესბ-ის წინააღმდეგ

დავის საგანი - შპს "ნიკორას" სესბ-ში პირდაპირ მომხმარებლად გაწევრიანების შესახებ სესბ-ის აღმასრულებელი საბჭოს 2005 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილების კანონიერება.

შედეგი - საქმე განსახილველად იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოში.

### საქართველოს ფინანსთა სამინისტრო სესბ-ის წინააღმდეგ

დავის საგანი - ფინანსთა სამინისტროსა და სესბ-ს შორის 1999 წელს გაფორმებული სესხის ხელშეკრულების საფუძველზე სესბ-თვის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ 10 000 ლარის, შესაბამისი პროცენტებისა და საურავების დაკისრება.

შედეგი - ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ 2004 წლის 7 აპრილის გადაწყვეტილებით ფინანსთა სამინისტროს მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. ფინანსთა სამინისტროს სააპელაციო საჩივრის საფუძველზე, თბილისის საოლქო სასამართლომ 2004 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილებით სესბ-ს გადასახდელად 10 000 ლარი დააკისრა, რომელიც უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 14 აპრილის განჩინებით ძალაში იქნა დატოვებული. 2005 წლის 29 დეკემბერს თბილისის სააპელაციო სასამართლომ სესბ-ს დამატებით გადასახდელად ძირითად თანხაზე საურავები დააკისრა.

### შპს "საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია" - სესბ-ის წინააღმდეგ

დავის საგანი - ბუნებრივი აირის ტრანსპორტირების საფასურისა და საქართველოში იმპორტირებული ბუნებრივი აირის საფასურის - 1 685 820 ლარისა (ძირითადი დავალიანება) და 148 032 ლარის (ზიანი) სესბ-თვის დაკისრება.

შედეგი - ქ. თბილისის საოლქო სასამართლოს 2004 წლის 27 ივლისის გადაწყვეტილებით, სესბ-ს შპს "საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის" სასარგებლოდ ძირითადი დავალიანების სახით 1 252 500 ლარის გადახდა დაეკისრა. აღნიშნული გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 15 აპრილის განჩინებით ძალაში დარჩა. ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში განსახილველად იმყოფება სესბ-ის განცხადება აღსრულების წესის განსაზღვრის შესახებ.

### სესბი - შპს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა"

დავის საგანი - საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2003 წლის 26 მარტის გადაწყვეტილებით სს "მადნეულის" სასარგებლოდ სესბ-თვის დაკისრებული 983 618 ლარის გადაკისრება შპს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემისათვის".

შედეგი - სასარჩელო განცხადება მომზადებულია და გადაგზავნილია ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში.

### სასამართლო დავები, რომელშიც სესბი მესამე პირად იყო ჩართული:

- სს "მადნეული" - შპს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა", სს "საქრუსენერგო", სსიპ "ენერგოგენერაცია";
- საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - შპს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა", შპს "ენგურჰესი";
- შპს "რუსთავმშენი-2000" - სს "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია";
- კოოპერატივი "კურზუჰესი" - სს "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია";
- სს "ვარციხეჰესების კასკადი" - შპს "ენგურჰესი";
- შპს "ჟინერი" - სემეკი;
- შპს "მცირე ენერგოკომპანია" - სემეკი.

### საგადასახადო დავები

2005 წელს საგადასახადო ორგანოებმა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 86-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, სესბ-ს სესბ-ის წევრი ორგანიზაციების - საჯარო სამართლის იურიდიული პირის "საერთაშორისო თანამშრომლობის რეგიონალური ცენტრის", შპს "აწჰესისა" და შპს "ქცია 94"-ის ბიუჯეტის წინაშე არსებული დავალიანების გადახდის მოთხოვნით "საგადასახადო მოთხოვნა" წარუდგინეს.

ხსენებული მუხლის თანახმად, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილია ან მესამე პირის მიერ აღიარებულია, რომ გადასახადის გადამხდელის ქონება ან ქონებრივი უფლებები რაიმე ფორმით მესამე პირის დროებით მფლობელობაშია, საგადასახადო ორგანოს, გადასახადის გადამხდელის თანხმობით, უფლება აქვს მესამე პირს საგადასახადო ორგანოს მიმართ გადასახადის გადამხდელის წინაშე აღებული და შეუსრულებელი ვალდებულების შესრულება მოსთხოვოს.

საგადასახადო კოდექსით დადგენილ ვადაში, სესბ-ის მიერ სამივე "საგადასახადო მოთხოვნაზე" წარდგენილ იქნა შესაგებელი იმ საფუძვლით, რომ გადასახადის გადამხდელების ქონების ან ქონებრივი უფლებების რაიმე ფორმით სესბ-ის დროებით მფლობელობაში არსებობის ფაქტი არ იყო დადგენილი არც სასამართლოს გადაწყვეტილებით და არც თავად სესბ-ის მიერ აღიარების გზით. ეს კი საგადასახადო კოდექსის 86-ე მუხლის სესბ-ის მიმართ გამოყენების შესაძლებლობას გამორიცხავდა.

შედეგად, სესბ-თვის წარდგენილი "საგადასახადო მოთხოვნები" თავად საგადასახადო ორგანოების მიერ გაუქმდა. არცერთ შემთხვევაში დავა სასამართლომდე არ მისულა.

### გაკოტრების საქმეები

2005 წელს იმ ენერგეტიკული საწარმოების მიმართ, რომლებიც რეაბილიტაციის რეჟიმით სარგებლობდნენ, გაკოტრების საქმის წარმოება გაიხსნა. ეს საწარმოებია: სს "აზოტი", სს "რუსთავის მეტალურგიული კომბინატი", სს "ტყიბულნახშირი" და სს "ჭიათურმანგანუმი".

"გაკოტრების საქმის წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, საწარმოს გადახდისუუნარობის შემთხვევაში, აგრეთვე, თუ სახეზეა ზედავალიანება ან მოსალოდნელია მისი გადახდისუუნარობა, სასამართლოსადმი გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის მოთხოვნით მიმართვის უფლება თავად მოვალეს ან კრედიტორს გააჩნია. ჩვენს მიერ განხილულ შემთხვევებში გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის ინიციატორი უმრავლეს შემთხვევაში საქართველოს ფინანსთა სამინისტროა, როგორც ენერგეტიკული ობიექტების ერთ-ერთი უმსხვილესი კრედიტორი საგადასახადო დავალიანების ნაწილში, მხოლოდ სს "რუსთავის მეტალურგიული კომბინატის" შემთხვევაში მოხდა საწარმოს რეაბილიტაციის შეწყვეტა და გაკოტრების საქმის წარმოების თავად საწარმოს გაკოტრების მმართველის მიერ გახსნა.

### სს "ჭიათურმანგანუმი"

სს "ჭიათურმანგანუმის" რეაბილიტაციისა და გაჯანსაღების 2002-2012 წლების პროგრამა 2001 წლის 28 დეკემბრის განჩინებით დამტკიცდა. თუმცა 2003 წლის 18 მარტის განჩინებით პირველი კალენდარული წლის რეაბილიტაციის გეგმის შესრულება არადამაკმაყოფილებლად ცნეს.

2005 წლის 13 იანვარს ჭიათურის რაიონულმა სასამართლომ კრედიტორის - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო ინსპექციის განცხადების საფუძველზე, საწარმოს რეაბილიტაცია შეწყვიტა და გაკოტრების საქმის წარმოება გახსნა. საწარმოს გაკოტრების საქმეში მოხმარებული ელექტროენერგიისათვის 28 252,48 ლარის ოდენობის დავალიანებაა შესული; საწარმოს გასხვისება ჯერ არ მომხდარა და იგი ელექტრობაზარზე ელექტროენერგიის შესყიდვას კვლავაც განაგრძობს.

### სს "აზოტი"

2005 წლის 6 ივნისს რუსთავის საქალაქო სასამართლომ, სს "აზოტის" კრედიტორის - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს განცხადების საფუძველზე, სს "აზოტის" რეაბილიტაცია შეწყვიტა და საწარმოს მიმართ გაკოტრების საქმე გახსნა. ამავე წლის 15 ივლისს რუსთავის საქალაქო სასამართლომ მოთხოვნათა შესამოწმებელ სხდომაზე გაკოტრების ცხრილში სესბ-ის დასაბუთებული მოთხოვნა 27 405 594,40 ლარის ოდენობით ასახა (დავალიანება 2005 წლის 1 ივნისის მდგომარეობით).

2005 წლის 21 ივლისს სს "აზოტის" გაკოტრების მმართველმა, კრედიტორთა კომიტეტის თანხმობით, სავაკოტრებო მასის რეალიზაცია მოახდინა, რომელიც შპს "ენერჯი ინვესტმა" შეისყიდა. სს "აზოტის" გაკოტრების საქმე ჯერ არ დასრულებულა.

### სს "რუსთავის მეტალურგიული კომბინატი"

2005 წლის 17 ივნისის განჩინებით რუსთავის საქალაქო სასამართლომ, რეაბილიტაციის მმართველის განცხადების საფუძველზე, სს "რუსთავის მეტალურგიული კომბინატის" რეაბილიტაცია შეწყვიტა და გაკოტრების საქმის წარმოება გახსნა. 2005 წლის 29 ივლისის მოთხოვნათა შესამოწმებელ სხდომაზე რუსთავის საქალაქო სასამართლომ გაკოტრების ცხრილში სესბ-ის დასაბუთებული მოთხოვნა 2 738 296,09 ლარის ოდენობით ასახა (დავალიანება 2005 წლის 1 ივნისის მდგომარეობით);

სს "რუსთავის მეტალურგიული კომბინატის" გაკოტრების მმართველის მიერ 2005 წლის 12 ოქტომბერს და 8 დეკემბერს ჩატარებულ აუქციონზე გაკოტრების მასაში შესული აქტივები შპს "ენერგია და ინდუსტრია კომპლექსმა" შეიძინა, რომელმაც, თავის მხრივ, შეძენილი ქონება უზუფრუქტის ფორმით თავისივე შვილობილ საწარმოს - სს "რუსთავის მეტალურგიულ ქარხანას" გადასცა. რაც შეეხება სს "რუსთავის მეტალურგიული კომბინატს", მისი გაკოტრების საქმის წარმოება ჯერ არ დასრულებულა.

### სს "კახეთის ენერგოდისტრიბუცია"

2005 წლის 29 ივლისის განჩინებით თელავის რაიონულმა სასამართლომ წარმოებაში მიიღო სს "კახეთის ენერგოდისტრიბუციის" კრედიტორის - თელავის საგადასახადო ინსპექციის გაკოტრების განცხადება. ამავე წლის 22 აგვისტოს განჩინებით გახსნილ იქნა გაკოტრების საქმის წარმოება. 2005 წლის 27 იანვარს თელავის რაიონულმა სასამართლომ მოთხოვნათა შესამოწმებელ სხდომაზე გაკოტრების ცხრილში სესბ-ის დასაბუთებული მოთხოვნა 17 768 313,02 ლარის ოდენობით ასახა (დავალიანება 2005 წლის 1 იანვრის მდგომარეობით); საწარმოს აქტივების რეალიზაცია ჯერ არ მომხდარა და იგი ელექტროენერგიის ელექტრობაზარზე შესყიდვას განაგრძობს.

### სს "ტყიბულნახშირი"

2002 წლის 1 ივლისს სს "ტყიბულნახშირის" წინააღმდეგ გაკოტრების განცხადებით ტყიბულის რაიონულ სასამართლოს საქართველოს გასამხედროებულ სამთო მაშველთა შტაბმა მიმართა. 2002-2003 წლებში სამი თვით გადავადდა საწარმოს მიმართ აღძრული გაკოტრების საქმის წარმოების გახსნა და რეაბილიტაციის პროგრამა დამტკიცდა.

2005 წლის 29 დეკემბრის განჩინებით ტყიბულის რაიონულმა სასამართლომ, კრედიტორის - ქუთაისის საგადასახადო ინსპექციის განცხადების საფუძველზე, საწარმოს რეაბილიტაცია შეწყვიტა და მის მიმართ გაკოტრების საქმე გახსნა. კრედიტორთა პირველი კრება 2006 წლის 6 თებერვალს ჩატარდა. სესბ-ის მიერ გაკოტრების სასამართლოსათვის წარდგენილია დასაბუთებული მოთხოვნა 3 653 687,36 ლარის ოდენობით (2006 წლის 12 იანვრის მდგომარეობით). საწარმოს აქტივები ჯერ არ გასხვისებულა და ის ელექტროენერგიის ელექტრობაზარზე შესყიდვას განაგრძობს.

### სს "ქიმბოჭკო"

სს "ქიმბოჭკოს" მიმართ გაკოტრების საქმის წარმოება რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2002 წლის 22 აგვისტოს განჩინებითა გახსნილი. ხსენებული საწარმოს დავალიანება ელექტრობაზარზე შესყიდული ელექტროენერგიისათვის 338 425,75 ლარს შეადგენს, ხოლო ყველა სხვა ენერგეტიკული საწარმო გაკოტრების რეჟიმში სასამართლოს გადაწყვეტილებით 2005 წელს გადავიდა.

24 საათი C

© გაზეთი 24 საათი

# სპორტი

თქვენი რეკლამა "სპორტში"
☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86

გამოცემის ოფიციალური პარტნიორი:
ატლანტი
უსაფრთხოების სამსახური

გერმანელებს ლუდი შემოელიათ



C2

ალბიონი რუნისთვის ლოცულობს



C3

ტარვერი მარცხისგან გათავისუფლდა



C4

## გერმანია პესოტოსთვის ლოცულობს

ჯანლუკა პესოტოს ჯანმრთელობის მდგომარეობა კვლავ რთულია. "იუვენტუსის" ყოფილი ფეხბურთელი და ახლანდელი სპორტული დირექტორი სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზეა. გუშინ გერმანიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა იურგენ კლინსმანმა განაცხადა, რომ მისი გუნდი ლოცულობს პესოტოსთვის.

"ჩვენ საკმაოდ ბევრს ვსაუბრობთ ამის შესახებ. ვფიქრობთ პესოტოზე და ვლოცულობთ მისთვის. იმედია, გამოჯაანმრთელდება," - აცხადებს კლინსმანი.

ბუნდესნაკრების მწვრნელს სხვა საფიქრალიც აქვს. დღეს მისი გუნდი მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხედფინალურ მატჩში არგენტინის ნაკრებს დაუპირისპირდება.

"ვალდებული ვართ მოვიგოთ. საკმარისია არგენტინასთან დავმარცხდეთ და ისევ დაიწყება საუბარი, ასე უნდა ითამაშოთ და ასე არაო. მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე მოსახლეობის მხოლოდ 10 პროცენტს სჯეროდა ჩვენი. განა ეს ნორმალურია? ტურნირზე ხომ ყველამ დაინახა, რა შეგვიძლია", - ამბობს კლინსმანი.

## იაკინტა ვერ ითამაშებს

იტალიის ნაკრების ფორვარდი ვინჩენცო იაკინტა ვერ შეძლებს თამაშს იტალიისა და უკრაინის ნაკრები გუნდების მეოთხედფინალურ შეხვედრაში. ფორვარდს იტალიის ნაკრების ვარჯიშზე კუნთი დაეჭიმა. "სკუადრა აძურას" ექიმების თქმით, მართალია, ტრავმა სერიოზული არ არის, მაგრამ იაკინტას მაინც მოუწევს მეოთხედფინალის გამოტოვება.

## ბეენჰაკერს პოლონეთის ნაკრები შესთავაზეს

პოლონეთის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელმა მიხაილ ლისტკევიჩმა განაცხადა, რომ ნაკრებში პაველ იანასის შემცვლელს ეძებს. მართალია, ჯერაც არ გადაწყვეტილა, დატოვებს თუ არა იანასი ნაკრებს, მაგრამ ამის დიდი ალბათობა არსებობს.

"თუ იანასმა წასვლა გადაწყვიტა, ჩვენ მის შემცვლელს ვიპოვით", - აცხადებს პოლონური ფეხბურთის მთავარი ჩინოვნიკი.

უკვე ცნობილია, რომ პოლონელებმა ლეო ბეენჰაკერს შესთავაზეს ნაკრების მწვრთნელობა.

## ზიდანმა არ ივარჯიშა

გუშინ ზინედინ ზიდანმა გამოტოვა საფრანგეთის ნაკრების მორიგი ვარჯიში. მიზეზი მსუბუქი ტრავმაა, რომელიც ზიზუმ სამშაბათს ვარჯიზე მიიღო. "ზიზუმ ჯერ კიდევ ესპანელებთან თამაშისას მიიღო მსუბუქი ტრავმა. სამშაბათს კი ეს ვარჯიშზე გამოჩნდა. ამიტომ ოთხშაბათს მას დასვენების საშუალება მივეცით. რაც შეეხება მეოთხედფინალს, ზიდანი აუცილებლად ითამაშებს", - აცხადებს საფრანგეთის ნაკრების ექიმი.

## კანავაროს წარმატების საიდუმლო

იტალიის ნაკრების კაპიტანმა ფაბიო კანავარომ ჟურნალისტებს წარმატებული თამაშის საიდუმლო გაუმჟღავნა.

"სექსი, როცა ის გჭირდება, მართლაც გეხმარება. აგრეთვე აუცილებელია ნორმალური კვება. ვცდილობ, ვჭამო ცოტა, მაგრამ გავსინჯო ყველაფერი, რასაც მოგვართმევენ. აგრეთვე აუცილებელია მკაცრი რეჟიმი. არ ვეწევი, არ ვსვამ, თუმცა, კიდევ ერთხელ გიმეორებთ: სექსზე უარს არ ვამბობ",- აცხადებს კანავარო.

## დომენეკმა შავკანიანები დაიცვა

საფრანგეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა დაიცვა თავისი გუნდის შავკანიანი ფეხბურთელები ჟან-მარი ლე პენის თავდასხმებისგან. დომენეკი გამოესარჩლა ფაბიენ ბარტეზსაც, რომელიც, ლე პენის თქმით, საფრანგეთის ეროვნულ ჰიმნს არ მღერს.

"სჯობს თვალი გაახილოს და სხვა გუნდებს შეხედოს. საფრანგეთის ნაკრების ფეხბურთელები ყველაზე აქტიურად მღერიან ჰიმნს. ლე პენმა უნდა შეწყვიტოს ასეთი საუბარი. მაგალითად, არგენტინის ნაკრების ფეხბურთელები სულაც არ მღერიან. ჩვენი ფეხბურთელები კი ამაყობენ, რომ ფრანგები არიან", - ამბობს დომენეკი.

## დუიკოვიჩი განის ნაკრებს ტოვებს

განის ნაკრების მთავარი მწვრთნელი რატომირ დუიკოვიჩი თანამდებობის დატოვებას აპირებს. "განაში დაბრუნებას არ ვაპირებ, მიუხედავად იმისა, რომ ამ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციას ჩემთან ურთიერთობის გაგრძელება სურს. ვფიქრობ, აფრიკული გამოცდილება უკვე მივიღე. ახლა კარიერაში წინ უნდა წავიწიო. მინდა ევროპაში გავაგრძელო მუშაობა", - ამბობს დუიკოვიჩი.

## რუნიმ მარადონას ახალგაზრდობა გაახსენა

მსოფლიო ფეხბურთის არგენტინელმა ლეგენდამ დიეგო არმანდო მარადონამ უეინ რუნი ახალგაზრდა მარადონას შეადარა.

"უდავოა, რომ რუნი მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია. მას რონალდინიოს, რიკელმესა და მესის გვერდით დავაყენებდი. მას რუნის ნაცვლად რუნინიო რომ ერქვას და ორმაგი მოქალაქეობა ჰქონდეს, დარწმუნებული ვარ, არგენტინის ნაკრებშიც მოხვდებოდა. რუნი ფენომენალური ფეხბურთელია და ყველა წინაპირობა აქვს იმისა, რომ უდიდეს ვარსკვლავად იქცეს. უეინი მე საკუთარ თავს მახსენებს ახალგაზრდობაში," - ამბობს მარადონა.

# ირაკლი ლაბაძე ავტორიტეტებს არ ცნობს



ლაბაძემ ტურნირის მე-16 ნომერი გასტონ გაუდიო დაამარცხა.

უიმბლდონის პირველი სერიოზული სენსაცია ქართველ ჩოგბურთელს ირაკლი ლაბაძეს ეკუთვნის. გუშინ ჩვენებურმა მსოფლიო რეიტინგის მე-12 ჩოგანი, უიმბლდონის ტურნირზე მე-16 ნომრად განთესილი არგენტინელი გასტონ გაუდიო დაამარცხა.

ამთავითვე აღვნიშნავთ, რომ არგენტინელი ბალახის კორტზე სუსტად თამაშობს. უიმბლდონის ტურნირზე მეორე წრეში ის მხოლოდ 2002 წელს გავიდა. მიუხედავად ამისა, ლაბაძის გამარჯვება მაინც სენსაციად უნდა მივიჩნიოთ. ქართველი ჩოგბურთელი მხოლოდ საკვალიფიკაციო ეტაპის შემდეგ მოხვდა ძირითად ბადეში და ალბათ ვერავინ იფიქრებდა, რომ მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო ჩოგბურთელს დაამარცხებდა, ჩოგბურთელს, რომელსაც კარიერაში საფრანგეთის ღია პირველობაც კი აქვს მოგებული.

ვერ ვიტყვით, რომ მატჩი დაძაბული გამოდგა. გაუდიოს, ფაქტობრივად, წინააღმდეგობა არ გაუწევია. ლაბაძის უპირატესობა პირველივე სეტში გამოიკვეთა. ქართველმა ჩოგბურთელმა, რომელსაც თავის დროზე უიმბლდონის ახალგაზრდული ტურნირის ფინალი აქვს ნათამაშევი, არგენტინელი მეტოქე პირველ სეტში ანგარიშით 6:4 დაამარცხა. მეორე სეტი კიდევ უფრო იოლი გამოდგა - მეტოქემ მხოლოდ ორი გეიმის მოგება მოახერხა საკუთარ მოწოდებაზე და ირაკლიმ 6:2 იმარჯვა.

გაუდიომ მესამე სეტში სცადა წინააღმდეგობის გაწევა. ექვსი გეიმის შემდეგ ანგარიში 3:3 იყო, თუმცა ამას არგენტინელისთვის მაინც არაფერი მოუტანია. ლაბაძემ დარჩენილი სამი გეიმი მოიგო და მთლიანად პარტიაც.

ამრიგად, ირაკლიმ უიმბლდონის ტურნირის მესამე წრეში გააღწია, სადაც მისი მეტოქე ამერიკელი მარდი ფიში იქნება. 26 წლის ფიში ბალახის კორტებზე კარგად თამაშობს და პირველ ორ წრეში მეტოქეებთან პრობლემები არ შეჰქმნია. მას სამჯერ უთამაშია უიმბლდონის ტურნირზე და საუკეთესო შედეგი მესამე წრეში გასვლაა. საჩოგბურთო რეიტინგში ამერიკელი 86-ე ადგილზეა.

მართალია, რეიტინგით და უკანასკნელი მაჩვენებლებითაც ლაბაძე ამერიკელს ჩამორჩება, მაგრამ მას შემდეგ, რაც ირაკლიმ არგენტინელი ვარსკვლავის ძლევა მოახერხა, ცხადია, იმედი მოგვეცა: ვინ იცის, იქნებ ქართველმა ჩოგბურთელმა კიდევ ერთხელ გაგვახაროს და მესამე წრის ბარიერიც გადალახოს.

გაგრძელება A2 გვერდზე

## გიორგი ნემსაძე: "მსოფლიო თასი ევროპაში დარჩება"

მერვედფინალურ მატჩებში მოულოდნელი არაფერი მომხდარა. მოიგეს იმ გუნდებმა, რომელთა წარმატებაც იოლად პროგნოზირებადი, ამასთან, კანონზომიერი იყო. მეოთხედფინალურ ეტაპზე მოხვდნენ სწორედ ის ნაკრებები, რომლებიც მსოფლიო ჩემპიონატის სტარტამდე ფავორიტებად ითვლებოდნენ. ზოგიერთმა სპეციალისტმა და გულშემატკივარმა ალოგიკურად მიიჩნია ესპანეთის ნაკრების გამოთიშვა მერვედფინალურ სტადიაზე, თუმცა, პირადად მე ალოგიკურს ვერაფერს ვხედავ. პირიქით, მიუხედავად იმისა, რომ ჩემი სიმპათიები უფრო ესპანელთა მხარეს იყო, პირენეელებთან ფრანგების წარმატება სავსებით ლოგიკურად მიმაჩნია. ჯერ ერთი, თავად ესპანეთის ნაკრებია განსაკუთრებული მოვლენა მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში. ამ ქვეყანას ყოველთვის სერიოზული გუნდი გამოჰყავს მსოფლიო ფორუმზე, მაგრამ ყოველთვის თან სდევს წარუმატებლობა, რაც ხან მოულოდნელად სუსტი თამაშით, ხან უიღბლობით, ხანაც მსაჯთა შეცდომებით აიხსნება. თუ წინა მსოფლიო ჩემპიონატზე მსაჯებმა ყველაფერი გააკეთეს ესპანელთა დასაჩაგრავად და მერვედფინალში კორეასთან ორი აშკარა გოლი არ ჩაუთვალეს, ამჯერად ფრანგებთან მარცხს საკუთარი თავისა და მწვრთნელის გარდა ვერავის დააბრალებენ. არაგონესმა უცნაური გადაწყვეტილება მიიღო, როცა სასტარტო შემადგენლობაში სამი გამოკვეთილი ფორვარდი გამოიყვანა. ასეთი ავანტიურა მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო გუნდის წინააღმდეგ თამაშში არ გაამართლებდა, რაც პირველივე ტაიმში გამოჩნდა. მაგრამ ამაზე დიდი შეცდომა მეორე ტაიმის შუაში სამიდან ორი თავდამსხმელის თამაშიდან "მოხსნა" იყო. შედეგად, ფრანგების უკანა და შუა ხაზს საქმე გაუიოლდა და თავდასხმაში მეტი დროის გატარების საშუალება მიეცა. თუ პირველ ტაიმში ესპანეთი საგრძნობ უპირატესობას ფლობდა, მეორე ნახევარში ვითარება რადიკალურად შეიცვალა, რაც, საბოლოოდ, კასილიასის კარში გატანილ ორ გოლში გამოისახა. როგორც ყველა წინა მსოფლიო ჩემპიონატზე, ესპანელებმა ამჯერადაც უსახელოდ დატოვეს ტურნირი. თან, შეგახსენებთ, რომ ფეხბურთში არსებობს ცნება "უხერხული მეტოქე", რაც უმეტეს შემთხვევაში მართლდება. საფრანგეთი ესპანეთისთვის სწორედ ასეთი უხერხული მეტოქეა. თუ არ ჩავთვლით ამხანაგურ თამაშებს, ეს გუნდები ოფიციალურ მატჩებში, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებზე ექვსჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. ხუთჯერ ფრანგებმა გაიმარჯვეს და ერთი მატჩი დასრულდა ფრედ. როგორც ხედავთ, ტრადიცია გაგრძელდა.

მინდა აღვნიშნო საინტერესო და ქართველებისთვის საყურადღებო ფაქტი. მსოფლიო ჩემპიონატის რვა საუკეთესო გუნდში მოხვდა და მეოთხედფინალში ითამაშებს ის სამი ნაკრები, რომლებთან დაპირისპირებაც ამ შემოდგომაზე საქართველოს ეროვნულ გუნდს უწევს. ქვეჯგუფში ჩვენი სამივე მეტოქე - იტალია, საფრანგეთი და უკრაინა მეოთხედფინალურ ეტაპზე თამაშობენ. ეს კიდევ ერთხელ ამტკიცებს მოსაზრებას, რომ ევროპის ჩემპიონატის მეორე საკვალიფიკაციო ქვეჯგუფი, რომელშიც ჩვენ გვიწევს ასპარეზობა, თავისი შემადგენლობით ყველაზე ძლიერია. შესაძლოა, ამ გუნდთაგან ერთ-ერთმა უმაღლესი ტიტული მოიპოვოს და მაშინ თბილისში მსოფლიო ჩემპიონი გვესტუმრება.

ვალენტინ ივანოვის საქციელზე ბევრი ითქვა და დაიწერა. ამიტომ დიდ დროს აღარ დავუთმობ. ვიტყვი მხოლოდ, რომ ასეთი მსაჯობა მსოფლიო ჩემპიონატს ჩრდილს აყენებს და ფეხბურთის ისტორიაში შავ ლაქად რჩება. შეგახსენებთ 1966 წელს და ფინალში ტოფიკ ბახრამოვის საქციელს. მიუხედავად იმისა, რომ, შესაძლოა, ბახრამოვი არც შემცდარა, მისი გადაწყვეტილება დღესაც დავისა და განსჯის საგანია. დარწმუნებული ვარ, ვალენტინ ივანოვის "გმირობასაც" ანალოგიური ბედი ელის.

ძალზე საინტერესო მეოთხედფინალური წყვილები მივიღეთ, რომელთაგან სამში პროგნოზის გაკეთება ძალზე რთულია. მხოლოდ იტალია-უკრაინის მატჩი ჩანს ერთი შეხედვით ისეთად, რომელშიც გამარჯვებულის გამოცნობა ძნელი არ არის. ერთი მხრივ, სამგზის მსოფლიო ჩემპიონი და ფავორიტი, მეორე მხრივ, მსოფლიო ჩემპიონატის დებიუტანტი და ჯგუფურ ტურნირში არცთუ დამაჯერებლად გამოსული უკრაინა. თუმცა, არც იტალიაა ისეთ ფორმაში, როგორსაც ამ გუნდისგან მოელიან და არც უკრაინაა ისეთი გუნდი, იოლად რომ ნებდებოდეს ვინმეს. შეგახსენებთ, რომ მუნდიალის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე ამ გუნდებმა იტალიაში ერთმანეთთან ამხანაგური მატჩი ითამაშეს, რომელიც 0:0 დასრულდა. თან, იმ შეხვედრაში უკრაინას შევჩენკო არ ჰყავდა.

ძალიან საინტერესო იქნება საფრანგეთისა და ბრაზილიის მეოთხედფინალური მატჩი. ტოტალიზატორები და ბევრი სპეციალისტიც ბრაზილიის ნაკრებს უწინასწარმეტყველებენ გამარჯვებას, მაგრამ, ვფიქრობ, საფრანგეთი ნამდვილად არ არის ჩამოსაწერი. ეს გუნდი, სულ მცირე, თანაბრად ეთამაშება პენტამპეონებს. შეგახსენებთ, რომ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ სტადიაზე ამ გუნდების ბოლო ორი მატჩი ფრანგების გამარჯვებით დასრულდა. 1986 წელს მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხედფინალში ფრანგებმა პენალტების სერიაში სძლიეს ბრაზილიას, 1998 წლის ფინალში კი 3:0 მოუგეს და პირველად გახდნენ მსოფლიო ჩემპიონები, რაზე დაყრდნობითაც შეიძლება ითქვას, რომ საფრანგეთი ბრაზილიისთვის საკმაოდ უხერხული მეტოქეა.

ძნელი საპროგნოზოა გერმანია-არგენტინის მატჩიც. ვფიქრობ, უპირატესობა გერმანელებს აქვთ, რომლებიც, გარდა იმისა, რომ საკუთარ კედლებში თამაშობენ, დამაჯერებლადაც გამოიყურებიან და მატჩიდან მატჩამდე აუმჯობესებენ თამაშის ხარისხს.

საერთოდ, ვფიქრობ, ტიტული და მსოფლიო თასი ევროპაში დარჩება. მეოთხედფინალში ექვსი ევროპული და ორი სამხრეთამერიკული გუნდია გასული. ამ შემთხვევაში არითმეტიკა ბევრს არაფერს ნიშნავს, მაგრამ ისიც სათქმელია, რომ 1958 წლის მერე ვერც ერთმა სამხრეთამერიკულმა გუნდმა ვერ მოახერხა ევროპაში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე გამარჯვება. მგონია, რომ ეს ტრადიცია არც ამჯერად დაირღვევა.

## მოურინიოს არაფერი უთქვამს

ლონდონის "ჩელსის" მთავარმა მწვრთნელმა ჟოზე მოურინიომ განაცხადა, რომ არაფერი უთქვამს პორტუგალიისა და ინგლისის ნაკრები გუნდების მომავალ თამაშზე. ორიოდე დღის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ მოურინიო არ ურჩევს ერიქსონს ინგლის-პორტუგალიის მატჩში პიტერ კრაუჩის დაყენებას.

გუშინ კი პორტუგალიელმა სპეციალისტმა ყველაფერი უარყო და აღნიშნა, რომ ამ თამაშთან დაკავშირებით კომენტარი არ გაუკეთებია და არც აპირებს.

# მამათა და შვილთა ომი



აგასი-ნადალის დაპირისპირების მოლოდინში

### ვაჟები

| | |
|---|---|
| რაფაელ ნადალი - რობერტ კენდრიკი | 6:7,3:6,7:6,7:5,6:4 |
| ანდრე აგასი - ანდრეას სეპი | 6:4,7:6,6:4 |
| ანდრეი პაველი - მარკოს ბაგდატისი | 0:3 (პაველმა თამაში შეწყვიტა) |
| ფაბრის სანტორო - ტომას ბერდიჩი | 4:6,7:6,6:2,6:7,4:6 |
| მელ ვან გემერდონი - მარდი ფიში | 2:6,0:6,1:6 |
| იონას ბიორკმანი - ლუკაშ დლოჩი | 6:3,6:4,4:6,1:6,6:4 |
| გასტონ გაუდიო - ირაკლი ლაბაძე | 4:6,2:6,3:6 |
| სტეფანო გალვანი - დანიელე ბრაჩალი | 3:6,7:6,3:6,4:6 |
| სებასტიან გროჟანი - ჯემი დელგადო | 6:3,3:6,6:2,6:3 |
| ფილიპ კოლჩბერგერი - ალეხანდრო ფელა | 6:4,6:4,3:6,7:6 |
| იარკო ნეიმინენი - მარტინ ლი | 6:4,6:0,6:3 |

### ქალები

| | |
|---|---|
| ლიზა რეიმონდი - ვენუს უილიამსი | 7:6,5:7,2:6 |
| მარია შარაპოვა - ეშლი ჰარკლეროუდი | 6:2,6:2 |
| დანიელა ჰანტუჩოვა - ჯემა ჯეკსონი | 6:3,4:6,7:5 |
| ლაურა გრენვილი - ფლავია პენეტა | 2:6,1:6 |
| ანასტასია მისკინა - მარტინა მიულერი | 6:2,6:1 |
| ელენა იანკოვიჩი - ვანია კინგი | 6:2,4:6,6:4 |
| მელინდა გჟინკი - ემი ფრეიზერი | 2:6,3:6 |
| აგნეშკა რადვანსკა - სვეტანა პირონკოვა | 7:5,7:6 |
| მელანი სუტი - შეინ პერი | 6:7,2:6 |

პირველი გვერდიდან

გრძელდება უიმბლდონის ტურნირი. თუ არ ჩავთვლით ლაბაძის გამარჯვებას გასტონ გაუდიოსთან, მეორე წრემაც სენსაციების გარეშე ჩაიარა. საერთოდ, პირველი ორი ეტაპი განსაკუთრებული ინტერესით არ გამოირჩეოდა, რასაც ვერ ვიტყვით გათამაშების მესამე ზრეზე.

ამჯერად უაღრესად საინტერესო დაპირისპირების მოწმენი უნდა გავხდეთ. შეიძლება ითქვას, რომ უიმბლდონზე მამათა და შვილთა ომი გაიმართება. მესამე წრეში უკვე ლეგენდად ქცეული 36 წლის ამერიკელი ანდრე აგასი და ჩოგბურთის ამომავალი ვარსკვლავი რაფაელ ნადალი დაუპირისპირდებიან ერთმანეთს.

მოგეხსენებათ, აგასი უკანასკნელად მონაწილეობს უიმბლდონზე და, ცხადია, მაჟორულ ნოტზე სურს კარიერის დასრულება. რაც შეეხება ნადალს, ესპანელ ვუნდერკინდს უნდა დაამტკიცოს, რომ, თანამემამულეებისგან განსხვავებით, უნივერსალია და ბალახის კორტზეც შეუძლია წარმატების მიღწევა. მოკლედ, მესამე წრეში საინტერესო დუელის მოწმენი უნდა გავხდეთ.

ურთიერთდაპირისპირებამდე აგასიმ და ნადალმა სხვადასხვა გზა განვლეს. ანდრემ იოლად შეძლო ანდრეას სეპის დამარცხება სამ სეტში. ნადალმა გამარჯვების მოსაპოვებლად დიდი ომი გადაიტანა. ის რობერტ კენდრიკს ეთამაშებოდა. პირველი ორი სეტი კენდრიკმა მოიგო და უიმბლდონზე სენსაციის სუნი დატრიალდა, მაგრამ ესპანელმა მოახერხა ძალების მობილიზება და შემდეგად სამი სეტის მოგება.

სხვა მხრივ, როგორც გითხარით, განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. ფავორიტები იოლად იგებენ და წინ მიიწევენ. აღსანიშნავია მარია შარაპოვას საკმაოდ დამაჯერებელი თამაში. რუსმა ლამაზმანმა მეორე წრის შეხვედრაც იოლად მოიგო და ფავორიტის სტატუსი კიდევ ერთხელ გაამართლა. შარაპოვასადმი ყურადღება იმითაც არის განპირობებული, რომ მარიას ამ სეზონში ტრავმები აწუხებდა და ბევრს არ სჯეროდა, რომ ის უიმბლდონზე წარმატებით ითამაშებს.

# გერმანელებს ლუდი შემოელიათ

ვასილ უდუმაშვილი

რა არის გერმანია? რიგითი ადამიანისთვის ეს ქვეყანა, პირველ რიგში, ლუდთან ასოცირდება. გერმანული ლუდი განთქმულია მთელ მსოფლიოში, გერმანიაში ტურისტები სპეციალურად ჩადიან ლუდის ტურებზე. სწორედ ამ ქვეყანაში ტარდება ცნობილი ლუდის ფესტივალი.

რა არის ფეხბურთი? ფეხბურთი არის თამაში, რომელიც აჯადოებმს მილიონობით ადამიანს მთელ მსოფლიოში. გავაერთიანოთ ლუდი და გერმანია და მივიღებთ იმას, რასაც აგერ უკვე სამი კვირაა თვალს ვადევნებთ ტელეეკრანზე - 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში.

თუმცა, როგორც საქმეში ჩახედული ხალხი ამტკიცებს, შესაძლოა, ოთხწლეულის უმნიშვნელოვანეს სპორტულ ღონისძიებას სულ ცოტა ხანში უმნიშვნელოვანესი ატრიბუტი მოაკლდეს. კერძოდ, ლუდი. ამ დანაკარგის მთავარი მიზეზი კი იქნებიან ინგლისელი ქომაგები, რომლებიც მრავლად არიან ახლა გერმანიაში და ცხელ ზაფხულში წყურვილს მხოლოდ გერმანული ლუდით იკლავენ. ინგლისელები იმდენს სვამენ, რომ გერმანული ლუდხანების მრავლისმნახველი ბარმენებიც კი შოკში არიან.

როგორც ლუდის მწარმოებლებმა დაითვალეს, მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში მარტო ქალაქ ნიურნბერგში ინგლისელებმა 672 ათასი ლიტრი ლუდი დალიეს. კიოლნში კი ბარმენებმა საზოგადოებას ერთი სამწუხარო ამბავიც ამცნეს: ლუდის მარაგი მთლიანად ამოწურულია, ჩამოსასხმელი ლუდი გულშემატკივრებმა თურმე ადგილზევე დალიეს. ცხადია, საუბარია მხოლოდ გერმანული წარმოების ლუდზე.



ლუდი ფანების საყვარელი სასმელია.

შტუტგარტელმა ლუდის მწარმოებლებმა არნახული მოგება ნახეს ინგლის-ეკვადორის მატჩის შემდეგ. გახარებულმა ინგლისელმა ფანებმა ადგილობრივი ლუდხანების ოკუპაცია მოახდინეს და ერთ საღამოს ლუდის მთელი მარაგი დაცალეს. ახლა შტუტგარტში ლუდის ახალ პარტიას ელიან. თანაც ამ სასმელზე ფასიც გაიზარდა - ბიზნესის კანონია: მოთხოვნილება განსაზღვრავს ფასს. ბარმენები ზოგჯერ საკუთარ თვალებსაც არ უჯერებენ. მიაჩნიათ, რომ ადამიანს ამდენის დალევა არ შეუძლია.

დორტმუნდში კი, სადაც ინგლის-პორტუგალიის მეოთხედფინალური მატჩი უნდა გაიმართოს, ინგლისელების მოზღვავებას მხოლოდ ახლა ელიან. ცნობილმა დორტმუნდულმა ლუდის მწარმოებელმა კომპანია DAB-მა მთელი ძალები დაძაბა, რომ ინგლის-პორტუგალიის მატჩისთვის ქალაქში ლუდის საკმარისი რაოდენობა იყოს.

ლუდის სიყვარულით მხოლოდ რიგითი ინგლისელი ქომაგები როდი გამოირჩევიან. გერმანულ ბარებში ხშირად ხედავენ ინგლისის ნაკრების ფეხბურთელთა ასევე ცნობილ მეუღლეებს, რომლებიც რიგით ფანებზე არანაკლები სიხარულით აღნიშნავენ საყვარელი გუნდის გამარჯვებას.

# ბლატერი ჩემპიონატით კმაყოფილია

გასამართი დარჩა 8 მატჩი და მსოფლიო ჩემპიონატიც დასრულდება. მეოთხედფინალური ბატალიების წინ ფიფას პრეზიდენტი ზეპ ბლატერი ჟურნალისტებს შეხვდა და მათ სამუნდიალო შთაბეჭდილებები გაუზიარა.

**- ახლა, როცა მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრებას ბევრი აღარ უკლია, როგორ შეაფასებდა ფიფას პრეზიდენტი ტურნირს?**

- ისევე როგორც წინა ჩემპიონატებისას, ამჯერადაც ფეხბურთმა მთელი მსოფლიო მოიცვა. მერვედფინალებს ავსტრალიასა და განაში ადევნებდნენ თვალყურს, ისევე როგორც ოთხი წლის წინ - დაკარსა და სეულში. მხოლოდ ფეხბურთს შეუძლია ასეთი ემოციური ფონის შექმნა. ფეხბურთი ყველას უყვარს და მსოფლიო ჩემპიონატს მთელი მსოფლიო ადევნებს თვალყურს.

**- ორგანიზატორები მომზადებული შეხვდნენ ტურნირს. ეს თქვენთვის მოულოდნელი იყო?**

- არა. მშვენივრად ვიცოდი, რომ გერმანიაში უმაღლესი დონის ჩემპიონატი ჩატარდებოდა. გერმანია საფეხბურთო ქვეყანაა და აქაურებმა ბრწყინვალედ იციან, რა არის საჭირო ტურნირის ნორმალურად ჩატარებისთვის. საორგანიზაციო მხარე უმაღლეს დონეზეა მოგვარებული. ფაქტობრივად, მსოფლიო ჩემპიონატის ორგანიზატორებს დიდი სურვილის შემთხვევაშიც კი ვერ უპოვით წუნს. განსაკურთებით მინდა აღვნიშნო ერთი დეტალი. გერმანიას 11 მილიონამდე ფანი ეწვია, არსებობდა საფრთხე, რომ ქუჩებში გაუგებრობები მოხდებოდა, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონატზე უაღრესად მეგობრული ატმოსფერო სუფევს, რაც ორგანიზატორებთან ერთად ფიფას დამსახურებაცაა.

**- მოდით, ფეხბურთზე ვისაუბროთ. ტურნირის დასრულებას რვა მატჩი აკლია. მსოფლიო ჩემპიონატის წმინდა საფეხბურთო დონეს როგორ შეაფასებთ?**

- პირველ რიგში უნდა ვთქვა, რომ ჩვენ ძალიან კარგ ფეხბურთს ვუყურებთ. გაიზარდა ტემპი, ფეხბურთელები საოცრად სწრაფად გადაადგილდებიან მინდორზე და ეს სანახაობრივ მხარეს ზრდის. ტურნირის პირველ ეტაპზე რამდენიმე [illegible] მატჩი ვიხილეთ. მე, მაგალითად, [illegible] მატჩი მომეწონა. [illegible] ჩეხეთის [illegible] გუნდები [illegible] პირველი ეტაპის [illegible] ტურნირს, [illegible] შთაბეჭდილება დატოვეს. მერვედფინალებში კი ძალიან მომეწონა არგენტინა-მექსიკის შეხვედრა. [illegible] და-პირისპირება კი საერთოდ ცალკე თემაა. [illegible], რომელიც, [illegible] გააფუჭა.

**- [illegible] აფრიკულ გუნდებს აშკარად გაუჭირდათ. მერვედფინალში მხოლოდ განის ნაკრებმა გააღწია.**

- კიდევ ერთხელ გავიმეორებ: კოტ-დ'ივუარის ნაკრები ძალიან მომეწონა. ამ გუნდს, უბრალოდ, არ გაუმართლა. მიმაჩნია, რომ ის ნებისმიერი სხვა ჯგუფიდან შეძლებდა შემდეგ ეტაპზე გასვლას. არც ტუნისელებს უთამაშიათ ურიგოდ. მთლიანობაში აფრიკული გუნდები კარგად გამოიყურებოდნენ. ასევე ცალკე მინდა აღვნიშნო აფრიკელი მეკარეები. მაგალითად, განელთა მეკარე რიჩარდ კინგსტონი ტურნირის ერთ-ერთ საუკეთესო მეკარედ მიმაჩნია.

**- აფრიკელების მსგავსად, არც აზიელებს გამოუჩენიათ თავი. არადა, ოთხი წლის წინ კორეა ნახევარფინალში გავიდა, იაპონიამ კი მერვედფინალში ითამაშა.**

- ნუ დაგავიწყდებათ, რომ ოთხი წლის წინ ტურნირი სწორედ კორეა-იაპონიაში გაიმართა და მაშინ მასპინძლის ფაქტორმაც იმოქმედა. ახლა კი ტურნირს გერმანია მასპინძლობს და, შესაბამისად, ევროპელები თამაშობენ უკეთ.

**- უკვე არაერთი მატჩი ვნახეთ და უნდა ვთქვათ, რომ გარკვეული პრობლემები მაინც არის.**

- ვხვდები, რაზეც საუბრობთ. მსოფლიო ჩემპიონატზე საუკეთესო გუნდები თამაშობენ და მსაჯობაც საუკეთესო უნდა იყოს. პრობლემები მეც შევნიშნე, თუმცა საგანგაშოს ვერაფერს ვხედავ.

**- კვლავაც რჩებით იმ აზრზე, რომ ფეხბურთში ვიდეორეფერის გამოყენება საჭირო არ არის?**

- ამაზე ჩემპიონატის დასრულების შემდეგ ვისაუბროთ. ერთს კი გეტყვით: მსაჯიც ადამიანია და შეიძლება ცდებოდეს. ვიდეორეფერის დამკვიდრება კი მაინც არასწორად მიმაჩნია.

**- მსოფლიო ჩემპიონატს რვა გუნდი შემორჩა. ბრაზილია, გერმანია, არგენტინა, ინგლისი, უკრაინა, იტალია, პორტუგალია და საფრანგეთი. ფავორიტად რომელი მიგაჩნიათ?**

- ფეხბურთში ყველაფერია შესაძლებელი. მოუთმენლად ველი არგენტინა-გერმანიის შეხვედრას. ვფიქრობ, ეს ტურნირის ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი იქნება.



ფიფას პრეზიდენტი ზეპ ბლატერი.

## ინფოთეკა

### "რეალი" ფაბრეგასით დაინტერესდა

მადრიდის "რეალის" პრეზიდენტობის კანდიდატის რაიმონ კალდერონის განცხადებით, რამდენიმე დღის წინ მოლაპარაკებები გამართა ლონდონის "არსენალის" ხელმძღვანელობასთან ესპანელი ნახევარმცველის სესკ ფაბრეგასის თაობაზე. "საქმე გაჩარხულია", - განაცხადა პრესკონფერენციაზე "სამეფო გუნდის" პრეზიდენტობის კანდიდატმა. "საბოლოო გადაწყვეტილებას "არსენალთან" ჯერ ვერ მივაღწევთ, რადგან "რეალის" ხელმძღვანელობას ოფიციალურად არ წარმოვადგენთ. თუ არჩევნებს მოვიგებთ, ფაბრეგასის ტრანსფერი უდავოდ განხორციელდება", - დაამატა "რეალის" სპორტული დირექტორობის კანდიდატმა პრედრაგ მიატოვიჩმა.

### "იუვენტუსს" ახალი ადმინისტრატორი ჰყავს

ტურინის "იუვენტუსის" ხელმძღვანელთა განცხადებით, გუნდს ახალი ადმინისტრატორი, "როლან გაროსის" დირექტორი ჟან-კლოდ ბლანკი ეყოლება. ამ თანამდებობაზე ფრანგმა კარლო სანტ`ალბიანო შეცვალა. "იუვენტუსს" ახალი თავმჯდომარეც ეყოლება - ფირმა "რინასკანტეს" ყოფილი ადმინისტრატორი ჯოვანი კობოლი ჯილია.

### ჟიული "ბარსელონას" ერთგულია

ესპანურ პრესაში გავრცელებული ინფორმაციით, ლუდოვიკ ჟიული, რომელსაც ბოლო დროს ინგლისურ "ლივერპულს" უკავშირებდნენ, "ბარსელონასთან" მოქმედ კონტრაქტს გაახანგრძლივებს. მთელი სეზონის განმავლობაში ფრანგი ფეხბურთელი კატალონიური კლუბის ძირითადი მოთამაშე იყო, თუმცა სეზონის ბოლოს ჟიულის განცხადებით, მან რამდენიმე ევროპული კლუბისგან, მათ შორის "ლივერპულისგანაც", მიიღო მიწვევა. მხარეები კონტრაქტს ივლისის შუა რიცხვებში განაახლებენ. შვებულებაში მყოფი ჟიული ავსტრალიიდან ესპანეთში ჩავა.

### კეირუშს რონალდუს დაყოლიება დაევალა

ინგლისური "მანჩესტერ იუნაიტედის" მეორე მწვრთნელს, პორტუგალიელ კარლუშ კეირუშს თანამემამულე, 21 წლის ნახევარმცველის კრიშტიანუ რონალდუს "მანჩესტერში" დარჩენაზე დაყოლიება დაევალა. დავალება კეირუშმა მას შემდეგ მიიღო, რაც ბრიტანულ პრესაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ რონალდუმ "მანჩესტერიდან" "რეალში" გადასვლა გადაწყვიტა.

### პლატინის იტალიელები მოსწონს

ლეგენდარულ ფრანგ ფეხბურთელს მიშელ პლატინის მიაჩნია, რომ იტალიის ნაკრებს ამ მსოფლიო ჩემპიონატზე საუკეთესო დაცვა ჰყავს.

"განასთან მატჩში ძალიან მომეწონა იტალიელთა დაცვის თამაში. ბუფონისა და კანავაროს თამაშს კი სენსაციურს ვუწოდებდი. რაც შეეხება ფავორიტებს, ვფიქრობ, მსოფლიო ჩემპიონი გახდება ბრაზილია-საფრანგეთის ან გერმანია-არგენტინის წყვილის გამარჯვებული", - აცხადებს პლატინი.

### პარეირა მეტს ელის

ბრაზილიის ნაკრების ლიდერის რონალდინიოსგან გულშემატკივარი უფრო მეტს ელის, ვიდრე ის ჯერჯერობით აკეთებს. ასეთივე განწყობა აქვს ბრაზილიელთა მთავარ მწვრთნელს კარლოს ალბერტო პარეირას.

"რონალდინიო მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია. ჯერჯერობით მას თავისი შესაძლებლობის მაქსიმუმი არ უჩვენებია. იმედია, დარჩენილ მატჩებში ბოლომდე დაიხარჯება და ყველა ნახავს, თუ როგორია ნამდვილი რონალდინიო", - აცხადებს პარეირა.

### სკოლარი პორტუგალიაში რჩება

პორტუგალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ჟილბერტო მადაილმა განაცხადა, რომ ლუიშ ფელიპე სკოლარი მუნდიალის შემდეგაც დარჩება პორტუგალიის ნაკრებში: "თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ სკოლარი ჩვენთან ახალ კონტრაქტს გააფორმებს. ვიფქრობ, მსოფლიო ჩემპიონატმა ყველა კითხვას გასცა პასუხი. სკოლარის გაშვება ჩვენი მხრიდან უდიდესი შეცდომა იქნებოდა".

## ინფოთეკა

### მაისურებზე მოთხოვნილება გაიზარდა

მსოფლიო ჩემპიონატი გარშემო შექმნილმა აჟიოტაჟმა გერმანიის ნაკრების მაისურების მწარმოებელი კომპანიისთვის კარგი შედეგი გამოიღო. უკვე გაყიდულია 1,5 მილიონი მაისური. "შეკვეთები მუდმივად იზრდება, წარმოება უკვე გავზარდეთ", - განაცხადა კომპანია "ადიდასის" წარმომადგენელმა. აღსანიშნავია, რომ მუნდიალის დაწყებამდე კომპანია მილიონი მაისურის გაყიდვას გეგმავდა.

### უკრაინა მარტო შევჩენკო არ არის!

იტალიისა და უკრაინის ნაკრები გუნდების მეოთხედფინალური მატჩის წინ მარჩელო ლიპიმ განაცხდა, რომ მისი მთავარი საფიქრალი მხოლოდ შევჩენკო არ არის.

"რასაკვირველია, შევჩენკო დიდი ფეხბურთელია, მაგრამ უკრაინელებმა დაამტკიცეს, რომ მათი ნაკრები მხოლოდ ერთ ფეხბურთელზე არ არის დამოკიდებული. ჩვენი მეტოქე ათლეტურ ფეხბურთზე აკეთებს აქცენტს. ჩვენ მხოლოდ შევჩენკოს გათიშვაზე არ უნდა ვიფიქროთ. მთავარია უკრაინის ნაკრებს არ მივცეთ თავისი ფეხბურთის თამაშის საშუალება", - აცხდებს ლიპი.

### კლოზემ არგენტინა შეიცოდა

გერმანიის ნაკრების ფორვარდს მიროსლავ კლოზეს მიაჩნია, რომ არგენტინის ნაკრებს წილისყრით არ გაუმართლა.

"მშვენივრად ვიცი, რომ არგენტინას ძლიერი ნაკრები ჰყავს და პეკერმანის გუნდი ტურნირის ფავორიტად ითვლება. მაგრამ არგენტინელებს არ გაუმართლათ, რადგან მეოთხედფინალში ჩვენთან მოუწევთ თამაში. ჩვენ ფინალში ვაპირებთ თამაშს. ასე რომ, მეოთხედფინალში აუცილებლად დავამარცხებთ არგენტინელებს", - აცხადებს კლოზე.

### ვიდუკა ნაკრებს დატოვებს

ავსტრალიის ნაკრების ფორვარდი მარკ ვიდუკა სერიოზულად დაფიქრდა სანაკრებო კარიერის დასრულებაზე.

"მომავალი მსოფლიო ჩემპიონატისთვის თითქმის 35 წლის ვიქნები და არა მგონია, კვლავ შევძლო მაღალ დონეზე თამაში. ალბათ დროა, ნაკრებს დავემშვიდობო და პირად ცხოვრებას მეტი დრო დავუთმო. ვიფქრობ, ჩემს მაგალითს ნაკრების კიდევ რამდენიმე ფეხბურთელი მიბაძავს," - ამბობს ავსტრალიელთა ლიდერი.

### ბეკენბაუერს ფიფას პრეზიდენტობა არ სურს

მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ ფრანც ბეკენბაუერმა განაცხადა, რომ უეფას პრეზიდენტის პოსტისთვის იბრძოლებს. ამავე დროს ბეკენბაუერი ამბობს, რომ არ სურს ფიფას პრეზიდენტობა. "მე არ ვსაუბრობ 7-8 ენაზე, ისე როგორც ჰერ ბლატერი. ამიტომ სწორედ ის უნდა დარჩეს ფიფას პრეზიდენტად. ევროპაში კი ყველაფერი სხაგვარადაა. ევროპაში ინგლისურად ყველა საუბრობს. რა თქმა უნდა, ჩემი ინგლისური იდეალური არ არის, მაგრამ, ვფიქრობ, სრულიად მისაღებია. ლენარტ იუჰანსონმა თქვა, რომ რამდენიმე თვეში მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას. თუ მან პოსტის დატოვება გადაწყვიტა, აუცილებლად ვიყრი კენჭს უეფას პრეზიდენტის პოსტზე", - აცხადებს ფრანც ბეკენბაუერი.

### 200 000 ინგლისის მოგებაზე

ინგლისის მკვიდრმა 200 000 გირვანქა სტერლინგი დადო უილიამ ჰილის ტოტალიზატორში ინგლისის ჩემპიონობაზე. თუ ერიქსონის ნაკრებმა ტიტული მოიპოვა, ეს რისკიანი ადამიანი 1 200 000 გირვანქა სტერლინგს მიიღებს. საინტერესოა, რომ ბუკმეიკერულ კანტორაში ამ ფსონის მიღებაზე სამი საათი დაიხარჯა. საქმე ისაა, რომ მამაკაცმა 200 000 სულ 50 გირვანქა სტერლინგიანი კუპიურებით მიიტანა.

# ნაიარევი სახე

მას ხშირად ადარებენ ინგლისის ნაკრების კაპიტანს დევიდ ბექჰემს, მაგრამ რიბერი ვერასოდეს გახდება ფრანგი დევიდ ბექჰემი - "მარსელის" ნახევარმცველს გარეგნობა არ უწყობს ხელს. ინგლისელისგან განსხვავებით, მისი სავიზიტო ბარათი მარჯვენა ლოყაზე უზარმაზარი ნაიარევია - ფეხბურთელის ბავშვობის ნაკვალევი. 3 წლის ფრანკი მძიმე ავტოკატასტროფაში მოყვა. ნაიარევი სახის "დამსახურებაა", რომ სამშობლოში კვაზიმოდო შეარქვეს.

"მოედანზე დაგეშილი ძაღლივითაა, რომელმაც ეს-ესაა ჯაჭვი გაწყვიტა", - ასე ახასიათებს მას თანაგუნდელი კლოდ მაკელელე.

მაისში, როდესაც მექსიკელებთან ამხანაგურ მატჩში პირველად გამოჩნდა "მამლების" შემადგენლობაში, "სტედ დე ფრანსი" მეფესავით დაუხვდა. თავის დროზე ასეთი პატივი არც ზინედინ ზიდანს რგებია და არც ტიერი ანრის. ფრანგი გულშემატკივრების მიერ რიბერის ასეთი აღიარება ორმაგად დასაფასებელი იყო - როგორც წესი, "მარსელის" ფეხბურთელთა ადგილობრივი ქომაგები ლოიალურობით არ გამოირჩევიან.

რიბერის გამოჩენამ "სამფეროვანთა" აკადემიურ თამაშს დამატებითი სიახლე შესძინა, მაგრამ ასაკი და გამოუცდელობა მაინც თავისას შვრება. შემტევი ტიპისა და კარგი ტექნიკის მქონე მარსელელი მუდმივად მეტოქის კარზეა დაგეშილი, თუმცა გამოცდილი თანაგუნდელების ავტორიტეტს ვერ გაურბის - ხშირად, როცა გოლის გატანის შანსი აქვს, ტიერი ანრის ან რომელიმე სხვა ფეხბურთელს უტოვებს ბურთს. თუმცა, მერვედფინალში ესპანეთის კარში მისი გაბედული დარტყმა უზუსტესი აღმოჩნდა.

არადა, მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე ნაკრებში მისი მოხვედრა საეჭვო იყო, ბევრისთვის კი - საკვირველი. მით უმეტეს, რომ გუნდს მიღმა დარჩნენ ისეთი ტიტულოვანი ფეხბურთელები, როგორებიც არიან ლუდოვიკ ჟული, რობერ პირესი, ალექს მექსეში და იოან მიკუ. 23 წლის ფეხბურთელმა ქვეყნის პირველ გუნდში მთელი სეზონის განმავლობაში ბრწყინვალე თამაშით მოიპოვა ადგილი. "მარსელის" შემადგენლობაში სამჯერ თვის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარება საკმარისი გამოდგა, რათა რიბერის გულშემატკივართა პატივისცემა და სიყვარული დაემსახურებინა.

საფრანგეთის ასაკოვანი ფეხბურთელებით დაკომპლექტებულ ნაკრებში კი ერთადერთია, ვინც ახალგაზრდებში მებრძოლ სულს აღვივებს.

ფრანკ რიბერი 1983 წლის 1 აპრილს ლა-მანშის სანაპიროზე განლაგებულ საფრანგეთის პატარა საპორტო ქალაქ ბულონ-სიურ-მერიში მოევლინა ქვეყნიერებას. ოცი წლით ადრე იმავე ქალაქში ფრანგული ფეხბურთის ლეგენდა, 1991 წლის "ოქროს ბურთის" მფლობელი ჟან-პიერ პაპენი დაიბადა.

ღარიბთა კვარტალში მცხოვრები პატარა ფრანკისთვის ბურთის გორება ბავშვობის ერთადერთი გატაცება იყო. 10 წლისა კი ფეხბურთის ანბანს "ლილის" საფეხბურთო აკადემიაში ეზიარა. რამდენიმე წელიწადში ფრანგული კლუბის ხელმძღვანელობამ თავისივე აღსაზრდელი ფიცხი ხასიათისთვის გააძევა - რიბერი მუდმივად თანაგუნდელებთან ჩხუბით გამოირჩეოდა. ასე რომ, ჩვენი წერილის გმირმა "ლილის" ფორმის მორგება ვერ შეძლო.



*რიბერის ფრანგების გამარჯვებაში დიდი წვლილი მიუძღვის.*

მისი პირველი პროფესიონალური გუნდი ადგილობრივი "ბულონი" გახდა. რიბერი არც მშობლიური ქალაქის კლუბში გაჩერებულა დიდხანს. ჯერ "ალესში", შემდეგ კი "ბრესტში" განაგრძო კარიერა. 2004 წელს საფრანგეთის საფეხბურთო ელიტაშიც აღზევდა - "მეცის" შემადგენლობაში ჰქონდა დებიუტი. 20 მატჩზე მეტი არც იქ გაუმართავს. ფეხბურთელმა, რომელიც აშკარად გამოირჩეოდა გუნდის შემადგენლობაში, ხელმძღვანელობას კონტრაქტის პირობების გაუმჯობესება მოსთხოვა. "მეცი" არ ჩქარობდა ფეხბურთელის თხოვნის დაკმაყოფილებას. რიბერიმ გუნდი დატოვა. შუა სეზონში საფრანგეთის საზღვრებს მიღმა აღმოჩნდა - ამჯერად თურქულ "გალათასარაიში" გადაწყვიტა კარიერის გაგრძელება.

ძირძველი ფრანგის ცხოვრებაში საინტერესო ფაქტი მოხდა - ფეხბურთელმა ალჟირელ ვაჰიბზე იქორწინა. ქორწინებამდე რამდენიმე ხნით ადრე კათოლიციზმზე უარი თქვა და მეუღლის სარწმუნოება ისლამი აღიარა.

მუსულმანურ თურქეთში ფრანკის საქმეები ისე ვერ აეწყო, როგორც თავად სურდა. სულ თითზე ჩამოსათვლელ მატჩებში გაიბრწყინა და სტამბულელებთან ერთად ქვეყნის თასი მოიგო. 2004-05 წლების სეზონის დასრულებისთანავე ფრანგმა ნახევარმცველმა თურქეთი დატოვა. მიუხედავად იმისა, რომ "გალათასარაისთან" კონტრაქტი აკავშირებდა, რიბერიმ ფიფაში საჩივარი შეიტანა და კონტრაქტის შეჩერება მოითხოვა. ფეხბურთელი კლუბს სამი თვის ხელფასის გადაუხდელობაში ადანაშაულებდა. ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ რიბერის თხოვნა დააკმაყოფილა.

ფრანკი სამშობლოში დაბრუნდა, თუმცა სტამბულური კოშმარი არც საფრანგეთში ასვენებდა. ერთ დღეს სახენაიარევი ფეხბურთელი ქალაქის პოლიციაში გამოცხადდა და განაცხადა, რომ ბულონ-სიურ-მერიში, მის კუთვნილ სახლში, ბეისბოლის ბიტებით შეიარაღებული "გალათასარაის" სპორტული დირექტორი და ფეხბურთელის ყოფილი აგენტი შეიჭრნენ და მოკვლით ემუქრებოდნენ.

სამართალდამცავებს ისღა დარჩენოდათ, რიბერისთვის დაცვა მიეჩინათ. პრობლემები აღარ გამეორებულა.

2005-06 წლების სეზონის წინ "კვაზიმოდომ" ფრანგულ "მარსელთან" გააფორმა კონტრაქტი და არც უნანია. სადებიუტო სეზონი წარმატებული გამოდგა. 23 წლის ნახევარმცველი საფრანგეთის ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი გახდა. "სამფეროვანთა" თავკაცის რაიმონ დომენეკის ნაკრებში მიწვევასაც არ დაუყოვნებია.

დღეს "ოლიმპიელთა" ლიდერის ანგარიშზე ექვსი გამოცვლილი კლუბია, სადაც ფეხბურთელი წელიწადზე მეტხანს არ გაჩერებულა. ალბათ ამიტომაა აქტუალური ერთადერთი შეკითხვა: გაიზიარებს თუ არა "მარსელი" ზემოხსენებული ექვსი კლუბის ბედს? თუმცა, კლუბის პრეზიდენტის პაპ დიუფის მტკიცებით, გუნდის ლიდერის გაშვებას არ აპირებენ. თუ გავითვალისწინებთ, რომ განახლებულ სეზონში "მარსელის" ექსთავკაცს ჟან ფერნანდესს ახალი დამრიგებელი ალბერ ემონი შეცვლის, შესაძლოა, რიბერიმ მეშვიდე კლუბიც გამოიცვალოს. მით უმეტეს, თავად ფეხბურთელის თქმით, სიამოვნებით გააგრძელებდა კარიერას საფრანგეთის ჩემპიონ "ლიონში".

რა გადაწყვეტილებას მიიღებს ფრანგი ფეხბურთელი, ეს ორი-სამი კვირის შემდეგ გაირკვევა. მანამდე კი საფრანგეთის ნაკრებთან ერთად დამაჯერებლად განაგრძობს სვლას მსოფლიო ჩემპიონატზე.

# ალბიონი რუნისთვის ლოცულობს

ნისლიანი ალბიონი მეოთხედფინალური დაპირისპირების მოლოდინით ცხოვრობს. ინგლისი-პორტუგალიის მატჩის წინ კი უკლებლივ ყველა ბრიტანელს მხოლოდ ერთი ფეხბურთელის - უეინ რუნის სახელი აკერია პირზე. მიუხედავად იმისა, რომ 20 წლის თავდამსხმელმა ვერ იქნა და ვერ გატეხა უგოლობის ნავსი მსოფლიო ჩემპიონატზე, ინგლისელებს რუნი მაინც ჯიუტად მიაჩნიათ თავიანთი გუნდის უპირობო ლიდერად. მათ სწამთ, რომ სწორედ მისი წყალობით ინგლისი პირველად ოთხი წლის შემდეგ შეძლებს ლუიშ ფელიპე სკოლარის გუნდის დამარცხებას.

მანამდე, 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე, ინგლისელები მეოთხედფინალში სწორედ სკოლარის მიერ გაწვრთნილ ბრაზილიასთან დამარცხდნენ, ორი წლის შემდეგ კი იგივე პორტუგალიელებმა დამართეს.

ალბიონზე ქვეყნის პირველი გუნდის მეოთხედფინალში გასვლამ, არცთუ დამაჯერებელი თამაშის მიუხედავად, ყველა ჯურისა და პროფესიის ადამიანები გააერთიანა. ადგილობრივმა სტატისტიკოსებმა კი გამოითვალეს, რომ თუ სვენ-გორან ერიქსონის გუნდი ფინალამდე გააღწევს, მაშინ სასმელსა და საკვებ პროდუქტებზე ინგლისელები დამატებით 100 მილიონ ფუნტ სტერლინგს დახარჯავენ. როცა ქვეყნის შემოსავალი საფეხბურთო ნაკრების წარმატებაზეა დამოკიდებული, რა გასაკვირია, რომ გუნდის ყოველი გამარჯვება ტონა ოქროდ ფასობს.

- სასიამოვნოდ გაკვირვებული დავრჩი, როდესაც ეკვადორთან მატჩში რუნი წუთიდან წუთამდე უმატებდა. მატჩის ბოლოს უფრო გამალებით დარბოდა, ვიდრე დასაწყისში. ნამდვილად ვერ ვიფიქრებდი, თუ ასე დიდხანს შერჩებოდა ძალა, - გაოცებას არ მალავდა ინგლისელთა მცველი რიო ფერდინანდი, - დარწმუნებული ვარ, რუნი ევრო 2004-ის მეოთხედფინალში პორტუგალიელებთან მატჩში ბოლომდე რომ დარჩენილიყო (იმ შეხვედრაში რუნიმ 27-ე წუთზე ტრავმა მიიღო და თამაში ველარ გააგრძელა - ავტ.), არ დავმარცხდებოდით.

ორდღიანი დასვენების შემდეგ პორტუგალიელებთან მატჩამდე ერიქსონის შეგირდებმა, ტრავმირებული გარი ნევილის გარდა, სამკურნალო წყლებით ცნობილ გერმანულ კურორტ ბადენ-ბადენში პირველად ივარჯიშეს.

ვარჯიშის შემდეგ კი ჟურნალისტებს ნება დართეს თვით უეინ რუნის გასაუბრებოდნენ.

**- უეინ, როგორ გრძნობ თავს?**

- ტრავმა საერთოდ აღარ მაწუხებს, თუმცა პირველ მატჩში მაინც შემახსენა თავი. მაგრამ ამას არ ვჩიოდი - ჩემპიონატის დაწყების წინ ისეთი მდგომარეობა მქონდა, მეგონა საერთოდ ვერ ვითამაშებდი. საბედნიეროდ, ექიმებმა ნება დამრთეს. როგორც წესი, ფორმის აღდგენისა და სიჩქარის აკრეფისთვის, სულ ცოტა, სამი მატჩი მჭირდება. ეკვადორთან საკუთარი თამაშით კმაყოფილი ვარ. ასე რომ, ვფიქრობ, პორტუგალიელებთან პრობლემები აღარ უნდა მქონდეს. მით უმეტეს, რომ ეს ჩემი მეოთხე მატჩი იქნება.

**- ინგლისის ნაკრების თამაშით თუ ხართ კმაყოფილი?**

- სიმართლე გითხრათ, მაინცდამაინც მოხიბლული არ დავრჩენილვარ. სამაგიეროდ, მივაღწიეთ იმას, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია - შედეგს. ამიტომ, სულაც არ დამწყდება გული, თუ იგივე დონეზე ვითამაშებთ, მაგრამ ნახევარფინალში გავალთ.



**- ორი წლის წინ სწორედ პორტუგალიელებთან მარცხის გამო ვერ მიაღწიეთ ნახევარფინალამდე...**

- იმ მატჩს არავინ ვიხსენებთ. ან რა გასახსენებელია? რამეში დაგვეხმარება თუ...

**- როგორ ფიქრობთ, წლეულს უფრო მეტი შანსი გაქვთ გამარჯვების, ვიდრე ევრო 2004-ზე გქონდათ?**

- ვფიქრობ, რომ კი. მით უმეტეს, რომ წლეულს გაცილებით ძლიერი ნაკრები გვყავს.

**- პორტუგალიელთა ღირსებას იცავს თქვენი თანაგუნდელი "მანჩესტერ იუნაიტედში" კრიშტიანუ რონალდუ, თუმცა მისი მოედანზე გამოჩენა საეჭვოა. გინდათ თუ არა რონალდუსთან დაპირისპირება?**

- ძალიან მინდა, რომ ჯანმრთელობა ვუსურვო, მაგრამ სჯობს, შაბათს დაისვენოს. კრიშტიანუ ძლიერი ფეხბურთელია და მისი არყოფნა გამარჯვებას გაგვიიოლებს.

**- რის ხარჯზე აპირებთ პორტუგალიელთა დამარცხებას?**

- ჩვენ ბევრი გვაკრიტიკებს არასანახაობრივი თამაშის გამო, მაგრამ, მერწმუნეთ, ვიცით, როგორ უნდა მოვიქცეთ კონკრეტულ მატჩებში. ჩვენ მეოთხედფინალში ვართ და ეს კმაყოფილების საფუძველს გვაძლევს. გულშემატკივარიც გახარებულია. მეტი რაღაა საჭირო? - რა და, ნახევარფინალში გასვლა, რასაც, იმედი მაქვს, შაბათს შევძლებთ კიდეც.

**- არ გგონიათ, რომ ინგლისი-პორტუგალიის მატჩი ძალისმიერი და უხეში გამოვა, როგორც სკოლარის გუნდის ჰოლანდიელებთან დაპირისპირება?**

- ყველაფერი შეიძლება მოხდეს, მაგრამ ის, რაც ჰოლანდია-პორტუგალიის მატჩში მოხდა, ათწლეულში ერთხელ ხდება. თუ მეტოქე უხეშად დაიწყებს თამაშს, შევეცდებით საკადრისად ვუპასუხოთ.

## სამუნდიალო ფრაზები

მსოფლიო ჩემპიონატის დასრულებამდე არც ისე ბევრი დარჩა. ფეხბურთელებმა, მსაჯებმა და მუნდიალის სხვა გმირებმა მხოლოდ წმინდა საფეხბურთო საქმიანობით როდი გამოიჩინეს თავი. ერთ-ერთმა უცხოურმა სააგენტომ შეაგროვა საინტერესო და კურიოზული გამონათქვამები, რომლებიც 2006 წლის მუნდიალს უკავშირდება.

■ ■ ■

"მაშინვე მივხვდი, რომ ფანტასტიკური გოლი იყო. იმ მომენტში მინდოდა მინდორი დამეტოვებინა, ტელევიზორის წინ დავმჯდარიყავი და რამდენჯერმე ამ გოლის გამეორება მენახა", - ერნან კრესპო არგენტინის ნაკრების გოლზე სერბეთის კარში. ეს გოლი 24-პასიანი კომბინაციის შედეგი იყო.

■ ■ ■

"ჩვენ აქ საოცრების წყალობით აღმოვჩნდით? არა, რას ამბობთ, გერმანიაში თვითმფრინავით ჩამოვფრინდით", - ტრინიდადი და ტობაგოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი ლეო ბეენჰაკერი.

■ ■ ■

"ის არ იბრძოდა, უნდა წარმოედგინა, რომ ჰაინცესთვის საფულის მოპარვა უნდოდა", - მიკი მაკარტინ მატეია კეჟმანის პასიური თამაშის შესახებ.

■ ■ ■

საუდის არაბეთის მეფე ამ მატჩს ვერ დაესწრო. რა არის ამაში გასაკვირი. წარმოიდგინეთ, რომ თქვენ გყავთ 30 ცოლი, 35 შვილი და ყველაფერი ნათელი გახდება", - ბრიტანული ტელევიზიის კომენტატორი.

■ ■ ■

"ბრაზილია დღეს თამაშობდა, როგორც კაკა", - გარი ლინეკერი ბრაზილიის ნაკრების არასანახაობრივ თამაშზე.

■ ■ ■

"თუ გერმანიაში მუდმივად იწვიმებს, მაშინ ინგლისის ნაკრებს მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მოგების შანსი გაუჩნდება", - პარაგვაის ნაკრების ფორვარდი როკე სანტა კრუზი.

■ ■ ■

ჟურნალისტი: "ოდესმე თუ გინახავთ ისეთი მოთამაშე, როგორიც პიტერ კრაუჩია?"
როკე სანტა კრუზი: "როგორ არა, NBA-ში".

■ ■ ■

"ის ფაქტი, რომ არსენ ვენგერმა ჩემპიონთა ლიგის ფინალურ მატჩში გუნდის შემადგენლობაში შეიყვანა ყველა, თეო უოლკოტის გარდა, ბევრ რამეზე მეტყველებს. იცით, პარიზში ჩაის მომზადების სპეციალისტიც წაიყვანა", - არგენტინის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი ოსვალდო არდილესი სვენ გორან ერიქსონის გადაწყვეტილების შესახებ.

■ ■ ■

"ინგლისის ნაკრებში ერთმანეთს არ ვკოცნით. მადრიდში მინდორზე გასვლის წინ მიღებულია, რომ ფეხბურთელები ერთმანეთს კოცნიან - ეს ტრადიციაა. ერთ-ერთ სანაკრებო მატჩში მწვრთნელმა შემცვალა და მინდორზე ჩემს ნაცვლად აარონ ლენონი გამოდიოდა. როდესაც მინდორს ვტოვებდი, აარონის გადაკოცნა დავაპირე. მისი გამომეტყველება რომ დავინახე, მაშინღა მოვეგე გონს", - დევიდ ბექჰემი ინგლისური და ესპანური ტრადიციების განსხვავებაზე.

■ ■ ■

"ისე მყარად, როგორც სავიოლა, არც ერთი ფეხბურთელი არ დგას. მეჩვენება, რომ მას ექვსფუტიანი გრეიზერიც კი ვერ წააქცევს", - იან რაიტი.

■ ■ ■

"დღეს ქორწილი უნდა მქონოდა, მაგრამ საცოლემ მიმატოვა. მერე რა, დღეს საღამოს ხომ ფეხბურთია", - ბრიტანული ტელევიზიის კომენტატორი.

■ ■ ■

"გუუს ჰიდინკი ალბათ ყველაზე იღბლიანი კაცია მსოფლიოში. ხანდახან ვფიქრობ, რომ სადღაც ჩემი სახლისოდენა ნალი აქვს შენახული", - რუუდ გულიტი თანამემამულე მწვრთნელზე.

■ ■ ■

"მისტერ მსოფლიოს არჩევა ჩემზე რომ იყოს დამოკიდებული, ამ ტიტულს აუცილებლად დევიდ ბექჰემს მივანიჭებდი. მას აქვს ყველაფერი: ტანი, გარეგნობა, თმა... მოკლედ, ყველაფერი. ნამდვილი მეტროსექსუალია", - მის-მსოფლიო 2005 უნარ ბირნა ვილჰიალმსდოტირი.

■ ■ ■

"მთელი ღამე ბაყაყების გამო ვერ დავიძინეთ. ხვალ მათზე ნადირობას ვიწყებთ", - უკრაინის ნაკრების ფეხბურთელი ვლადისლავ ვაშჩუკი.

■ ■ ■

"ჩემთვის გაუგებარი მიზეზების გამო კეისი კელერი ჯიუტად აძლევდა ბურთს მეტოქეს, ლენდონ დონოვანმა სადღაც დაკარგა თავისი აგრესიულობა, დამარკუს ბისლი კი მინდორზე არაფერს აკეთებდა", - ბრიუს არენა ჩეხეთთან წაგებული მატჩის შემდეგ.

■ ■ ■

"მოდით, გულახდილად ვილაპარაკოთ. მეკარეები სულ უკმაყოფილონი არიან ბურთებით. პირიქით რომ მოხდეს, ბურთი კვადრატული და საოცრად მძიმე უნდა იყოს. მაშინ ველარ იწუწუნებენ", - ბრიუს არენას პოზიცია მას შემდეგ, რაც კელერმა მუნდიალის ბურთით უკმაყოფილება გამოთქვა.

■ ■ ■

"მე არაფერს გეტყვით, რადგან ყველაფერი, რისი თქმაც ახლა მინდა, ხვალ გაზეთების პირველ გვერდებზე იქნება დაბეჭდილი. მე კი მსოფლიოში ყველაზე ცუდი ადამიანი გავხდები. ასე რომ, ჯობს, ხმას არ ამოვიღებ. ლუიშ ფიგუსავით პოლიტკორექტული არ ვარ", - ლუიშ ფელიპე სკოლარი ანგოლის ნაკრების მოკრაძალებული ანგარიშით დამარცხების შემდეგ.

■ ■ ■

"ფეხბურთს ქაღალდზე არ თამაშობენ, ფეხბურთის სათამაშოდ მინდორზე გადიან. ეს მათემატიკა არ არის. ფეხბურთში ხომ ორს მივუმატოთ ორი ძალიან იშვიათად უდრის ოთხს. უფრო ხშირად ორს პლუს ორი ან სამია, ან ხუთი", - ლეო ბეენჰაკერი შვედეთთან ფრედ დამთავრებული მატჩის შემდეგ.

■ ■ ■

"საფრანგეთის ნაკრები ქვეყნის წარმომადგენელი არ არის. ვგრძნობ, რომ ეს გუნდი საფრანგეთის ნაკრებს არ ჰგავს, რადგან დომენეკმა ნაკრებში ბევრი შავკანიანი ფეხბურთელი წაიყვანა. თანაც გუნდში ფაბიენ ბარტეზიც არ უნდა თამაშობდეს, ვინაიდან ეროვნულ ჰიმნს არ მღერის", - ფრანგი პოლიტიკოსი ჟან-მარი ლე პენი.

■ ■ ■

"თამაში თანაბარი იყო. შვეიცარიის ნაკრები არაფრით განსხვავდება უკრაინის გუნდისგან. ტაქტიკური სქემაც კი იგივე აქვს. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ საკუთარ თავს ვეთამაშებოდით", - უკრაინის ნაკრების მწვრთნელი ოლეგ ბლოხინი.

■ ■ ■

"ამას ვერ ვუყურებდი. ეს თქვენთვის, გულშემატკივრებისთვის არის პენალტების სერია გართობა. ჩვენთვის, მწვრთნელებისთვის კი ნამდვილი წამებაა", - ოლეგ ბლოხინი.

■ ■ ■

"ეს ფეხბურთელი თამაშობს პორტუგალიის დედაქალაქ ლესბიანში", - ამერიკული ტელეარხის კომენტატორი.

■ ■ ■

"ინგლისის ნაკრების კაპიტანი დევიდ ბექჰემი, შესაძლოა, იცოდეთ კიდეც, რომ ადრე სხვა გუნდის კაპიტანი იყო. ეს გუნდია "მანჩესტერ იუნაიტედი", რომელიც საფრანგეთში თამაშობს ფეხბურთს ", - ამერიკული ტელეარხის კომენტატორი.

■ ■ ■

"ჩვენთვის ცნობილი გახდა ჰოლანდიის ნაკრების სათამაშო გეგმა. ამ მატჩში ისინი გოლის გატანას გეგმავენ", - ამერიკული ტელეარხის კომენტატორი.

■ ■ ■

"ეს არის ყველაზე ცნობილი ფეხბურთელი მსოფლიოში - მაიკლ ბექჰემი", - ამერიკული ტელეარხის კომენტატორი.

■ ■ ■

"მექსიკელთა კაპიტანი მარკესი იტალიაში თამაშობს (პაუზის შემდეგ) რონალდინიოსთან ერთად", - ამერიკული ტელეარხის კომენტატორი.

■ ■ ■

"აშშ-ს ნაკრებს მსოფლიო ჩემპიონობის კარგი შანსი აქვს. ჩვენი ბიჭები ხომ ფიფას რეიტინგში მეხუთე ადგილზე არიან", - ამერიკული ტელეარხის კომენტატორი.

## სპაიკ ლი ბრაზილია-გერმანიის ფინალს ელის

ცნობილ ამერიკელ რეჟისორსა და მსახიობს სპაიკ ლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში გერმანიისა და ბრაზილიის ნაკრები გუნდების ხილვა სურს. ამის თაობაზე ლონდონის "არსენალის" გულშემატკივარმა და ტიერი ანრის ახლო მეგობარმა ჰოლივუდის ვარსკვლავმა მსოფლიო ჩემპიონატის ოფიციალური ვებგვერდის ჟურნალისტს განუცხადა. "როგორც ვფიქრობდი, განამ ვერ დაამარცხა ბრაზილია, - დაიწყო საუბარი სპაიკ ლიმ, - მიკაელ ესიენის გარეშე ბრაზილიელთა დამარცხება შეუძლებელი იყო. ასეთმა ფეხბურთელებმა ამ დონის მატჩები არ უნდა გამოტოვონ. ბრაზილიამ კი ფანტასტიკურად ითამაშა. მართალი გითხრათ, რონალდო ცუდ შთაბეჭდილებას ტოვებს. მაგრამ ფაქტია, რომ ყოველ შეხვედრაში უმატებს. გვერდს ვერ ავუვლი ჰოლანდია-პორტუგალიის მატჩს, რომელიც უფრო ჰოკეის ჰგავდა, ვიდრე ფეხბურთს. ფინალში კი ბრაზილიისა და გერმანიის ნაკრები გუნდების ნახვა მინდა. ამ მატჩს მილიონობით ფანი ელის. ეს იქნება ფეხბურთის კლასიკა".

## არაგონესმა ესპანელები არ მიატოვა

ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელთა განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის პირველი გუნდი მსოფლიო ჩემპიონატის მერვედფინალური ეტაპიდან გამოვარდა, მათ დიდი სურვილი აქვთ მუშაობა გააგრძელონ 68 წლის ლუის არაგონესთან.

"ჩვენ კმაყოფილი ვართ ნაკრების მთავარი მწვრთნელის მუშაობით და იმედი გვაქვს, გუნდს მომავალი ევროპის ჩემპიონატისთვისაც არაგონესი მოამზადებს", - განაცხადა ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ვილიარმა.

რაც შეეხება თავად არაგონესს, რომელიც, იმ შემთხვევაში, თუ ესპანეთი მსოფლიო ჩემპიონატიდან ვადაზე ადრე გამოვარდებოდა, წასვლას აპირებდა, ახლა თანახმაა გუნდში დარჩეს. "თუ ხელმძღვანელობას უნდა, რომ მომავალშიც ვიმუშაო ესპანეთის ნაკრებში, მე თანახმა ვარ", - განაცხადა არაგონესმა.

## პეკერმანს პენალტების ეშინია

გუშინდელი ვარჯიში არგენტინის ეროვნულმა ნაკრებმა პენალტების სერიით დაასრულა. თუმცა, ნაკრების თავკაცს ხოსე პეკერმანს იმედი აქვს, რომ მეოთხედფინალში გერმანელებთან მატჩში საქმე პენალტებამდე არ მივა.

"ცხადია, არ გამოვრიცხავთ პენალტების სერიას, მაგრამ, რა თქმა უნდა, ორივე გუნდისთვის უკეთესი იქნება, თუ აქამდე არ მივიყვანთ საქმეს. ჩვენ ვეთამაშებით ნაკრებს, რომელსაც ბევრი გოლის გატანა შეუძლია და სწრაფად გადადის დაცვიდან შეტევაზე. ჩვენი გუნდისთვის მნიშვნელოვანი იქნება საჭირო ბალანსი ვიპოვით", - განაცხადა არგენტინელთა თავკაცმა.

## ტორესი 41 მილიონად შეფასდა

ბრიტანული გამოცემა "სანის" ცნობით, მადრიდის "ატლეტიკომ" ახალგაზრდა ესპანელი თავდამსხმელის ფერნანდო ტორესის ტრანსფერის სანაცვლოდ 41,4 მილიონი ფუნტი სტერლინგი მოითხოვა.

სწორედ დასახელებული თანხის გადახდა მოუწევს ტორესის პოტენციურ მყიდველ კლუბს, რომელთა შორის ახლავე სახელდებიან ისეთი გრანდები, როგორებიც არიან იტალიური "მილანი" და ინგლისური "მანჩესტერ იუნაიტედი", "ჩელსი", "არსენალი" და "ნიუკასლი".

## სენდეროსს ოპერაცია ჩაუტარდა

შვეიცარიის ეროვნული ნაკრებისა და ლონდონის "არსენალის" მცველს ფილიპ სენდეროსს გუშინ მხრის ოპერაცია ჩაუტარდა. ჯერჯერობით თავად ფეხბურთელი ვერ ამბობს, რა დრო დასჭირდება ოპერაციის შემდეგ მის აღდგენით პროცესს. შეგახსენებთ, რომ ფილიპ სენდეროსმა მსოფლიო ჩემპიონატის ჯგუფურ ეტაპზე სამხრეთ კორეის ნაკრებთან თამაშისას მიიღო ტრავმა.

## პოლი და ივანოვი აღარ იმსაჯებენ

მიუხედავად უცხოურ პრესაში გავრცელებული ინფორმაციისა, რომ ფიფა ინგლისელ მსაჯს გრემ პოლსა და რუს ვალენტინ ივანოვს მსოფლიო ჩემპიონატზე მომხდარი ორი უდიდესი სამსაჯო სკანდალის გამო შეიწყალებდა, ფეხბურთის საერთაშორისო ორგანიზაციამ მსაჯები არ დაინდო. ფიფას გადაწყვეტილებით, ორივე არბიტრს გერმანიაში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატზე მსაჯობა აეკრძალა. მუნდიალის რვა დარჩენილ მატჩს 12 არბიტრი განსჯის, მათ შორის გერმანელი მარკუს მერკი, რომელიც რამდენიმე ხნით ადრე დროებით იყო დისკვალიფიცირებული მიმდინარე ტურნირიდან.

მეოთხედფინალებს მოემსახურებიან:

**გერმანია - არგენტინა - ლუბოშ მიჰელი (სლოვაკეთი)**
**იტალია - უკრაინა - ფრანკ დე ბლეკერი (ბელგია)**
**ინგლისი - პორტუგალია - ორასიო ელისონდო (არგენტინა)**
**ბრაზილია - საფრანგეთი - ლუის მედინა კანტალეხო (ესპანეთი).**

გერმანიაში ასევე იმსაჯებენ: ტორუ კომიკავა (იაპონია), კოფი კოჯია (ბენინი), ბენიტო არჩუნდია (მექსიკა), ხორხე ლარიონდა (ურუგვაი), მარკ შილდი (ავსტრალია), მასიმო ბუაკა (შვეიცარია), მარკუს მერკი (გერმანია), რობერტო როძეტი (იტალია).

## სერბი ფეხბურთელები დაჯარიმდებიან

მსოფლიო ჩემპიონატზე მოთამაშე სერბეთის ნაკრების ხუთი ფეხბურთელი: მატეა კეჟმანი, ოგნენ კორომანი, დანიელ ლუბოია, ზვონიმირ ვუკიჩი და ალბერტ ნადი მუნდიალზე მიღწეული არადამაკმაყოფილებელი შედეგისა და უსაქციელობისთვის დაჯარიმდებიან. სერბეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის ტომისლავ კარაჯიჩის განცხადებით, მან ჯერ კიდევ გერმანიაში ყოფნისას სთხოვა ნაკრების თავკაცს ილია პეტკოვიჩს იმ ფეხბურთელთა ნუსხა წარედგინა, რომლებიც ვარჯიშებზე უსაქციელობითა და გუნდში არაჯანსაღი ატმოსფეროს შექმნით გამოირჩეოდნენ. ჯერჯერობით უცნობია, რა თანხას გადაიხდიან დაჯარიმებული ფეხბურთელები. სავარაუდოდ, არც ერთ მათგანს აღარ მიეცემა 400 ათასი ევრო, რომელიც ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ ნაკრების მოთამაშეებისთვის გამოყო.

# ზელანდიამ რაზმი ჩამოქნა

სამხრეთული რაგბის სამი ერი მომავალ შაბათს ბლედისლოუს თასზე ტრანს-ტასმუნური ჯახით იწყება: ქრაისთჩერჩის ჯეიდზე შარშანდელი ჩემპიონი ახალი ზელანდიის ოლ ბლექსი მასპინძლობს ავსტრალიის ვოლაბიზს, ვინც ახალი მწვრთნელის ხელში უკვე ანგარიშგასაწევ ძალად იქცა.

ივნისის ტესტებში ზელანდიამ ექსპერიმენტი ჩაატარა: ერთი შემადგენლობით სტუმარი ირლანდია 34:23 და 27:17 ძლია, მეორით კი არგენტინაში 25:19 მოიგო. ავსტრალიამ, კივთაგან განსხვავებით, ერთი და იგივე, საუკეთესო რაზმი ათამაშა და სამივე საშინაო ტესტში თამაშ-თამაშ გაიმარჯვა (ინგლისთან 34:3 და 43:18, ირლანდიასთან 37:15), რამაც ოლ ბლექსის ჭარმაგ გურუს გრემ ჰენრს ათქმევინა, მეზობლებს სეზონის ამ სტადიაზე ჩამოვრჩით და სამი ერის სტარტზე დიდი ბრძოლა მოგველისო.

კივთა მოძღვარი მედიას სამშაბათს, რაზმის გამოცხადების შემდეგ ესაუბრა. გურუმ და კოლეგა სელექტორებმა, შერკინების გადიამ სთივ ჰანსენმა, ბეკთა მწვრთნელმა ვეინ სმითმა და იდეურმა მამამ სერ ბრაიან ლოჰორმა სამი ერისთვის 30 კაცი შეიგულეს. მათგან 14 ბეკია, 16 კი - ფორვარდი. კივებს კვაჭად და ჰავბეკად სამ-სამი კაცი დაუთადარიგებიათ, სხვა პოზიციებზე კი უნივერსალები აურჩევიათ და ფონს გასვლას ასე ფიქრობენ.

ოლ ბლექსის უფროსობამ ტესტებში 39 კაცი გამოსცადა. მთავარმა მწვრთნელმა ამაზე თქვა, ფიცხელი კონკურენცია სრულიად ზელანდიური რაგბისთვის მარგებელიაო. მისივე აზრით, რამდენიმე დაწუნებული მართლაც რომ მომავლის მოთამაშეა, მაგრამ გუნდის შერჩევისას ძირითადი კრიტერიუმი პრეტენდენტთა საამდღეო ფორმა იყო, რის გამოც ყოფილი კაპიტანი, ფლანკერი რუბენ სორნი ორი წლის შემდეგ ისევ იხმეს ნაკრებში.

სორნს 1999-2003 წლებში 41 კეპი მოუხვეჭავს და ოლ ბლექსისთვის 22-ჯერაც უყოჩია, მაგრამ რაც მარცხიანი მსოფლიო თასის მერე ნაკრებში რეჟიმი შეიცვალა, გამრჯე რუბენი თამაშგარეთ აღმოჩნდა. მიუხედავად ამისა, ენამწარე მედიის მიერ "უჩინარ კაპიტნად" და "ჩემოდნად" შერაცხული ვეტერანი არ განაწყენებულა და უცხოეთში მუქთ ფულს არ გამოჰკიდებია: შინ, კრუსეიდერზში დარჩა და ზედიზედ ორი ზე-ტიტულის მოგებაში ლომის წილი დაიდო.

სორნი უნივერსალია: მეორე ხაზშიც შეუძლია დადგომა. სწორედ ამ მიზეზით ამჯობინეს იგი სელექტორებმა სპეციალისტ ჯეელებს (მოსე ტუიალიკი, მარტი ჰოლა, ჯერომ კაინო, კრეგ ნიუბი) და საოპერაციო ბეჭის გამო გამოკლებული ტროი ფლეველის ნაცვლად აიმატეს. გარდა ამისა, ტრავმათა გადამკიდე სამი ერი გაუცდებათ ბეკებს ნიკ ევანსს, სიტივენი სივივატუს, კონრად სმითსა და ფორვარდებს სიონე ლაუაკს, ენგუს მაკდონალდსა და ჯეიმზ რაიანს.



ავსტრალია ზელანდიას 8 ივლისს შეხვდება.

### ოლ ბლექსის ოზური ხოტბა

კეისი ლაულალა (კრუსეიდერზი) და სემ ტუიტუპოუ (ჩიფსი) რაზმში რომ ვერ მოხვდნენ, პენსიაზე გასული დალალა კაპიტნის ტანა უმანგას ნაცვლად 13 ნომრად მისივე განაზარდი, უხვადაგესი მა ნონუ დადგება. ამაზე ოლ ბლექსის ძველი სკიპერი, აწ კი ჟურნალისტი სტუ ვილსონი ბრძანებს, ტანას მემკვიდრისგან ლიანგი უმალ დიდოსტატურ თამაშს მოელის, ის კი ავიწყდება, რომ მორაგბის დაღვინებას დრო სჭირდება, რისი ნათელი მაგალითიც მსოფლიოს საუკეთესო გამჭრელი, ავსტრალიელი სთერლინგ მორტლოქიაო.

გურუ ჰენრმა ავსტრალიის ფავორიტობაზე რომ ისაუბრა, ძალიან აქო ვოლაბიზის ახალი მოძღვარი ჯონ ქონოლი, ვინც ოზთა შერკინება ისე გადაახალისა, რომ ჯანითა და წონით ტოლი აღარავის დაუდოს. კოლეგას არც "მჯიღი" დარჩა ვალში და პასუხად აღავლინა ოლ ბლექსის ხოტბა, რომლიდანაც ცხადია, რომ ოზთა ოღრაში შეფი მეტოქის ანკესს არ წამოჰგებია და მაჩანჩალობა მთავარი მეტოქისთვის ეგრე იოლად ვერ ემეტება.

ქონოლის მონოლოგში დაფიქსირებულია, რომ ზელანდია მთელ რაგბეთში საუკეთესოა და უახლოეს მდევრებს სრული მილით უსწრებს; რომ ოლ ბლექსი მსოფლიო თასის შემართვის უდავო ფავორიტია; რომ გუნდს ყოველ პოზიციაზე ორი ან სამი მაგარი მოთამაშე ჰყავს; რომ ნაკრების შტაბი სასწაული მწვრთნელებითაა დაკომპლექტებული; რომ, სულ ცოტა, ოთხი კივი (კარტერი, მაკქოუ, მეალამუ და ჯექი) თავის ამპლუაში უბადლოა; რომ ზელანდიას უჩაუქესი გარემარბები ჰყავს და რომ კოლინზი-სოიალოს წყვილმა ვოლაბიზი შარშან ბოჭვაზე მოაშთო.

დასასრულ ქონოლმა ისიც შენიშნა, რომ წლეულს ავსტრალიას შერკინებაში ყოველ მატჩში ეყოლება, სულ ცოტა, ორი ახალბედა, მაშინ როცა ზელანდია ერთიანად გამოცდილებს ენდობა; რომ მძლეთამძლე გუნდის ჩამოქნას დრო სჭირდება და ამ მხრივ ზელანდიას გვარიანი ფორა აქვს. ოთხშაბათსვე გაცხადდა, რომ ვოლაბიზის 12 ნომერს მეტ როჯერსს ირლანდიასთან ნატკენი კოჭი ურჩება და სამი ერის სტარტზე ითამაშებს. შეჯიბრების მესამე მონაწილეს, სამხრეთ აფრიკის ბოკეს კი ემატებიან მოკეთებულნი, პივოტი ანდრე პრეტორიუსი, ცენტრები ჟაკ ფური და ჟან დეფილიერსი, ფრთა ბრეიტონ პოლსე და მხტომელი ბაკის ბოთა.

**სამი ერი 2006**

(შაბათობით, საქართველოს დროით)

| | | | |
|---|---|---|---|
| 8/07 | 11.35 | ქრაისთჩერჩი | ზელანდია - ავსტრალია |
| 15/07 | 14.00 | ბრისბენი | ავსტრალია - აფრიკა |
| 22/07 | 11.35 | ველინგტონი | ზელანდია - აფრიკა |
| 29/07 | 14.00 | ბრისბენი | ავსტრალია - ზელანდია |
| 5/08 | 14.00 | სიდნეი | ავსტრალია - აფრიკა |
| 19/08 | 09.30 | ოკლენდი | ზელანდია - ავსტრალია |
| 26/08 | 17.00 | პრეტორია | აფრიკა - ზელანდია |
| 2/09 | 17.00 | რიუსტენბერგი | აფრიკა - ზელანდია |
| 9/09 | 17.00 | იოჰანესბერგი | აფრიკა - ავსტრალია |

# ტარვერი მარცხისგან გათავისუფლდა

გიგა გურასაშვილი

*ანტონიო ტარვერი, რომელსაც ნახევრად მძიმე წონის უძლიერესი მოჩხუბრის სახელი ჰქონდა, 10 ივნისს ბერნარდ ჰოპკინსთან ნაწვნევი მარცხისგან გათავისუფლდა. ამერიკელი მოკრივის ბოლო ინტერვიუში ნახსენებია წაგების შესაძლო მიზეზები, რომელსაც ტარვერი თავისებურად აანალიზებს: "ერთი ჩვეულებრივი ადამიანი ვარ, რომელმაც საკუთარი თავი საწვრთნელ ბანაკში დატოვა. ადრე, როდესაც მწვრთნელებისგან ასეთი რამ მესმოდა, ეს არარეალურად მეჩვენებოდა. ახლა კი ვხვდები, თუ რამდენად რეალური ყოფილა ეს განმარტება".*

"ჰოპკინსთან ორთაბრძოლა მნიშვნელოვანი იყო, - ამბობს ყოფილი ჩემპიონი (საშუალო წონის ყოფილმა აბსოლუტურმა (WBC, IBF, WBA, WBO) ჩემპიონმა ბერნარდ ჰოპკინსმა ნახევრად მძიმე წონის ყოფილ ჩემპიონს ანტონიო ტარვერს ატლანტიკ სიტიში 10,200 მაყურებლის თვალწინ მეტ-ნაკლებად პატივცემული კრივის საერთაშორისო ორგანიზაციისა (IBO) და კრივის ეროვნული ასოციაციის (NBA) საჩემპიონო ქამრები არ დაანება. სამივე მსაჯმა ერთსულოვანი გადაწყვეტილებით - 118-109 ჰოპკინსს მიაკუთვნა გამარჯვება.-რედ.), - სათანადოდ ვერ ვიჩხუბე და ვერც ჩემი შესაძლებლობები და ნიჭი გამოვიყენე ბოლომდე. საწვრთნელი შეკრებები ათ კვირაზე მეტ ხანს გაგრძელდა. სწრაფად მივაღწიე საუკეთესო ფორმას, რაც, სამწუხაროდ, ორთაბრძოლის დღემდე ვერ შევინარჩუნე".

ტარვერისგან კიდევ სხვა რამესაც ვიგებთ. კერძოდ, "არავითარი აუცილებლობა არ იყო იმისა, რომ მომზადების ასეთი ხანგრძლივი პერიოდი გამევლო, რადგან ჰოპკინსთან შერკინებამდე სამი კვირით ადრეც ვჯდებოდი ნახევრად მძიმე წონის ჩარჩოებში".



ჰოპკინსთან წაგების მიუხედავად, ტარვერი მასზე მოწიწებით ლაპარაკობს.

ერთი სიტყვით, საშუალო წონის ყოფილ აბსოლუტურ ჩემპიონთან საჩხუბრად ტარვერის მზადება ძალზე მომქანცველი გამოდგა. როგორც თავად ამბობს, ორთაბრძოლის დღეს რინგზე გათანგული და გადამწვარი გავიდა.

"თავს ცუდად ვგრძნობდი. ვერ ვიჭერდი მომენტს, როდესაც ჩემს თავს მართავს ინსტინქტები და რეფლექსები. მთელი ორთაბრძოლა ფიქრებში გავატარე. როდესაც ფიქრობ, ყოველთვის ერთი ნაბიჯით უკან ხარ მეტოქეზე. მანძილის გრძნობა არ მქონდა. ვერ გადავდიოდი კონტრშეტევებზე, ტანი არ მემორჩილებოდა.

ბერნარდ ჰოპკინსის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან სწორად გამოიყენა ჩემი სისუსტე. სულაც არ ვაპირებ მისი მიღწევის გაუფერულებას. ჩემგან ვერც იდიოტურ თავის მართლებას გაიგებთ, რაც ძალიან უყვარს როი ჯონს-უმცროსს - აცხადებს ხოლმე, შეგნებულად წავაგეო (ტარვერს დღემდე აღიზიანებს, როდესაც როის მიიჩნევენ საუკეთესო მოკრივედ და არა მას. ამის გამო პირველი შესაძლებლობისთანავე ცდილობს ძველ მეტოქეს უკბინოს და მისი დამსახურებები დააკნინოს. ტარვერი სამჯერ შეხვდა როი ჯონს-უმცროსს. პირველად ლას ვეგასში 2003 წლის 8 ნოემბერს, რომელიც წააგო. მეორედ 2004 წლის 15 მაისს და მესამედ შარშან 1 ოქტომბერს ტამპაში (ფლორიდა). ბოლო ორთაბრძოლებში გამარჯვება ტარვერს დარჩა.-რედ.). პირადად მე უდიდეს პატივს ვცემ ბერნარდ ჰოპკინსს, მაგრამ საკითხავია, გაუმკლავდა კი საუკეთესო ანტონიო ტარვერს? არა!

ახლა ბევრია ისეთი, ვისაც ანტონიო ტარვერთან შეხვედრა სწყურია, რადგან მიაჩნიათ, რომ მე უკვე ის აღარ ვარ, რაც ადრე ვიყავი. ამასობაში მე ერთი სული მაქვს, რინგს დავუბრუნდე, რათა ყველას დავუმტკიცო, რომ ცდებიან".

ასეა თუ ისე, ტარვერი პირობას დებს, ნახევრად მძიმე წონაში მსოფლიო ჩემპიონი გავხდებიო. რინგზე დაბრუნება კი ოქტომბერში განუზრახავს.

სხვათა შორის, გლენ ჯონსონთან მესამე შეხვედრაზეც არ ამბობს უარს (ჯონსონს პირველად 2004 წლის 18 დეკემბერს ლოს ანჯელესში შეხვდა და წააგო, მეორედ შარშან, 18 ივნისს, მემფისში, რომელიც უკვე ტარვერის გამარჯვებით დასრულდა.-რედ.).